ყოველკვირეული გაზეთი

№29 (293)

ქართული სიტყვა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ფასი 1 ლარი

22 – 28 ივლისი 2015 წ. ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„ამას პირველად ვიტყვი!“

რატომ ჰქონდა ივანიშვილთან უთანხმოება, რას ფიქრობს ირაკლი ალასანიაზე და თვლის თუ არა ყოფილ თანაპარტიელებს მტრებად

„ირაკლი სასაუბროდ არ მინახავს, თუ პარტიის რომელიმე წევრს ვინმე გარდაეცვლება, შეიძლება, პანაშვიდზე ერთმანეთს თავის დაკვრით მივესალმოთ. ტელევიზორს არ ვუყურებ, ერთადერთი ვიცი, რომ ბოლო დროს ჩემზე ნეგატიურად ბევრს ლაპარაკობს... მარტო ვარ იმიტომ, რომ მინისტრის თანამდებობა მარტოსული თანამდებობაა. ძალიან დიდი ტვირთი გაქვს. თუ წარმატებული ხარ, ეს კარგია და აღნიშვნას არ საჭიროებს, მაგრამ თუ წარუმატებელი ხარ, ვაი, შენს თავს.“

ექსკლუზიური ინტერვიუ იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანთან

მე-8-9-10 გვ.

რა კავშირი აქვს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებას უშიშროების მინისტრის ოჯახის ამოწყვეტასთან

წალენჯიხის რაიონში პრეზიდენტის დაცვის ორი წევრის დამწვარი ძვლები აღმოაჩინეს

მე-14-15 გვ.

კონსტანტინე გამსახურდია: „ის ადამიანები, რომლებმაც ზვიადი მოკლეს, ყველა მთავრობებში ახერხებენ, პრივილეგირებული პოზიცია, მნიშვნელოვან ადამიანებთან, ანუ მათთან, რომლებიც ამ ქვეყნის მართლმსაჯულებასა და ძალოვან სექტორში ბევრ საკითხს წყვეტენ, ძალაუფლებრივი ბერკეტები და კონტაქტები შეინარჩუნონ“.

ფრთხილად, ბიზნესმენების სახელით „ფეისბუქში“ უცნობები გოგონებზე ნადირობენ!

მე-15 გვ.

რაში სთავაზობენ მოზარდებს დღეში 1000 დოლარს – „ქართული სიტყვის“ სკანდალური ექსპერიმენტი

საოკუპაციო ხაზთან, 1 500 რუსი ჯარისკაცი და მძიმე ტექნიკაა მობილიზებული!

მე-13 გვ.

„მე აგენტი ვარ!“

ახალი რუსული სცენარი – კრემლი ოფიციალურ თბილისს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აიძულებს?!

მე-2-3 გვ.

ნანა ლეჟავა მართვით სუნთქვაზე გადაიყვანეს!

ჟურნალისტი, უსახსრობის გამო, მკურნალობას ვერ ახერხებს!

მე-11 გვ.

რატომ სცვივათ ქალებს თმა

„თალიზის“ საჩუქრები

„ნასმი“ რო არ ვიყო, გავცურავდი!“ – რა ხდება თბილისის ზღვაზე

მე-17 გვ.

№ 29 (293)
22 – 28 ივლისი 2015

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ო, ენავ, ჩემო!

ქართული ენა სახელმწიფო ენაა!

გაზეთ „ქართულ სიტყვაში“ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ავთანდილ არაბული ბრძანებს: „შეგვიძლია, გაუზვიადებლად ვთქვათ, რომ 2015 წლის 8 ივლისი ისეთივე ისტორიული დღეა, როგორც 1978 წლის 14 აპრილი“.

დიახ, ქართულ ენას მოვლა-პატრონობა სჭირდება და თუკი ამას სახელმწიფო ვერ გააკეთებს, ამით თავის თავს დიაგნოზს დაუსვამს!

1978 წლის 14 აპრილი მსოფლიო მოვლენა იყო!

დიახ, დღეს სახელმწიფო ენის მოვლას ვაპირებთ! ეს ყველა მოქალაქის ვალია, ეროვნული კუთვნილების მიუხედავად!

გადაწყდა, რომ შეიქმნას სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.

ბატონო ავთანდილ, მივესალმები თქვენს ეროვნულ პოზიციას და თქვენს ქართველობას!

ქართული ენა სახელმწიფო ენაა!

ჯანსუღ ჩარკვიანი

სტოპკადრი

თბილისის საკრებულოში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსის პრეზენტაცია გაიმართა

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურს „თბილისის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომელსაც საკრებულოს დეპუტატებთან ერთად სახელოვნებო დარგის წარმომადგენლები და საზოგადოებისთვის ცნობილი სახეები ესწრებოდნენ. როგორც საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარემ, თამარ ტალიაშვილმა აღნიშნა, ლიტერატურისა და ხელოვნების კონკურსი „თბილისი“ თავისი ფორმატით, ქართულ სახელოვნებო სივრცეში, ერთგვარ ნოვაციას წარმოადგენს და ხელოვნების არაერთ სფეროს მოიცავს.

თამარ ტალიაშვილმა სპეციალურ პრიზებსა და ნომინაციებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ კონკურსში აფხაზები და ოსებიც მიიღებენ მონაწილეობას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტია. დეპუტატმა დამსწრე საზოგადოებას ის რვა ნომინაცია და ჟიურის სპეციალური პრიზი გააცნო, რომელსაც აღნიშნული კონკურსი მოიცავს. „პროზის, პოეზიისა და ესეს გარდა, გამარჯვებულები გამოვლინდებიან: არქიტექტურაში, ქანდაკებაში, ფოტოხელოვნებაში, სიმღერასა და ფერწერაში. ასევე გვაქვს ჟიურის სპეციალური პრიზი, რომლითაც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი ის ნაშრომი დაჯილდოვდება, რომელმაც სხვა ნომინაციაში ვერ გაიმარჯვა“, — განაცხადა თამარ ტალიაშვილმა.

კონკურსის მნიშვნელობაზე დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ალიბეგაშვილმა ისაუბრა. მისი ინფორმაციით, კონკურსი საკრებულოს ინიციატივით ტარდება და ნომინანტების დაჯილდოვება „თბილისობის“ დღეს მოხდება. „ვფიქრობ, დედაქალაქმა კულტურული ცხოვრებით კიდევ უფრო უნდა გაიფართოვოს თვალსაწიერი, რასაც მსგავსი კონკურსები უწყობენ ხელს. ჩვენ უნიჭიერესი ხელოვანები და შემოქმედები გვყავს და ბუნებრივია, მათი აქტიურობა და ქალაქის ღონისძიებებში ჩართულობა ძალიან მნიშვნელოვანია“, — განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ.

საზოგადოებისთვის ცნობილმა სახეებმა — მურაზ მურვანიძემ, რევაზ მიშველაძემ, ნიკუშა შენგელაიამ, ირმა სოხაძემ და სხვებმა კონკურსის მასშტაბურობასა და მნიშვნელობას გაუსვეს ხაზი და აღნიშნეს, რომ მსგავსი კონკურსები ყველა ხელოვანი ადამიანისთვის დიდი სტიმულის მიმცემია.

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოცხადებული კონკურსი ლიტერატურის, ფერწერის, არქიტექტურის, ქანდაკების, სიმღერისა და ფოტოგრაფიის დარგში მოღვაწე შემოქმედთა ინტელექტუალური პოტენციალის გამოსავლენად ტარდება. ნამუშევრების მიღება 20 ივლისიდან 10 სექტემბრამდე გაგრძელდება. გამარჯვებულებს, „თბილისობის“ ღონისძიების ფარგლებში, გადაეცემათ კონკურსის სიმბოლო ხოხობი და ერთჯერადი ფულადი პრემია.

სკანდალური ექსკლუზივი

„მე აგენტი ვარ!“

ახალი რუსული სცენარი — კრემლი ოფიციალურ თბილისს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას აიძულებს?!

„მე აგენტი ვარ, საქართველოსთვის აგენტი და ჩემი ქვეყნისთვის ვმუშაობ!“ — აცხადებს „ქართული სიტყვის“ ექსკლუზიური ინტერვიუების ციკლში უშიშროების თადარიგის პოლკოვნიკი, უსაფრთხოების ექსპერტი კონსტანტინე ფორჩხიძე, რომელიც მორიგ სკანდალურ ინფორმაციას აჟღერებს და ამბობს, რომ უსახსრობით შეწუხებული ქართველი ვეტერანები უკრაინაში გარბიან და თუკი იქ ცხოვრებას აიწყობენ, იმაზეც თანახმანი არიან, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვან. ამასთან, ქართველი სპეცსამსახურელი აქცენტს კრემლის მორიგ „ნაღმზეც“ აკეთებს და იმ სქემას შიფრავს, რომლითაც რუსეთი ოფიციალურ თბილისს ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკების დამოუკიდებლობის აღიარებას აიძულებს...

— ბატონო კოტე, თქვენი პროგნოზი, რომ შსს-დან გამოყოფილ უშიშროების სამსახურს სათავეში ვახტანგ გომელაური ჩაუდგებოდა, ახდა...

— დიახ, ეს ადვილად პროგნოზირებადი იყო და ამის მოლოდინი მხოლოდ მე არ მქონია...

— რატომ მაინც და მაინც გომელაური?

— იმიტომ, რომ გამოცდილია და უფრო მეტ ნდობას იმსახურებს, თან ახალი კადრია.

— ახალი კადრი როგორაა, როცა ძალოვან უწყებებში მუშაობის დიდი სტაჟი აქვს?

— ახალ კადრს იმ გაგებით ვამბობ, რომ თავის დროზე სისტემიდან კერძო სტრუქტურაში წავიდა. საერთოდ, ამ პოზიციაზე გომელაურის შერჩევა იმითაცაა კარგი, რომ გათქვეფილი არ არის.

— შსს-დან გამოყოფილ უშიშროებას რეალური ძალაუფლება ექნება?

— რა თქმა უნდა, ექნება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, არაერთი, მათ შორის, ძალოვანი სტრუქტურების ოპერატიული მომსახურება მოუწევს, რაც მის ხარისხობრივ მაჩვენებელს, სახელმწიფო კონტროლის თვალსაზრისით, გაზრდის. მხედველობაში ქვეყნის წინაშე ძირგამომთხრელი საქმიანობის დროულად გამოვლენა და აღკვეთა მაქვს.

— „ძირგამომთხრელ საქმიანობაში“ უცხო ქვეყნების, მათ შორის, რუსეთის სპეცსამსახურთა აგენტურულ მუშაობას გულისხმობთ?

— დიახ...

— სუს-ი შსს-ში რჩება?

— ეს, წესით, შსს-ს ფუნქცია არაა.

— ესე იგი, სუს-ი გაუქმდება?

— არ ვიცი, მაგრამ სუს-ის მთავარი დანიშნულება სახელმწიფოს კონსტიტუციური უზრუნველყოფაა. ამ ფუნქციის შესრულება კი, კონტრდაზვერვასაც შეუძლია, რომელიც სახელმწიფო უშიშროების სააგენტოს დაქვემდებარებაში გადადის და ეს მისასალმებელია თუნდაც იმიტომ, რომ შსს-სა და უშიშროების გაყოფა „ოცნების“ ერთ-ერთი დაპირება იყო. ამასაც თავი რომ დავანებოთ, ამ გაყოფით თვითონ ძალოვანი უწყებების კონკურენცია გაიზრდება. ვანო, ყველაფერ ამას იმ პრიზმაში რომ შევხედოთ, რაზეც ჩვენი ინტერვიუების ციკლია აგებული, რომელიც სახელმწიფო და საერთაშორისო დანაშაულის გამოვლენას გულისხმობს, წარმოგიდგენიათ, ორი თანაბარი სტრუქტურა, რომელსაც ინფორმაციის მოპოვების თანაბარი შესაძლებლობა ექნებოდა, თავის დროზე რომ ყოფილიყო, რა მოხდებოდა?

— რა?

— რა და, — კონკურენცია იქნებოდა და როცა კონკურენცია არსებობს, სამოხელეო დანაშაული ნაკლებია. ამასთან, სახელმწიფო უშიშროების სააგენტო გასამხედროებულ უწყებებს, მათ შორის, შინაგან ჯარსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტსაც გააკონტროლებს, ანუ ოპერატიულად მოემსახურება.

— მაშასადამე, აწი, თუკი, მაგალითად, რუსი ოკუპანტები ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარს კიდევ გადმოსწევენ, ამ საკითხით უშიშროება უნდა დაინტერესდეს, არა?

— რა თქმა უნდა. აქამდე კი, ამ თემაზე კონტრდაზვერვასა და სუს-ს უნდა ეზრუნათ.

— ის, რაც ხურვალეთთან მოხდა, საქართველოს კონსტიტუციური უსაფრთხოების დარღვევაა თუ არა?

— დიახ, ეს უცხო ქვეყნის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართული ძირგამომთხრელი საქმიანობაა, რომელსაც დესტრუქცია მოჰყვება. სხვათა შორის, კარგია, რომ შსს გააქტიურდა და კონფლიქტის ზონაში მუდმივი პატრულირება და მოსახლეობის დაცვაზე ზრუნვა გაიზარდა, თუმცა ეს აქამდეც უნდა გაეკეთებინათ. ყველაფერი ეს ყოველდღიური რუტინაა....

ისე, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ დროს, როცა საზღვრის გადმოწევა მოხდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის 58-ე არმიის წვრთვნები ტარდება. ეს სწორედ ის 58-ე არმიაა, რომელიც 2008 წელს შემოიჭრა, საქართველოს ტერიტორიების ოკუპირება მოახდინა და დღემდე ამ ოკუპირებული ტერიტორიების ნაწილზეა ბაზირებული. სხვათა შორის, 58-ე არმიამ წვრთვნები 2012 წლის სექტემბერში, საპარლამენტო არჩევნების წინაც გამართა.

— ვატყობ, იმის თქმა გინდათ, რომ ყველაფერი ეს, უბრალოდ, დამთხვევა არაა. ისე, თუკი სიმბოლოებზე ვლაპარაკობთ, კიდევ ერთი სიმბოლოც არსებობს: 2008 წლის მსგავსად, წელსაც ოლიმპიადაა...

— დიახ, ესეც საინტერესო მინიშნებაა. საერთოდ, რუსები, როგორც წესი, ზაფხულობით აქტიურდებიან ხოლმე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ თუკი კრემლი საქართველოს დანარჩენი ტერიტორიების ოკუპაციასაც გადაწყვეტს, ზაფხულში შეუძლია, შეტევა ჰაერიდანაც განახორციელოს.

— და ზამთარში, საჰაერო შეტევის განხორციელებაში ხელს რა, ან ვინ შეუშლის?

— 2008 წელს, აგვისტოში, როგორც კი მოიღრუბლებოდა, რუსები ველარ გვბომბავდნენ, ანუ 58-ე არმიის საჰაერო ძალები ისე არაა შეიარაღებული, რომ საბრძოლო ამოცანები უამინდობის დროს განახორციელონ.

ოლიმპიადასა და ზაფხულსაც თავი რომ დავანებოთ, ახლახან თინა ხიდაშელმა საფრანგეთთან საჰაერო სისტემის გადაიარაღებაზე ხელშეკრულება გააფორმა. ამას ვაზიანში ნატო-ს სწავლებების დაწყებაც დაემთხვა, რომელიც ნატო-ს ეგიდით ტარდება და რომელშიც ლატვიელები, ბულგარელები, ამერიკელები და სხვები მონაწილეობენ. ოკუპანტების მიერ საზღვრის გადმოწევა კი, ჩემი აზრით, სწორედ ყველაფერ ამაზე პასუხია.

ისე, 2005 წლიდან მოყოლებული, თავდაცვის ყველა მინისტრის პრიორიტეტი საჰაერო თავდაცვითი სისტემის გაძლიერება და მოდერნიზება იყო. ამ კუთხით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან, დაახლოებით, მილიარდნახევარი დოლარია დახარჯული, მაგრამ როგორც იტყვიან, ხელში არაფერი გვიჭირავს! ამ დროს, საფრანგეთთან, რომელიც ნატო-ს წევრი ქვეყანაა, საჰაერო თავდაცვის კუთხით ხელშეკრულებას ვაფორმებთ, რაც ბუნებრივია, რუსეთს გააღიზიანებდა.

— იმის თქმა გინდათ, ბატონო კოტე, საფრანგეთთან საჰაერო თავდაცვის კუთხით თანამშრომლობა არ უნდა დაგვეწყო?

— არა. ხელშეკრულება უნდა გაგვეფორმებინა, მაგრამ რუსეთისგან შესაბამის ნაბიჯებს უნდა ველოდოთ...

— სიმართლე გითხრათ მიკვირს, სიტყვა საჰაერო თავდაცვაზე რატომ ჩამოაგდეთ...

გაგრძელება მე-3 გვ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

22 – 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015

№ 29 (293)

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲘᲢᲣᲤᲐ

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სპანდალური ექსკლუზივი

მე-2 გვერდიდან

– აგიხსნით: თავდაცვის სამინისტრო, უმეტესად, საბჭოთადროინდელი ოფიცრებითაა დაკომპლექტებული. შეიძლება, ზოგმა თანამდებობა შეიცვალა და, მაგალითად, სამხედრო ატაშედ დანიშნეს, მაგრამ სარდლობაში, ანუ იმ რგოლში, რომელიც საჰაერო თავდაცვის სისტემას განაგებს, ისეთებიც არიან, ვინც კონტრსადაზვერვო უზრუნველყოფას ექვემდებარებიან.

– ანუ?

– არსებობს ინფორმაცია, რომ იმ ქვეყანასთან, რომლის წიაღშიც აღიზარდნენ, შესაძლოა, პირდაპირი ან ირიბი კავშირი ჰქონდეთ. ვანო, შეგახსენებთ, რომ იმ სქემებში, რომლებიც იარაღის ტრაფიკს უკავშირდება, ამ ოფიცრების უმეტესობა მეტ-ნაკლებად ფიგურირებს. ამიტომ, თინა ხიდაშელს საჰაერო თავდაცვაში ნოვაციების ამ შემადგენლობით დანერგვა გაუჭირდება. მთავარი საჰაერო თავდაცვის სისტემის ყიდვა კი არაა, ექსპლუატაციაც აუცილებელია. საამისოდ კი, შესაბამისი კადრებია საჭირო. ამ ოფიცრების ხელში კი, ეს ტექნიკა, შესაძლოა, არაბრძოლისუნარიანი გახდეს, ანუ მიზანმიმართული დანგრევა მოხდეს. ეს ძირგამომთხრელი საქმიანობის ყველაზე თვალშისაცემი ნიშანია...

მოკლედ, დღეს რუსეთი ჰიპერაქტიურია და ცდილობს, ძირგამომთხრელი საქმიანობა ყველა მიმართულებით აწარმოოს, მათ შორის, თავდაცვის სამინისტროში, ასევე, გადმოწიოს საზღვრები, მართული პატარ-პატარა ორგანიზაციებისგან აქციები მოაწყოს, ანუ ყველაფერი ეს ერთი ჰიპერაქტიული ჯაჭვის პატარ-პატარა რგოლებია, რომლებითაც საერთო სურათი იქმნება.

აბაშიძე-კარასინის შეხვედრებზე რუსეთის მხრიდან ერთი და იგივე გზავნილები ისმის – ისევ საუბარი რკინიგზაზე და საქართველოსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან პირდაპირი დიალოგის დაწყება, თითქოს ეს პრობლემა ქართველებსა და ოსებს შორისაა მოსაგვარებელი. ამასთან რუსეთი ისევ საბჭოთადროინდელ რუკებს ეყრდნობა და საქმე ისევ ბორდერიზაციამდე მიჰყავს.

– რუსეთი ერთი და იგივეს რატომ იმეორებს, ანუ ე.წ. ცხინვალის მთავრობასთან პირდაპირ დიალოგს რატომ გვაიძულებს?

– იმიტომ, რომ ამით ჩიხში შეგვიყვანოს.

– დიალოგით ჩიხში როგორ შეგვიყვანს?

– ჩიხში შეყვანის შემდეგ კი, ერთადერთი გზაა, რომელიც არაღიარებული ე.წ. რესპუბლიკების დე ფაქტო სახელმწიფოებრიობასთან შეგუებამდე მიგვიყვანს, უფრო სწორად, აქამდე ეტაპობრივად მივალთ.

– მოდით, სათქმელი უფრო გაამარტივეთ...

– რუსეთი ისეთ პირობებს შეგვიქმნის, რომ იძულებულნი გავხდებით, ოსებსა და აფხაზებსაც პირისპირ დაველაპარაკოთ.

– როგორც მახსოვს, ადრე სწორედ ამ პირისპირ საუბრის მომხრე იყავით...

– ახლაც მომხრე ვართ, მაგრამ ამ საუბრის პირობები რუსეთმა არ უნდა გვიკარნახოს. აფხაზ და ოსურ მოსახლეობასთან პირდაპირი პოლიტიკის გატარება როგორ წარმოგიდგენიათ, როცა ეს ხალხი რუსული ჩექმის ქვეშ ცხოვრობს? – აღნიშნულ ტერიტორიებს „კა-გე-ბე“-ს მაიორები განაგებენ.

– ესე იგი, რუსული ჩექმისგან ჯერ აფხაზები და ოსები უნდა გათავისუფლდნენ და მათთან პირდაპირი დიალოგი ამის შემდეგ უნდა დავიწყოთ?

– რა თქმა უნდა... მოკლედ, ხელისუფლება უნდა შეეცადოს, რომ ოკუპირებულ რეგიონებში მოსახლეობის განწყობა საქართველოსკენ შემოატრიალოს...

– ზოგი ამბობს, რომ აგვისტოს ომის დროს სიტუაცია შემოტრიალებული იყო და ამის დასტურად სანაკოევის ადმინისტრაცია მოჰყავს, რომელიც სადემარკაციო ზოლის პირას ფუნქციონირებდა...

– აგვისტოს ომის კონტექსტში, სიტუაციის შემოტრიალებაზე ლაპარაკი ნაკლებად მნიშვნელოვანია, რადგან მაშინ რუსეთს განსაზღვრული გეოპოლიტიკური ინტერესი, გნებავთ, მიზანი ჰქონდა და მიუხედავად იმისა, საქმე მოგვარებისკენ მიდიოდა თუ არა, ეს ამოცანა უნდა შეესრულებინა.

– კრემლის ეს გეოპოლიტიკური ამოცანა დღეს, მგონი, უფრო მოცულობითია...

– დიახ, გეთანხმებით, თუმცა რუსეთი უკრაინაში სერიოზულ ომს აწარმოებს და საქართველოში ე.წ. მეორე ფრონტის გახსნა არაფრად უღირს. ამიტომ, ცდილობს, ხელისუფლება აიძულოს და გარკვეულ დათმობებზე წაიყვანის.

– მთელ ხელისუფლებაზე ვერ ვიტყვით, მაგრამ უმრავლესობის ცალკეული წევრები, მაგალითად, ტყემალაძე საქართველოს ევროატლანტიკური განწყობის გადასახედად რეფერენდუმის ჩატარებას ითხოვს...

– ამ თემაზე რეფერენდუმი უკვე ჩატარდა – საქართველოს ევროატლანტიკური არჩევანი სწორედ რეფერენდუმზე გადაწყდა. რეფერენდუმით მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება მხოლოდ რეფერენდუმითაა შესაძლებელი. ტყემალაძე რეფერენდუმს ამიტომაც ითხოვს, მაგრამ ტყემალაძე ერთ გარემოებას არ ითვალისწინებს: რეფერენდუმის დანიშვნა-არდანიშვნას პრეზიდენტი წყვეტს. ამ ვითარებაში რეფერენდუმზე ლაპარაკი „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ რუსულ ფრთებში ქულების დაწერაა და მეტი არაფერი. ესენი მეკავშირეები არიან და, ბუნებრივია, ერთ ინტერესს ემსახურებიან. ეს ინტერესი კი, რუსული ინტერესია! ტყემალაძის ეს განცხადება „ქართული ოცნებისთვის“ სასარგებლო კი არა, უფრო ზიანის მომტანია!

ერთი სიტყვით, არ გამოვრიცხავ, რომ რუსეთმა საქართველოს ხელისუფლება, ეტაპობრივი იძულების გზით, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამდე მიიყვანოს. სწორედ ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ შვეიცარული მხარის მიერ საბაჟო კონტროლის დაწესებაზე გამოთქმული ინიციატივა, რომელიც რუსეთის მიერ ნაკისრი ვალდებულებაცაა – როცა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში შედიოდა, საქართველომ, ე.წ. მონიტორინგის საკითხის სანაცვლოდ, რუსეთს ამ ორგანიზაციაში შესვლას მხარი დაუჭირა, ანუ მაშინ შვეიცარიულმა მხარემ განაცხადა, რომ საქართველო-რუსეთის საზღვარზე საბაჟო კონტროლს განახორციელებდა.

– ეს თემა მხოლოდ ახლა გააქტიურდა. კარგია თუ ცუდი?

– გააჩნია, საბაჟო კონტროლი სად განხორციელდება – ფსოუზე, ენგურზე, როკის გვირაბის გაღმა თუ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვართან.

– ბატონო კოტე, თქვენი აზრით, სად უნდა განხორციელდეს?

– რა თქმა უნდა, – ფსოუსა და როკის გვირაბის გაღმა.

– შვეიცარია რას ამბობს?

– ყველაფერი საქართველოს ხელისუფლების პრინციპულ პოზიციაზეა დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუკი წავუყრუეთ და საბაჟო კონტროლი ენგურსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ საზღვარზე განგვითავსეს, იცით, რას მივიღებთ?

– რას?

– შვეიცარიული მხარე ვალდებული არ იქნება, რომ იმ ტვირთებზე, მათ შორის, სამხედრო ტვირთებზე, რომლებიც ცხინვალისა და სოხუმის ტერიტორიაზე შევა, ინფორმაცია მოგვაწოდოს, ანუ ეს იმის ნიშანი, იქნება, რომ დე ფაქტო ე.წ. რესპუბლიკების დამოუკიდებლობას არაპირდაპირ შვეიცარიული მხარეც აღიარებს, რაც შვეიცარიის მხრიდან საქართველოს მიმართ, რბილად რომ ვთქვათ, არამეგობრული ნაბიჯი იქნება. ამიტომ, საქართველოს ხელისუფლებამ პრინციპულად უნდა განაცხადოს, რომ საბაჟო კონტროლი ან საერთოდ არ გვჭირდება, ან როკის გვირაბის გაღმა და ფსოუზე უნდა განხორციელდეს. თუ ასე მოხდა, ცუდ მდგომარეობაში თავად რუსეთი აღმოჩნდება – იმ საზღვრების გადასინჯვის წინაშე დადგება, რომელიც თავად დააწესა.

– ერთი სიტყვით, ბატონო კონსტანტინე, სახეზე ახალი პოლიტიკური თამაში და გადანაწილებაა?

– ასეა და ახლა ყველაფერი საგარეო საქმეთა მინისტრსა და მის გუნდზეა დამოკიდებული, თუ როგორ პრინციპულ პოზიციას გამოიჩენენ.

– მთავარია, საგარეო საქმეთა მინისტრი ისევ ემოციურ გაუგებრობაში არ აღმოჩნდეს...

– ისე, საბაჟო კონტროლის თემით მხოლოდ ხელისუფლება კი არა, ყველა პოლიტიკური და საექსპერტო ჯგუფი უნდა დაინტერესდეს, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია..

– სხვათა შორის, გავრცელდა ინფორმაცია, რომ საზღვარი სომხეთმაც გადმოსწია, თუმცა ეს ოფიციალურად არ დადასტურდა...

– ვანო, არაერთხელ მითქვამს, რომ საზღვრების გადაწევა-გადმოწევა მოხდება, რამეთუ საქართველოს საზღვრები დემარკირებული და დემილიტირებული არაა. კარგი, მიშას დროს არაფერი გაკეთდა, მაგრამ 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან ლამის უკვე სამი წელი გავიდა და რა გაუხდა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ ეს ამოცანა გადაწყვიტოს და იგივე ჩვენს მეგობარ აზერბაიჯანსა თუ სომხეთთან საზღვრები დაადგინოს?!

– ინტერნეტში ჰეიდარ ალიევის განცხადებაც გავრცელდა, ევროპა არ გვინდა, ისეც კარგად ვართო და ქართველმა რუსეთუმეებმაც ყიჟინა დასცეს...

– ამაზეც ვთქვი, რომ რუსეთი აზერბაიჯანის ევრაზიულ კავშირში მოქცევაზე მუშაობს და ამით საქართველოს საკითხი გადაწყდება, თან ძალიან მარტივად,

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტზე აზერბაიჯანმა ღიად განაცხადა, რომ ევროკავშირში გაერთიანებას არ ცდილობს, რამაც თურქეთის გაღიზიანება გამოიწვ-

გაგრძელება მე-4 გვ.

სტოპკადრი

მარიხუანას დეკრიმინალიზაციის საკითხი ჩავარდა

მარიხუანას მოხმარების დეკრიმინალიზაციის თაობაზე დეპუტატ გოგა ხაჩიძის საკანონმდებლო ინიციატივა ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე კენჭისყრაზე ორჯერ დადგა. განმეორებითი კენჭისყრის ჩატარების გადაწყვეტილება კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი ხუნდაძემ იმ მიზეზით მიიღო, რომ პირველი კენჭისყრისას მასში მონაწილეთა უმრავლესობამ საკითხს მხარი დაუჭირა. თავდაპირველ კენჭისყრისას დეპუტატ გოგა ხაჩიძის პროექტს მხარი ხუთმა დეპუტატმა დაუჭირა, რაც იმას ნიშნავდა, რომ საკითხი კომიტეტის მხრიდან მხარდაჭერილი იყო. ეს ხუთი დეპუტატი პარლამენტის ოპოზიციონერი წევრები იყვნენ. ამის შემდეგ კენჭისყრა განმეორებით ჩატარდა, რა დროსაც კანონპროექტის მოწინააღმდეგეთა რაოდენობა უფრო მეტი აღმოჩნდა, რადგან კენჭისყრის პროცესში უმრავლესობის ის წარმომადგენლები ჩაერთნენ, რომლებიც ხაჩიძის პროექტის წინააღმდეგ გამოდიან.

კომიტეტის თავმჯდომარემ, დიმიტრი ხუნდაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კომიტეტი მხარს უჭერს ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის წინადადებას იმასთან დაკავშირებით, რომ მარიხუანას მოხმარების სრული დეკრიმინალიზაცია არ მოხდეს, მაგრამ ამ ქმედებაზე პატიმრობა, როგორც სასჯელის ფორმა, არ იყოს გამოყენებული. კანონპროექტის განხილვა ჯანდაცვის კომიტეტის სხდომაზე დღეს ცხარე კამათის და სიტყვიერი დაპირისპირების ფონზე წარიმართა.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

პუშკოვი პოროშენკოს ახალ მაიდანს უწინასწარმეტყველებს

რუსეთის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე, ალექსეი პუშკოვი უკრაინაში რევოლუციას და ახალ „მაიდანს“ უწინასწარმეტყველებს. ამის შესახებ პუშკოვი „თვითერის“ საკუთარ გვერდზე წერს.

მისი თქმით, „მემარჯვენე სექტორის“ ლიდერი, დიმიტრი იაროში მზადაა უკრაინელებს მიაწოდოს ახალი ორიენტირები რევოლუციური ცვლილებებისთვის. მისი თქმით, ერთ-ერთი ორიენტირია სწორედ, პოროშენკოს შეცვლა.

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ“

4

№ 29 (293)

22 – 28 ივლისი 2015

ეროვნული ინტერესი

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სკანდალური ექსკლუზივი

მე-3 გვერდიდან

ია...

– ჩვენთვის რომ ვთქვათ, აზერბაიჯანს, ნავთობის გამო, ვაჭრობა რუსეთთანაც შეუძლია და დასავლეთთანაც...

– დიახ, ოფიციალურ ბაქოს ჩვენზე უკეთესი პოზიცია თუნდაც იმიტომ აქვს, რომ ჩვენზე ოთხჯერ, თუ მეტჯერ არა, მდიდარია.

მოკლედ, აზერბაიჯანის საკითხის გადაწყვეტით, საქართველოს, პრაქტიკულად, მარწუხებში მოაქცევს, რასაც შიდაპოლიტიკური რყევები მოჰყვება, ანუ მკვეთრად პრორუსული ძალები მტკიცებას დაიწყებენ, სადაც მთელი კავკასიაა, ჩვენც იქ უნდა ვიყოთო...

– პრორუსული ძალების გააქტიურება ახლაც თვალშისაცემია... ხურვალეთთან გამართულ არასამთავრობოთა აქციების ორგანიზება, პირდაპირ თუ ირიბად, „ნაციონალებს“ ბრალდებათ... წელან, ბატონო კოტე, ვიდრე დიქტოფონს ჩავრთავდი, უკრაინაში წასული ქართველი ვეტერანები ახსენეთ. რატომ?

– მიხეილ სააკაშვილი რუსეთის ინტერესების ფარული გამტარებელია.

– ეს „ძველი სიმღერაა“, თან უკრაინაში წასულ ქართველ ვეტერანებზე გკითხეთ...

– საქართველოში ვეტერანების მობილიზაცია და უკრაინაში რეკრუტირება მიმდინარეობს.

– ვეტერანები უკრაინაში ძალით მიჰყავთ?

– არა...

– უკრაინაში წასვლა თქვენც შემოგთავაზეს?

– ჩემთან კონტაქტი არ ჰქონიათ. უკრაინაში წასვლას, ძირითადად, მათ სთავაზობენ, ვისაც პოლიტიკური სტატუსი არ აქვთ და ისეთ მდგომარეობაში არიან ჩავარდნილნი, რომ ოჯახის შენახვა უჭირთ. ეს ადამიანები ფიქრობენ, თუ უკრიანაში ცხოვრების აწყობის პერსპექტივა გაუჩნდათ, თანახმანი არიან, რომ საქართველოს მოქალაქეობაზე უარი თქვან, ანუ ჩვენ ვეტერანების მასას ვკარგავთ, რომელიც რთულ პირობებში, შესაძლოა, გამოვიყენოთ.

– ყველაფერი ეს ცუდია, მაგრამ სააკაშვილი რა შუაშია?

– ისინი პირდაპირ მიშას ემისრები ხდებიან!

– მიშას ემისრები რომ არ გახდნენ, მაშინ სახელმწიფომ მიხედოს!

– ვანო, სიმართლეს ამბობთ. სახელმწიფო რომ ხარ, პასიური არ უნდა იყო და როცა გესმის, რომ ვეტერანები უკრაინაში მიდიან, რას აკეთებ, რომ არ წავიდნენ? შესაბამის სოციალურ პირობებს რატომ არ უქმნი? სხვათა შორის, უკრაინაში ძირითადად, ისინი მიდიან, ვინც თავის დროზე რუსეთთანაც იყვნენ ასოცირებულნი.

– ბატონო კოტე, ეს თქვენი ვარაუდია თუ კონკრეტული ინფორმაცია გაქვთ?

– ინფორმაცია მაქვს და შემიძლია, მაგალითიც დავასახელო: ძალიან საინტერესო პიროვნებაა ვიცე პოლკოვნიკი თ. თ-შვილი, რომელიც გოგი თათუხაშვილის მეგობარი და შოთა კვირაიას „კამანდის“ ყოფილი წევრია. შოთა კვირაია ვისთანაც იყო ასოცირებული, ყველამ იცის. ეს ადამიანი, რომელიც თავის დროზე სამხედრო კონტრდაზვერვაში მუშაობდა და კობა ოთანაძის მეგობარიცაა.

– ბატონო კოტე, კონტრდაზვერვაში თქვენც მუშაობდით!

– დიახ, მაგრამ არც სამშობლო მიმიტოვებია და არც სხვის ომში მიმიღია მონაწილეობა! მე საქართველოს აგენტი ვარ და საქართველოსთვის ვმუშაობ! მათგან სწორედ ამით განვსხვავდები!

– ამ თ. თ-შვილმა რა ჩაიდინა, რომ თქვენი ინტერესის არეალში მოხვდა?

– პირდაპირ რუსულ ინტერესებთანაა ასოცირებული და დონეცკის მიმართულებაში მსახურობს, რომელიც ირაკლი ქურასბედიანს აბარია. სხვათა შორის, ქურასბედიანზე ადრე ვისაუბრეთ და ვარდიკო ნადიბაიძესთან მის რუსულ კავშირებზეც გითხარით. ესე იგი, გამოდის, რომ ოპერატიულად საინტერესო „ტიპები“, უკრაინაში, „ნაცმოძრაობის“ ეგიდით, ფრონტის წინა ხაზზე აღმოჩნდნენ და ეს რუსული სპეცსამსახურებისთვის ერთ-ერთი კარგი საშუალებაა, რომ ინფორმაცია მიიღონ, თუ რა ხდება უკრაინის შეიარაღებულ ძალებში.

– კოტე ბატონო, რაკი ამბობთ, რომ საქართველოს აგენტი ხართ, უშიშროების ახალ სამსახურთან თანამშრომლობას ხომ არ გეგმავთ?

– შემოთავაზება არ ყოფილა.

– თანამშრომლობა თქვენ შესთავაზეთ...

– ურთიერთობას და ჩემს ხელთარსებულ ინფორმაციას ყველას ვთავაზობ, მათ შორის, თავდაცვის სამინისტროსაც, კონტრდაზვერვასაც, მაგრამ ყველა ამბობს, საინტერესოა და ამის იქით საქმე არ მიდის. ეს ან გარკვეული არაპროფესიონალიზმია, ან...

ყველაფერს კადრები წყვეტენ. კადრები სამი ნიშნით – პროფესიონალიზმით, სამშობლოს ერთგულებითა და არაკორუმპირებულობით უნდა შეარჩიონ.

– თქვენ სამივეს აკმაყოფილებთ?

– რა თქმა უნდა, სამშობლოს სიყვარულიც დამიმტკიცებია...

– მაპატიეთ, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ყველას თავისებურად ესმის...

– კი ბატონო, მაგრამ ჩემი მხრიდან, უკან არაფერზე დამიხევია. ვერავინ თითს ვერ გამოიშვერს, კორუმპირებულიაო. კორუმპირებული რომ ვყოფილიყავი, ვანო მერაბიშვილი პირველი მე „ჩამაყუდებდა“. პროფესიონალიზმი თანამდებობაზე დანიშვნით კი არა, შესაბამისი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკით იბადება. ამიტომ, მხოლოდ მე კი არა, ჩემს მეგობრებსაც ნებისმიერი შეგვეჯიბროს!

ბოლოს და ბოლოს, ახლა სტრუქტურა – ვეტერანთა სახელმწიფო სამსახური არსებობს და იმაზე, რაზეც ვლაპარაკობ, თავში ხელს შიხიაშვილი უნდა ირტყამდეს. თუ ეს სამსახური ვეტერანებისთვისაა შექმნილი და საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების ინიციატივით არ გამოდიხარ...

– როგორც ვიცი, ამ კუთხით ინიციატივები არსებობს...

– ყველა თავისი ინტერესებიდან გამოდის, არადა, პირველ რიგში, ვეტერანთა ინტერესებიდან უნდა გამოვიდნენ. ძალოვანი უწყებების ვეტერანებს, ვინც თავის დროზე სამსახურებიდან გაყარეს, ათ წელზე მეტი ნამსახურები არ აქვთ, კალენდარული ოცი წელი მხოლოდ საბჭოთა ოფიცრებს აქვთ. ამიტომ, ამ ხალხს 10 წელი გადაყრილი აქვს. შეუძლიათ, ყველაფერი მარტივად მოაგვარონ: „ნაციონალების“ ათი წელი ნამსახურევ ათს დაუმატონ, ანუ კალენდარული 20 შეასრულონ, ამ ხალხს პენსია მისცენ და თავს თვითონ მიხედავენ, მაგრამ ამას არ აკეთებენ და ვეტერანებს აბოროტებენ!

მეორე, რაც უნდა გაკეთდეს: შე მამაცხონებულო, ვეტერანის სამსახურიდან დათხოვა, თუ სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაიდინა და ზღვრული ასაკისთვის არ მიუღწევია, არ შეიძლება.

– ითხოვთ, რომ „ნაციონალების“ დროს სამსახურიდან გაყრილი ვეტერანები უკან დააბრუნონ?

– ვისაც ამის სურვილი და შესაძლებლობა ექნება, რატომაც არა?!

ეს ხალხი იხოცება. მაგალითად, გუშინ კიდევ ერთი ვეტერანი გარდაიცვალა...

– ვეტერანთა სახლმწიფო სამსახურის ხელმძღვანელობას რატომ არ ხვდებით?

– შეხვედრის სურვილი ჰქონდათ, მაგრამ გადაიფიქრეს...

სხვათა შორის, თავდაცვის სამინისტრო ფრაბგებთა საჰაერო თავდაცვის სისტემებზე ხელშეკრულება რომ გააფორმა, ეს საკითხი ნდობის ჯგუფში გივი თარგამაძესთან ერთად განიხილეს და ეს როგორ მოგწონთ?

– თარგამაძე ნდობის ჯგუფის წევრია...

– და ხალხი თარგამაძეს ენდობა? ასეთი ნდობის ჯგუფი არ მჭირდება!

– ნდობის ჯგუფში ოპოზიციის წარმომადგენელიც უნდა იყოს, გივი თარგამაძე ოპოზიციონერია...

– არ შეიძლებოდა, იგივე „ნაცმოძრაობიდან“ ნდობის ჯგუფში სხვა, ანუ ის შეეყვანათ, ვინც იარაღით ვაჭრობის შავბნელ სქემებში გარეული არაა? ამ შავბნელ სქემებზე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ნდობის ჯგუფს ეკისრება, რომლის თავმჯდომარეც ბატონი გივი გახლდათ და მას საიდუმლო ხელშეკრულებას აცნობ? რა გარანტია არსებობს, რომ ინფორმაცია არ გაჟონავს, თუმცა არ ვიცი, ამ შეხვედრაზე მხოლოდ გეგმებზე ისაუბრეს, სქემებზე თუ კომპანიებზეც. საერთოდ, როცა ასეთ ნაბიჯს დგამ, ყველა გარემოება, მათ შორის, ისეთიც უნდა გაითვალისწინო, რომელიც პიროვნებებსაც უკავშირდება.

ესაუბრა ვანო პავლიაშვილი

(თემის გაგრძელება იქნება)

სტოპკადრი

საჯარო სამსახურებში პროფესიული საჯარო მოხელის ინსტიტუტი ჩამოყალიბდება

პროფესიული საჯარო მოხელე იქნება პირი, რომელიც საჯარო სამსახურის საშტატო თანამდებობაზე უვადოდ დაინიშნება. მისი დანიშვნა კი მხოლოდ კონკურსის წესით მოხდება.

ამას „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელსაც საპარლამენტო კომიტეტების ფარგლებში განიხილავენ.

პროექტით პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა რანგირების წესი და კარიერული საფეხურები წესდება. კერძოდ, შემოდის საჯარო მოხელეთა შემდეგი იერარქიული რანგები: პირველი რანგი - მაღალი მმართველობითი დონე; მეორე რანგი - საშუალო მმართველობითი დონე; მესამე რანგი - მაღალი კატეგორიის სპეციალისტის დონე; მეოთხე რანგი - დაბალი კატეგორიის სპეციალისტის დონე. მეოთხე რანგი ყველაზე დაბალ რანგს წარმოადგენს, ხოლო პირველი რანგი – ყველაზე მაღალ რანგს.

პროექტის მიხედვით, საჯარო მოხელის დაწინაურება ქვედა რანგიდან ზედა რანგში გადასვლით, შიდა კონკურსის საფუძველზე უნდა მოხდეს.

ასევე, პროფესიული საჯარო მოხელეებისთვის განისაზღვრება კლასების მინიჭების მექანიზმი, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების შედეგებისა და წელთა ნამსახურების საფუძველზე. პროექტის მიხედვით, მოხელისათვის მისანიჭებელი კლასების სრული ოდენობა 12 კლასს შეადგენს. მოხელეს, რომელსაც კლასი მიენიჭება, მიეცემა თანამდებობრივი სარგოს დანამატი.

უქმდება ატესტაციის წესი და მის ნაცვლად ე.წ. შეფასების სისტემა შემოდის. კერძოდ, პარლამენტში წარდგენილი პროექტის მიხედვით, პროფესიული საჯარო მოხელის კარიერული განვითარების მიზნით, განისაზღვრება ყველა რანგის პროფესიული საჯარო მოხელის და მის მიერ შესრულებული სამუშაოს ყოველწლიური შეფასების ვალდებულება. შესრულებული სამუშაოს შეფასებას ასევე ექვემდებარება გამოსაცდელი ვადით მიღებული მოხელე.

ახლებურად წესრიგდება საჯარო სამსახურში მიღების წესიც. პროფესიული საჯარო მოხელის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობისთვის აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვალდებულება დგინდება, მათ შორის ასეთი სავალდებულო დოკუმენტი სერტიფიკატი იქნება, რომელიც პროფესიული საჯარო მოხელის თანამდებობაზე დასაქმების მსურველთა აუცილებელი ზოგადი უნარების, ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს. სერტიფიკატის გაცემა მხოლოდ სერტიფიცირების წარმატებით გავლის შედეგად მოხდება.

გარდა ამისა, პროექტით გათვალისწინებულია ე.წ. მობილობის ინსტიტუტის შემოღება, რაც საჯარო დაწესებულების რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და შერწყმის შედეგად შემცირებული საჯარო მოხელის სხვა საჯარო დაწესებულებაში, ექვივალენტურ ან უფრო დაბალ თანამდებობაზე, მობილობით გადაყვანას გულისხმობს.

ასევე, გათვალისწინებულია რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და შერწყმის საფუძველზე გათავისუფლებული პროფესიული საჯარო მოხელეების რეზერვში ჩარიცხვის წესიც, თუკი მობილობით მათი გადაყვანა ვერ ხერხდება. პროფესიული საჯარო მოხელის რეზერვში ყოფნის ზღვრულ ვადად 2 წელი დგინდება და რეზერვში ჩარიცხული პირებისათვის 3 თვის თანამდებობრივი სარგოს გადახდის ვალდებულება განისაზღვრება. ამასთან, რეზერვში ჩარიცხულ პროფესიულ საჯარო მოხელეს უფლება ენიჭება, მონაწილეობა მიიღოს საჯარო სამსახურში გამოცხადებულ შიდა კონკურსებში. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონპროექტი ცვლილებას 65 სხვადასხვა კანონში იწვევს. საკანონმდებლო პაკეტის ავტორი საჯარო სამსახურის ბიუროა. ის პარლამენტს მთავრობამ წარუდგინა.

„ინტერპრესნიუსი“

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

22 – 28 ივლისი 2015 | № 29 (293) | 5

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პოეზია

●

„დედავ, დედაშვილობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!“
„მე შენ არას გენაცვლები,
მამა გყავს და... ინაცვალე!“
„მამავ, მამაშვილობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!“
„მე შენ არას გენაცვლები,
დაი გყავს და... ინაცვალე!“
„დაო, დაო, დაძმობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!“
„მე შენ არას გენაცვლები,
ძმაი გყავს და... ინაცვალე!“
„ძმაო, ძმაო, ძმათძმობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!“
„მე შენ არას გენაცვლები,
ცოლი გყავს და... ინაცვალე!“
„ცოლო, ცოლო, ცოლ-ქმრობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!“
„მე შენ არას გენაცვლები,
საყვარელ გყავს... ინაცვალე!“
„საყვარელო, საყვრობასა,
სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე!“
„გენაცვლები, შენსა მზესა,
გზა საით არს – მიმასწავლე!“

●

ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოჟა ჯურხაის ფარიო, –
მაუვლის ომის წადილი,
ხანდისხან შასძრავს ქარიო.

●

არწივო, მხარკვერიანო,
ყორნებს რად აძლევ ზავსაო?!
მინდორთ რო მოკვდეს კაი ყმა,
წინ-წინ ეგ დასთხრის თვალსაო.

●

ატირდა კაი ყმის ცოლი:
„აღარ მამივა შინაო...“
იცინის ცუდაის ცოლი:
„გამაიქცევა წინაო...“
გამაქცეულის მოსვლასა
არმოსვლაი სჯობს შინაო!

გაფრინდი, შავო მერცხალო...

გაფრინდი, შავო მერცხალო,
გაჰყევ ალაზნის პირსაო,
ამბავი ჩამომიტანე
ომში წასული ძმისაო!

●

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარნი თუნდა ხისანი,
თვალნი – ქორებულ მხედავნი,
ზედ – მუხლნი შავარდნისანი.

●

ვაჰ, გულო, ვაჰ, გუნებაო,
ვაჰ, სიშორეო გზისაო!
წასვლაო, აღარ მოსვლაო
ლაშქრით მამაცის ყმისაო!

●

თუ მოყვარე ხარ, მიმოყვრე,
კალთა გავაბათ კალთასა!
მტერი ხარ – შემატყობინე –
ან ბარს დაგიხვდე, ან მთასა!

●

თქვენი რიგია, ახლებო,
ხელის დადება ხმალზედა, –
ყორნები ლეშით სძღებიან
მამების ნაომარზედა.

●

ისევ იზრდება მგლის ლეკვი
არწივთა ნაბუდვარშია,
დედა მკლავთ უპოხს მალ-მალე,
დილ-დილა, თითბრის ჯამშია;
შვილი ჰკითხევდა დედასა:
„დედი, რათა ხარ თალხშია?!
ან მამა-ბიძებ სად მყავის,
მარტოდ რაად ვართ ხალხშია?!“

ლექსი ვეფხვისა და მოყმისა

მოყმემ თქვა, პირშიშველამა,
შიბნ გავიარე კლდისანი,
მოვინადირენ, დავლახჴნ,
ბილიკნი ჭიუხისანი.
შამამხვდეს კლდისა თავზედა
ხორონი ჯიხვებისანი,
ჯიხვსა თოფ დავკარ ბერხენსა,
ჭალას ჯახნ იქნენ რქისანი.
შავვარდი ვეფხვსა ნაწოლსა,
დრონ იყვნეს შუაღამისანი,
ვეფხვი რომ წამამიფრინდა,
თვალნი მარისხნა ხთისანი.
შაიბნეს ვეფხვი, მოყმეი,
მაშინ დაიძრნეს მიწანი,
კლდეები ჩამაინგრივნეს,
შტონ დაილეწნეს ტყისანი,
დრო აღარ დარჩა მოყმესა,
ხანი რო ჰქონდეს ცდისანი.
ფარსა უფარებს, ვერ ჰფარავს,
ვეფხვი ჩქარია კლდისანი,
გაზით გაართვნა კალთანი,
ჯაჭვისა ჯავშანისანი.
მოყმემაც ხელში იყარნა
ვადანი თავის ხმლისანი.
მაშინ გაუჭრა ფრანგულმა,
დრონ იყვნეს წაქცევისანი.
ვეფხვი კლდით გადმაეკიდა,
ჩამააწითნა ქვიშანი.
თაოდ კლდის თავზე შამაწვა
მოყმე სულამამდინარი,
ქვიშას მაჰღებავს წითლადა,
სისხლი ზედ ჩამამდინარი.
ვინ ეტყვის მაგის დედასა,
კარს უსხედს ქადაგ-მკითხავნი.
უერთოდ კი არ იხარჯნეს
ჩვენ მონადირის ისარნი.
იარებოდა დედაი
ტირილით თვალცრემლიანი,
ჩემს შვილს გზად ვეფხვი შაჰყრია
გაჯავრებული, ტიალი,
ჩემს შვილს - ხმლით, იმას - ტოტითა
დღე დაუღამდათ მზიანი.
არც ვეფხვი იყო ჯაბანი,
არც ჩემ შვილ შახვდა ჭკვიანი,
მათ დაუხოცავ ერთურთი,
არ დარჩენ სირცხვილიანნი.
ტირილით წყლულებს უხვევდა
ვეფხვის კლანჭებით დაჭრილსა,
შვილო, არ მახკვდი, შენ გძინავ,
დაქანცული ხარ ჯაფითა,
ეგ შენი კაბის კალთები
ტიალმა როგორ დაფლითა?
შენც იმის საფერ ჰყოფილხარ,
ხმალი ქნვაში გაგიცვდა.
არც იმან მოგცა მეტი დრო,
აღარც შენ დააცალია,
ველარც შენ დაიფარიე
შენ ხელთ ნაჭერი ფარია,
ველარცა ვეფხვმა ტოტები,
ხმალმა დაკუწა ძვალია.
მაგის მეტს აღარ გიტირებ,
შენ არ ხარ სატირალია.
ლაშქარში, მეგობარშია
არ იყავ საწუნარია.
მშვიდობით, ჯვარი გეწეროს,
ეგეც სამარის კარია,
ერთ შვილ ხო მაინც გაგზარდე,
ვეფხვებთან მეომარია.
ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი
ელანდებოდა მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს
ტანზეით აყრის რკინასა,
ხან კიდენ იმისი შვილი
ვეფხვს გადაავლევს ყირასა.
აი, ამ სიზმრებს ხედავდის,
გამაეღვიძის მტირალსა.
ხან იფიქრებდა, უდედოდ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზე მწარედა სტირისა.
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბავსა,
მეც უთხრა ჩემი შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა!

ქართული ხალხური პოეზიის შედევრები

●

მე ვაჟი მამწონს ისეთი,
წილ ედვას ყველასთანაო:
კაია – პურადობაი,
ედგას ჭურჭლების ჯარაო,
ხანდისხან – შუღლიც კარგია,
მტერს ჩაუნათოს დანაო!

შემომეყარა ყივჩაღი

მუხრანული

შემომეყარა ყივჩაღი
სამზღვარს მუხრანის გზისასა,
პური მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი თავთუხისასა.
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე,
ვურჩევდი ხოხობისასა,
ღვინო მთხოვა და ვასმიე,
ვურჩევდი ბადაგისასა.
ცოლი მთხოვა და ვერ მივეც,
მიმყვანდა სიდედრისასა.
ან კი ცოლს როგორ მივცემდი-
შვილსა გაზრდილსა სხვისასა.
ხელი მოხვია, აკოცა,
მოზიდნა ნაწნავს თმისასა
შესტირა საბრალო ქალმა:
„ვაი ცოლს, ცუდის ყმისასა“.
მეც გულმა ველარ გამიძლო,
მოვზიდნე ვადას ხმლისასა,
უმალვე იმან დამასწრო,
ელვასა ჰგვანდა ცისასა.
მაგრამ დაუცთა მუხანათს,
ვენაცვლე მადლსა ღვთისასა,
ახლა მე შემოვუქნიე,
ვენდვე მადლს ლაშრის ჯვრისასა.
გავჭერი ცხენი და კაცი
წვერიც მომიხვდა ქვიშასა,
არ იყო ღირსი, მოშორდა
ცქერას ნათელის მზისასა,
ცოლი სიდედრსა მივგვარე,
ის კი იქა სჭამს ქვიშასა.

საფიხვნოს სხედან ქალები

საფიხვნოს სხედან ქალები
შვლისა და ხოხბის დარები,
ტკბილად უბნობენ ერთმანეთს
გაუღეს გულის კარები.
წინ არყებ ჩამაირიგეს
ხილის და ანწლისანები.
უცხოდ რამ აუციმციმდათ
წარბებ ქვეშ გიშრის თვალები.
ხინკალსა სჭამენ, ნიკაპზე
ჩამასდით ერბოს ცვარები,
არც საქმეს ჩამორჩებიან
ააბზრიალეს ჯარები,
იგეთა ბაწარსართავენ,
როგორც ფანდურის ლარები.
უნდა დაქსოვონ ჩითები,
თბილ წინდა-ტალავარები.
საფიხვნოს სხედან ქალები
მწყემსადა ჰყავისთ ქმარები
ფურნი ლაღობენ, ავაჰმე,
გვერდს არ უდგანან ხარები.
მალ მოვლენ, მიეგებიან,
არ ერცხვინებათ თავები.
ძარღვებში სისხლი იჩქამლებს,
შუბლს გადეყრებათ ღარები,
განა კი არყით არიან –
სიყვარულისგან მთვრალები.

●

კაი ყმა ბეგთარს ჩაიცვამს,
წითლად შახვდება დილასა,
ლაშქარში მაშინ ჩავალის,
რკინა რო გაღეჭს რკინასა,
გონჯაი – დაიმალება,
კაი ყმა – დაჰკრავს წინასა.

●

მაისტელთ გაურიგებავ
გორგისად შაკვრა გზისაო.
გორგის ნუ მახკლავთ, ქისტებო,
მა უთურგაის შვილსაო!
თუ მახკლავთ, ხელს კი ნუ მასჭრით,
ბრალია კაი ყმისაო...
არ დაიჯერეს ქისტებმა, –
„გორგიმაც ესრე ქნისაო,
გორგის ციხეზედ აკრავის
თორმეტ მარჯვენა მტრისაო“...
ჩაუსხდეს მთის თავს, მთის ძირსა,
ფერ ვერ უცვალეს მგლისაო...
„ვაი, თქვენს გორგის, ქისტებო,
ხანი არ მექნა ცდისაო!
თუ შამხვედროდით პირდაპირ –
ქნევა მეც ვიცი ხმლისაო!“

№ 29 (293)
22 – 28 ივლისი 2015
ქართული ლიტერატურული გაზეთი
ლიტერატურული, ეროვნული, ჰოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

ПРОЗА

ბონი და სილვესტრა

ნანა ჩარკვიანი

მარაჯულაში ვარდისფრად წვიმდა. იისფერკიკინებიანი სილვესტრა ბონისთან ხელჩაკიდებული მაიას სანაპიროსკენ გარბოდა, იმიტომ, რომ იქ მზე იყო. ბონის მხარზე ბობა-ბობა ჩამოსკუპულიყო და პატრონის სირბილის რიტმზე მხრებს ჩეჩავდა. ბობა-ბობამ ლაპარაკი არც ისე დიდი ხნის წინ ისწავლა, ამიტომ ყოველი მხრების აჩეჩვაზე უბრალოდ ხაოდა: „აქა?“

სილვესტრას მზესთან ეჩქარებოდა. წვიმა ხომ მისი მუდამ უკან მდევარი მტერი იყო. თიათამის უდაბნოშიც კი, სადაც ტიბისკოპის ტბასთან არასდროს უწვიმია, ვარდისფერი კიკინები მუდამ უსველდებოდა, დილის ნამისგან, ალბათ.

ტანმორჩილი ბონი სილვესტრას საუკეთესო მეგობარი იყო. შეიძლება გოგომ ის იმიტომ აირჩია, რომ ბონის ჟღალი კულულები მოსწონდა, ვინ იცის. მარტოსული ბონისთვის კი მთავარი იყო, მეგობარი ჰყოლოდა, ერთგული ბობა-ბობას გარდა. იმიტომ, რომ ბობა-ბობა მაინც კაკადუ იყო და მისი ბუმბულის შეხებისგან ბონის სახე უსივდებოდა.

აჰა, მზეც. დიდი ლურჯი, ლივლივა და ცივი, როგორც სიმშვიდე.

აღარ წვიმს, — თქვა ბონიმ და კაკადუ მხრიდან მოიხსნა, — აქ დავანთოთ ცეცხლი?

სილვესტრას პასუხი არ გაუცია. რაღაცას გაფაციცებით აკვირდებოდა შორეთში და ბრიალა თვალებს ჭუტავდა, რადგან ახლომხედველი იყო.

— ცეცხლი აქ დავანთოთ-მეთქი? — გაიმეორა ბონიმ და ქვიშაზე დასკუპულ, ფრთაში თავშემალულ ბობა-ბობას გახედა. „ალბათ მოშივდა“, — რას მიშტერებიხარ?

— სეფარს ველოდები. ხედავ სადმე იალქნებს?

ჟღალი კულულები უკმაყოფილოდ შეირხა.

— სეფარს?

— ჰო, სეფარს. რა იყო?

— სეფარი მოკვდა, დაგავიწყდა? შტორმში დაიღუპა. მაშინ ყველაზე დიდი შტორმი იყო სანიარამზე, — ბონი ბობა-ბობას მიუჯდა, — ცივა, დავანთოთ რა, ცეცხლი.

— სეფარი ცოცხალია. სეფარი რომ დაღუპულიყო, სანიარამიც აფეთქდებოდა. ნუთუ არ იცი? — სილვესტრამ იისფერი კიკინიდან ბეწვი ამოიგლიჯა, სული შეუბერა და ძირს დააგდო, — აჰა, შენ, ცეცხლი.

კოცონი აელვარდა. იისფერი ენები ხელებივით წინ გაიწვდინა, იქით, სადაც ბონი იჯდა.

— მე მაინც მგონია, რომ სანიარამზე მარტო მე და შენ დავრჩით, — ბონიმ ჭორფლიანი სახე იისფერ ხელებს მიუშვირა და სიამოვნებისგან დაამთქნარა, — და კიდევ, ბობა-ბობა. მე სიამოვნებით წავიდოდი აქედან, მაგრამ არ ვიცი, როგორ. შენ კი იცი.

— სეფარს უნდა დაველოდოთ, — სილვესტრა გვერდით მიუჯდა და მხარზე თავი დაადო, — სეფარის გარეშე არსადაც არ წავალ. მითხრა, დამელოდეო. შევპირდი, ნუთუ არ გესმის?

— მესმის, — ბონიმ კაკადუ მეორე, თავისუფალ მხარზე შეისვა, — მაგრამ არ მჯერა, რომ გადარჩა. ჰოდა, ვერც მოვა. ჩვენ კი სულ მარტონი ვართ და ვარირის გარეშე დიდხანს ვერ გავძლებთ. დავიხოცებით ამ მზის ქვეშ, წვიმაში კი შენ მოკვდები... გთხოვ, წავიდეთ აქედან. დედა ენნე მეუბნებოდა, რომ ყველაზე ახლო, ცისფერი პლანეტა სანიარამისგან 228 მილიონ კილომეტრში დაცურავს, — ბონი ჩურჩულზე გადავიდა, თითქოს ვინმეს შეიძლებოდა მისი ლაპარაკი მოესმინა, არადა, მარტო მთელ მარაჯულაში როდი იყვნენ მარტონი, — ენნე იქ დაიბადა, იცოდი? მერე ცისფერ პლანეტაზე რაღაც საშინელება მოხდა, დედას არ უყვარდა ამის გახსენება, მაგრამ ამბობდა, რომ ამ საშინელებას იმათებურად ომი ერქვა. ჰოდა, ვინც სანიარამზე გამოქცევა შეძლო, ყველა გამოიქცა. ზოგი გზაში დაიღუპა, ზოგმაც ვერ მოასწრო, დანარჩენები კი შეგნებულად დატოვეს.

— რატომ? — ჩურჩულითვე იკითხა სილვესტრამ.

— ამდენი ვარირი არ ჰქონდათ. წარმოგიდგენია? — ბონის შეაჟრჟოლა, თუმცა იისფერი კოცონი ისევ ბობოქრად ბუქნავდა, — ახლა ჩვენ არც ერთი არ გვაქვს.

— აქა? — უცებ დაიჩხავლა ბობა-ბობამ.

— შია.

— მეც მშია, ბონი. უკვე ორი მირიდია, არაფერი მიჭამია.

— რა იცი?

— რაზე რა ვიცი? — სილვესტრამ იისფერი კიკინიდან კიდევ ამოიგლიჯა ბეწვი და კოცონში ჩააგდო. ცეცხლის ენებმა ბუქნას უმატეს.

— რამდენი მირიდი გავიდა. ჩვენ ხომ სულ მარაჯულაში ვართ. აქ დრო უფრო ჩქარა გადის, ვიდრე, მაგალითად, სურიამსა და თიათამში.

— ჰოდა, იმიტომაც ვიცი, — სილვესტრამ თავში წაუთაქა, — ჭკუისკოლოფო! დაიძინე. მზე რომ ჩავა, მერე ვილაპარაკოთ.

ბონი გაიტრუნა. ცოტა ხნის შემდეგ კი სილვესტრამ იკითხა:

— დედა ენნე როგორი იყო?

— სხვანაირი, — ბონის ხმაზე სულაც არ ეტყობოდა, რომ გააღვიძეს, — ჩვენ არ გვგავდა.

— მაინც რანაირი?

— დედა ენნე ადამიანი იყო.

— ეგ რას ნიშნავს? — სილვესტრამ თავი წამოჰყო, — ადამიანი რა არის?

ბონი ჩაფიქრდა.

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ენნე ამბობდა, რომ ადამიანებს მონადა აქვთ.

— მონადა?

— ჰო. აი, კი არ კვდებიან, რაღაც ტრანსფორმაციას განიცდიან და ცისფერ პლანეტაზე აღარ ცხოვრობენ.

— სხვა პლანეტაზე მიდიან? ვარირებით?

— არა, — ბონის დაძაბულობისგან სახე აუღაჟღაჟდა, — ადამიანის გარსს მიწაში მარხავენ, მონადა კი მიდის, ვარირი არ სჭირდება. მონადას ვერავინ ხედავს.

— სად მიდის, არც ის იციან?

— მე მგონი, არა.

— ცუდი ყოფილა ადამიანობა...

— ენნე კარგი იყო!

— ენნესაც ჰქონდა მონადა?

— არ ვიცი, ის ხომ აქ, სანიარამზე დაიღუპა. ცისფერ პლანეტაზე რომ ყოფილიყო, ალბათ ექნებოდა. მამა ურამს ჰქონდა მონადა.

— ისიც შტორმისას დაიღუპა?

— არა, ურამმა იმ ვარირს ვერ მოუსწრო, სადაც მე და ენნე ვისხედით. ალბათ იქ დარჩა, ომში.

— მამა ურამი სეფარივით ძლიერი და ლამაზი იყო?

— ხომ გითხარი, სხვანაირები იყვნენ-მეთქი, — ბონის ხმა უკანკალებდა.

— შენ გაქვს მონადა? — სილვესტრა წამოჯდა, — გაქვს?

— არ ვიცი, — ნაღვლიანად მიუგო ბონიმ, — ძალიან პატარა ვიყავი, ცისფერი პლანეტა რომ დავტოვეთ. მე აქ გავიზარდე, სანიარამზე, სურიამში.

— მე კი სეფართან, ოკეანის ვარირზე. სეფარი ყველაზე ღონიერი და ლამაზი სანიარამელი იყო... არის. ამ მზისფერი თვალები აქვს და ჩემნაირი თმა. სეფარმა მასწავლა პიროტექნიკა.

— სეფარი მამაშენი იყო?

— ალბათ, რადგან მისი შექმნილი ვარ.

— და დედა არ გყავდა?

— სეფარს ჰყავდა თანაშემწე სელია, შეიძლება ის იყო დედაჩემი, როგორც შენ ეძახი. მერე სელია სპეციალურ კაფსულაში ჩაჯდა და მას შემდეგ არ მინახავს. სეფარი ამბობდა, რომ ეს ექსპერიმენტი იყო.

— გენატრება სელია?

— მე სეფარი მენატრება.

— სელია არ გიყვარდა?

— რა უცნაურად ლაპარაკობთ ადამიანები. რას ნიშნავს „მიყვარდა?“

— აი, სეფარს რომ ელოდები, ეს სიყვარულია. როგორ აგიხსნა, არ ვიცი.

— სელიას არ ველოდები. სელიას მისია ჰქონდა. მარაჯულაში ბევრი იყო ისეთი გუტტე, რომელსაც მისია ჰქონდა. ამისთვის შექმნეს.

— გუტტე?

— ჰო, მარაჯულაში ცხოვრობდნენ გუტტები და სქირიონები. მე სქირიონი ვარ.

— სქირიონები რისთვის იქმნებოდნენ?

— ბრძოლისთვის. ისინი გუტტებზე ძლიერები იყვნენ და სხვადასხვა ტექნიკას ფლობდნენ.

— სეფარიც სქირიონი იყ... არის?

— არა, სულელო, ის ხომ არავის შეუქმნია!

— აბა, ვინ იყო, ადამიანი? — გაუხარდა ბონის.

სილვესტრამ თავი ნელა გადააქნია.

— არა. ეგ მარტო საბჭომ — სექვილმა იცოდა. სექვილელი სულ ხუთი იყო. მათ შორის, ერთი მამაჩემი, — იისფერკიკინიანს ამ სიტყვის წარმოთქმა გაუჭირდა. მიუჩვეველი იყო, — ამაზე არასოდეს ლაპარაკობდა. თუმცა...

ბონი ისედაც გაყურსული უსმენდა და პაუზამ მხოლოდ დაამძიმა სტრატოსფერო.

— თუმცა, ერთხელ სელიამ სეფარს უთხრა... კი არ ვუსმენდი, შემთხვევით გავიგონე, — რომელიღაც პლანეტა ახსენა, მგონი, გეა... იქ ადამიანები ქორწინდებიანო.

— მერე? — ბონიმ ნერვიულობისგან მისი კიკინის ბოლო გაღეჭა.

— სეფარმა უთხრა, ვიცი და თუ მისია კარგად დასრულდა, გეაზე აუცილებლად დავბრუნდებითო. ალბათ იმ რაღაც დაქორწინების გაკეთება უნდოდათ, ვერ გეტყვი. შეიძლება სეფარი გეადან იყო?

— გეა... — ბონიმ ნერწყვი გადაყლაპა, — გეა ენნეს ცისფერი პლანეტაა. ენნე და ურამი დაქორწინებული იყვნენ. აი, რა არის დაქორწინება!

— რა? — სილვესტრას ბრიალა თვალებმა იისფერი ცეცხლის ენები აირეკლა.

— როცა დედა და მამა ერთად არიან და შვილებს აჩენენ.

სილვესტრას კისკისმა კოცონი კინაღამ ჩააქრო.

— გეაზე ასე ეძახიან გუტტებისა და სქირიონების შექმნას? გაჩენა! რა სასაცილო სიტყვაა.

— სილვესტრა!

— რა იყო?

— გესმის, რომ თუ სეფარი გეადან იყო, ესე იგი ადამიანია!

— მე არ მესმის რა არის ადამიანი! — გაბრაზდა გოგო, — არც შენ იცი!

— მე ვარ ადამიანი!

— სისულელეა. არაფერი გახსოვს. შენ არა თქვი, ძალიან პატარა ვიყავი, როცა ენნემ სანიარამზე წამომიყვანაო? იქნებ არ წამოუყვანიხარ და აქ შეგქმნეს? ან იქნებ გეაზეც ქნიდნენ გუტტებს, რომლებსაც იქ ადამიანები ერქვათ?

— იქაურებს მარტო ადამიანები ჰქვიათ, — ხმადაბლა, მაგრამ ჯიუტად განაცხადა ბონიმ, — გეაზე მარტო ადამიანები ცხოვრობდნენ.

— ჰოდა, აბა რა იცი შენ, ადამიანო? რისი გაკეთება შეგიძლია? — სილვესტრას ბრაზისგან სახე თმისფერი გაუხდა, — მე ცეცხლს ვაჩენ და გათბობ. შენ რა შეგიძლია?

— მე? მე სიყვარული შემიძლია! მე შენ მიყვარხარ, სილვესტრა!

(გაგრძელება იყოს?)

ᲮᲘᲠᲘᲮᲘᲡᲞᲘᲠᲘ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

22 – 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015

№ 29 (293)

7

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲑᲐ. ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘ



Ziza Bzvania

ᲒᲐᲚᲛᲐ ᲜᲐᲞᲘᲠᲘ

ეს ქუჩა სადღაც გარბის და გარბის,
მე მივდევ უკან და ვერ ვეწევი,
და მტკვარზე ხიდი — თბილისის წარბი,
ჩამივარდება თვალში ბეწვივით.
მთაწმინდას, როგორც ღმერთების ბოხჩას,
დაეცა დილის პირველი სხივი,
შორიდან თეთრი გუმბათი მოჩანს,
გრიბოედოვის ძეგლივით ცივი.
მახსოვს, აქ ერთი ხე იდგა უწინ,
აქ რომ ხე იდგა, თავისით გახმა,
ხე უნაყოფო კაცივით ძუნწი
და უპატრონო ქალივით კახპა.
ხე უნაყოფო თავისით გახმა,
გამოეცალა ხელიდან აპრილს,
მე მშრალი ხიდით გავდივარ გაღმა
და გამოვყურებ გამოღმა ნაპირს.

ᲦᲛᲔᲠᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ

დემიკო ლოლაძეს

ვერ ჩაეტიე სივრცეში, დროში...
შენ გეურჩება ქურდიც, მინისტრიც...
მე შენთვის მოვკვდი აგვისტოს ომში
და მარტო დავრჩი ღმერთის პირისპირ.
ობოლი ბიჭი მიდენის ხარებს,
რომელსაც ცრემლით სავსე აქვს თვალი
და ბაირონის „უსივრცო მხარე“,
ქვითინებს, როგორც შეშლილი ქალი.
ზოგჯერ მეც სიტყვა მივკიბ-მოვკიბე,
მივდექ-მოვდექი, ავწონ-დავწონე
და ქარი, როგორც ურცხვი როსკიპი,
ღაწვებს მიკოცნის და თავს მაწონებს.
არეული ვარ გაჭრილ კარტივით
და ვგავარ ძველი აღთქმის ავტორებს.
თუ შეგიძლიათ, დამდეთ პატივი,
ღმერთის პირისპირ მარტო დამტოვეთ.

ᲚᲘᲐ ᲔᲑᲠᲐᲚᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲝᲜᲔᲑᲐ

როგორც ქუხილის ძალა უხეში,
უბერებელი გულის ძახილი,
ჩაუვარდება წარსულს მუხლებში,
რომ ამოტყორცნოს შენი სახელი.
ამოიყვანოს მოგონებების
ლაბირინთიდან აბლაბუდები,
სისულელეა, ეგ არ ეგების,
შენ არსაიდან არ დაბრუნდები.
ერთად მოვხსენით გრძნობებს ხუნდები
და საყვედური უფლის არ გვეთქმის,
ვერც შენ და ვერც მე ვერ დავბრუნდებით,
ჩვენ ხომ ორივე ერთად ავფეთქდით.
ავფეთქდით, როგორც ლულაში ტყვია,
ავფეთქდით, როგორც ვაზნაში დენთი,
იქ, სადაც ახლა პალმების ტყეა,
გაიხსნა ცა და გამოჩნდა ღმერთი.
რახან სიცოცხლე ერთხელ გვეძლევა,
ცხელი ვნებები დავდგით გორებად,
სისულელეა, არ შეიძლება
იმ აფეთქების გამეორება.

ᲯᲕᲐᲠᲪᲛᲐ

მე საკუთარ თავს დანტესსთან დუელში ვხედავ,
შავი მდინარე შეიღებება სისხლით,
ხოლო მარტინოვს აუტირდება დედა,
მაშუკის მთაზე ცა რომ დახედავს რისხვით.
შენი გულისთვის გულში ჩავიცემ ხანჯალს,
მე ვგავარ შეშლილს და შუბლში ტყვიანაკრავს,
მე უშენობა მტანჯავს და ჯვარზე მაკრავს.
შენი გულისთვის დავითხოვ პირად დაცვას,
გულივით ფეთქავს ჩემი მხურვალე მაჯა,
მე ყაბულსა ვარ, მტანჯო და ჯვარზე მაცვა,
შენი გულისთვის სამოთხედ ჩავთვლი ტანჯვას.
მე ჯოჯოხეთშიც შენთვის ავანთებ სანთელს,
შენთან ჯოჯოხეთს მე ჩემს სამოთხედ ჩავთვლი.
ყველგან ვიტყვი, რომ შენი სიცოცხლე მმართებს,
მტანჯე და მტანჯე, ცეცხლზე დამასხი ნავთი.
ყინვა იყო და შენს სატანჯველში გავთბი,
თუ არ დავშრი და თუ არ გამიშრა სისხლი,
გულის ხანძარზე თუ არ დამასხი ნავთი,
საკუთარ მაჯებს მე თვითონ გადავიხსნი.
P.S.
მარტინოვს, როცა დაებინდება მაშუკი,
შავი მდინარეც შეიღებება სისხლით,
თუკი მოხვალ და სველ თვალებს შემაშუქებ,
მაშინ იესო სიკვდილისაგან მიხსნის.

ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲨᲘ

შენ ეფერები სხეულს საკუთარს,
საკუთარ თვალებს, მკერდსა და ღაწვებს,
არ იცი, ღმერთმა რატომ აკურთხა,
კაცი, ვისთანაც შენ უნდა დაწვე.
ეს იყო გუშინ, დღეს კი მართკუთხა
ოთახში ვარ და მაღლდება წნევა,
კაცი, რომელიც ღმერთმა აკურთხა,
ის კაცი მე ვარ და შენთან ვწევარ.
ის კაცი მე ვარ და ერთად ვწევართ,
მიზიდულობა მართავს სხეულებს,
ვწევართ და ვგავართ ადამს და ევას,
ამ ჯოჯოხეთში გამოქცეულებს.

ᲒᲘᲐᲮᲚᲝᲕᲓᲔᲑᲘ

ფუტკრებით სავსე და თაფლით სავსე,
სკა ხარ და არ ჩანს მისი პატრონი,
ნეტავი დიდხანს გაგრძელდეს ასე,
ნეტავი დიდხანს ვიყოთ მარტონი.
ხან ჩემი ფიქრის უძირო ჭა ხარ,
ხან კიდევ ულმობელი ავაზა,
შორიდან უფრო ლამაზი ჩანხარ,
ახლოდან — კიდევ უფრო ლამაზი.
ყელყელაობენ თეთრი შორტებით
მუხლები, სწორი და ხელუხლები,
გიახლოვდები — უფრო გშორდები,
გშორდები — უფრო გიახლოვდები.

ᲔᲠᲗᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲓᲦᲔ

მე დავიღალე ამდენი წერით,
ხმაურითა და დავიდარაბით
და მინდა, ვიდრე მივიღებ წერილს,
ჩემი ხომალდი პორტში დავაბა.
მე მინდა აქვე ჩავუშვა ღუზა,
ვიგემო შენი მიწის ბარაქა,
ლამაზი ქალი, როგორც ჯვრის ტუზი,
შემომაჩეჩა ხელში ქალაქმა.
მე და ის ქალი ვუსინჯავთ გემოს,
ღვინოს და ყავას, იაფად და სწრაფად,
და ნავსადგურში დგას თეთრი გემი
და დროშასავით ფრიალებს აფრა.

ᲛᲐᲠᲫᲕᲐᲚᲐ

(ასე ეძახიან აჭარაში წითელქუდა კოპლებიან სოკოს)

დღე იყო მშვიდი, მშვიდი და გრილი,
მზიანი დილა მოგავდა ხვითოს
და ბროწეულის ყვავილის ჩრდილი
ბალახზე თაიგულივით იდო.
ვეღარ მიაგნო თვალმა ისლები...
ისეთი დღეა, აღარ დავშრებით.
მუხნარი სოკოებით ივსება,
ვით ეზო წითელქუდა ბავშვებით.
მუხნარის იქით მოჩანს ნაძვები,
ნაძვნარში რუხი მგელი დაძვრება,
წითელქუდას თუ გადაეყარა,
მერე ყველანი კარგად იყავით.
ჭრელპერანგა და კოპლებიანი
შინ მიმაქვს წითელქუდა მარქვალა,
მესალბუნება დილის ნიავი
და ცაზე თეთრი ნისლი გამქრალა.
დღე არი ისე მშვიდი და გრილი,
რომ ბარდნალაში წავიდა ლადო
და ბროწეულმა ყვავილის ჩრდილი
ბალახზე თაიგულივით დადო.

ᲭᲐᲓᲠᲔᲑᲘ

სულს რომ მოვითქვამ ლამაზი ქალით,
როგორც მწყურვალი ლუგელას წყალით,
გამოვალ გარეთ, ვგრძნობ უცხო ბიძგებს,
გული ორმაგი სიამით მიძგერს.
ვესაუბრები რუსთველის ჭადრებს,
ზოგი მათგანი ვეღარ ვიცანი,
ადრე ისინი სხვანაირი ჩანდნენ,
ანდა მე თვითონ გამოვიცვალე.

● ● ●

დროს ვერ გავუსწარ, დრომ მე გამისწრო,
დრომ ბევრი ვინმე მოისაკლისა,
ასე გავიდა ცხელი აგვისტო
და ამიფეთქდა გულში საყდრისი.
ჩავიდა მზე და ჩამოწვა ბინდი,
ცა ვარსკვლავებმა მოამირაჟეს.
მტკვარი მცხეთიდან თბილისში მიდის
და მიაქვს ჩემი ფიქრის ტირაჟი.
სექტემბერია გრილი და თბილი,
მე მომელიან ყველგან და არსად,
და იყურება ფანჯრიდან დილა,
ცხნობისმოყვარე გოგონას მსგავსად.
ჩუქურთმასავით გამოკვეთილი,
დამყავს ფიქრები, როგორც ამქრები,
ჩამოვარდები წვიმის წვეთივით
და შენი თმების ტყეში გავქრები.
დაჭიმული ვარ, როგორც მავთული
და სტუმარივით მათვალიერებს,
მაგნოლიებით სავსე ბათუმი,
სავსე წვიმებით და თოლიებით.

● ● ●

მე შენთვის მოვკვდი თავგამეტებით,
გავწირე სისხლის წვეთი ყოველი,
მე დავამსხვრიე შენი კერპები
მე აგიშენე სვეტიცხოველი.
ჩაცხრა მზისა და წვიმის ორგია,
შენ იყავ ჩემი თვალის ამხელი,
არც ჯორჯია ხარ, არც გეორგია,
საქართველოა შენი სახელი.
მე მივაგენი დასადაფნავი,
რაც ადრე სიზმრად მქონდა ნანახი,
გელათში — თამარ მეფის საფლავი,
მცხეთაში — სერაფიტას სამარხი.
უფალმა მე აქ დამაბინავა,
წმინდა ნინოა ჩემი დობილი,
მე შენი ხალიბური რკინა ვარ,
პრომეთეს ცეცხლში გამოწრთობილი.

ᲓᲘᲓᲗᲝᲕᲚᲝᲑᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

1985 წლის 5 მარტს ბათუმში თოვლის საფარმა ოთხ მეტრს გადააჭარბა.

ზამთარში, ცხრაას ოთხმოცდახუთის,
ბათუმში თოვლი დადო იმდენი,
მოვძებნე ზამთრის ქურქი და ქუდი,
დედის ნაქსოვი მატყლის წინდები.
ქალაქში თოვლი თოვლზე მეტია,
მგონია უდაბური კუნძული,
თოვლი აღარსად არ დაეტია
და სტიქიასთან დავრჩით უძლური.
დაგვარბია და დაგვაშამათა,
ქუჩები მოგავს შახტის გვირაბებს,
ასე დაღამდა ერთი შაბათი,
ასე გათენდა ერთი კვირადღე.
ვერ მოვერიეთ შემზარავ ზამთარს,
ჯოჯოხეთური გვიდგას ამინდი,
ამ ყიამეთში დაგეძებ, თამთა,
გაოგნებული სახის რაინდი.
ამ ყიამეთში ვეძებდი დიდხანს,
ვეწვიე შენი ქუჩის შესახვევს,
მაინც ვერ გეტყვი, ნურაფერს მკითხავ,
ჯოჯოხეთური თოვლის შესახებ.
თოვს. დუელია ცისა და მიწის.
თოვლი წალეკავს ნოეს კიდობანს.
ზამთარმა ცუდი სიზმრები იცის,
მკითხველო, ღმერთმა მოგცეს მშვიდობა.

ᲦᲐᲛᲔ

ისე წახვედი, არ გითქვამს რამე,
სიბნელე ისეც აწვება კარებს.
მოვიდა შუქი და ბნელი ღამე
შავი ძაღლივით გააგდო გარეთ
და გვიან, როცა ვიგრძენი დაღლა,
დავხურე წიგნი, გამოვრთე შუქი,
ვიწამებ, დიდი ღმერთია მაღლა,
დამესიზმრები ამაღამ თუკი.

2008 ᲬᲚᲘᲡ 8 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲦᲐᲛᲘᲡ ᲡᲘᲖᲛᲐᲠᲘ

ᲖᲐᲖᲐ ᲐᲑᲖᲘᲐᲜᲘᲫᲔᲡ

ახლა რუსთველზე იმგვარად ცხელა,
რომ ჭადრებს წვიმის წყალი წყურიათ
და ჩემი ფიქრი თბილისისხელა,
დღევანდელ დღეზე გამორწყულია.
სურათი იყო ისე მთლიანი,
რამ დამავიწყოს ნეტავი ის დღე,
გალაკტიონი და დადიანი
მწერალთა ბაღში ძელსკამზე ისხდნენ.
ბატონი შალვა დინჯი და მშვიდი,
გალაკტიონი ფიცხი და ბავშვი,
ნიავი თავის მარაოს შლიდა
და ჭახჭახებდა სუროდან შაშვი.
რა ვქნა, ამ სურათს ცხადში ვერ გავცვლი,
მზეში ცურავდა ოქროს მთა-ბარი,
როცა წამოდგა ორი მზეკაცი
და მამადავითს მიესაფარა.
დავრჩი ფიქრებში გამოკეტილი,
აწი თქვენ ნახეთ ჩემი წვალება,
შენ ამიხდინე, ღმერთო, კეთილად
ეს სიზმარი და ფერისცვალება.

● ● ●

დავტოვე გემი და კაიუტები,
ეს კაიუტები და ეს გემები,
ვიცი, რომ აღარ გამებუტები,
ბათუმის პორტში შემეგებები.
შემოხვალ ჩემში, როგორც საყდარში,
როგორც საყდარში შედის მლოცველი,
მე ღმერთის ნებით შტორმებს გადავრჩი,
ღმერთის ნებით და შენი ლოცვებით.
ჩემი სულის და ხორცის ნაწილებს,
ჩემ წილ სიცოცხლეს, დროს და მანძილებს,
ზაფხულის წვიმას, მე რომ მაწვიმებს,
სუყველას მე შენ გაგინაწილებ.
შტორმს და მისტრალებს გადარჩენილი,
ვარძიისა და მცხეთის ხედებით,
ღმერთთან დავრჩები მამაჩემივით
და მამულის კვამლს შევაბერდები.

● ● ●

მეძახის ლანდი გარდაცვლილ მამის,
მე იგი ყველა საფრთხისგან მიცავს,
და ყველა წუთი, წუთი თუ წამი,
შენ თავს მახსენებს, მშობელო მიწავ.
მე სუყველაფერს გეტყვი ახლავე,
ვინ სად გიმუხთლა, ვინ სად მიქარა,
მე გეტყვი, ზამთარს რატომ ახველებს,
რამ გადაჩეხა ხრამში წიქარა
მე ვგავარ შენი გემის კაპიტანს,
მე მაღვიძებენ ზარზმის ზარები,
ერთ ღელოს კიდევ ერთხელ გავიტან
და სიკვდილს მერე დავემგზავრები.

● ● ●

სიცარიელით სავსე ოთახი,
ისე, ვით დაკრეფილი ვენახი,
უჩინმაჩინის ქუდით მოვნახე
და სიზმრის ცხელი ხელი შევახე.
სიზმრის უფალი ზარზმაში მგზავნის,
თითქოს დაიმსხვრა იმედის სურა,
თითქოს გაუჩნდა ჩემს ეჭვებს ბზარი,
ანდა ეჭვები გაქარწყლდა სულაც.

ქართული ოცნება
ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
გიორგი ლეონიძე

ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ

თეა წულუკიანი: „ამას პირველად ვიტყვი!“

შემეძლო, ამ ექსკლუზიური ინტერვიუსთვის ვრცელი შესავალი გამეკეთებინა, მაგრამ ვამჯობინე, არაფერი ვთქვა და, უბრალოდ, საქართველოს იუსტიციის მინისტრთან ექსკლუზიური ინტერვიუ წარმოგიდგინოთ, თუმცა ერთს მაინც აღვნიშნავ: მე და თეა წულუკიანმა ზუსტად 58 წუთი ვისაუბრეთ... ინტერვიუს „დაჩეხვა“ არ მჩვევია... ასე რომ, თქვენს წინაშე ამ 58-წუთიანი დიალოგის, პრაქტიკულად, სტენოგრაფიული ჩანაწერია. პრაქტიკულად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ერთადერთი კითხვა-პასუხი ამოვიღე, რომელიც ვფიქრობ, ფართო საზოგადოებისთვის მაინცდამაინც საინტერესო არ უნდა იყოს...

რატომ ჰქონდა ივანიშვილთან უთანხმოება, რას ფიქრობს ირაკლი ალასანიაზე და თვლის თუ არა ყოფილ თანაპარტიელებს მტრებად – ექსკლუზიური ინტერვიუ იუსტიციის მინისტრთან

– ორ წელზე მეტი გავიდა, რაც ერთმანეთი აღარ გვინახავს... ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა... უწინდელივით, შენობით ვილაპარაკოთ თუ თქვენობით?

– რა თქმა უნდა, შენობით...

– ანუ, მეგობრობა ისევ გვაკავშირებს?

– ჩემი მხრიდან ასეა, თან მახსოვს, პარტიის ოფისში ერთხელ მითხარი, იუსტიციის მომავალი მინისტრი ხარო.

– ესე იგი, კარგი წინთგრძნობა მაქვს...

– ანალიზისა და, ალბათ, განჭვრეტის უნარიც...

– მიხარია, ეს დეტალი რომ გახსოვს... თეა, მოდი, ახლა სერიოზულ თემებზე გადავიდეთ და საუბარი ხურვალეთით დავიწყოთ: საქართველოს იუსტიციის მინისტრი ჟურნალისტების საპროტესტო აქციას როგორ აფასებს, იმ ჟურნალისტებისა, რომლებიც კარასინმა და მანანა კობახიძემაც პროვოკატორებად გამოაცხადეს?

– ჟურნალისტების აქცია ბუნებრივი რეაქცია იყო, რომელიც ყველა მოქალაქეს, პროფესიის მიუხედავად, უნდა ჰქონდეს. როცა გავიგე, რომ ჟურნალისტები ამ აქციის ჩატარებას აპირებდნენ, შემეშინდა, რომ მეორე მხრიდან მათზე არაფერი წამოსულიყო და გამიხარდა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. არ მგონია, რომ ვინმემ დამნაშავე აქეთ მხარეს უნდა ეძებოს. დამნაშავეები, ალბათ, იქ უნდა ვეძებოთ, სადაც ჩვენი ქვეყნის მცოცავი აგრესია და ანექსია „იხარშება“. ამიტომაც, მგონია, რომ ეს სამოქალაქო გამბედაობის აქტი იყო, რომელსაც თვალს შიშით ვადევნებდი, რომ მათ წინააღმდეგ ვინმეს პროვოკაცია არ ჩაედინა.

– ესე იგი, ქალბატონი კობახიძის მსგავსად, არ ფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ ორგანიზებული აქცია იყო?

– ვფიქრობ, რომ ეს, როგორც გაშუქდა, ჟურნალისტური აქცია იყო... როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ერთი უპარტიო წევრი ჩემს აზრებს ვამბობ...

– უპარტიობა საინტერესოა და ამაზე ვილაპარაკოთ... ოკუპანტებმა ბანერი ისევ აღმართეს და ისეთი განცდა მაქვს, რომ ერთ დილას რუსები შეიძლება, თბილისში დაგვხვდნენ. ამ სიტუაციაში ხელისუფლებამ რა ნაბიჯები უნდა გადადგას? ისე, თითქმის ანალოგიური ვითარება 2008 წელს გავლილი გვაქვს. დღეს ითვლება, რომ მაშინდელი ხელისუფლება პროვოკაციას წამოეგო და ომი დაიწყო...

– 2008 წლის აგვისტოში ომი რუსეთმა დაიწყო, ოღონდ ამას სააკაშვილის ხელისუფლების შეცდომების კასკადი უძღოდა. მაქვს იმის ჯანსაღი ამბიცია, ვთქვა: ამ მთავრობას ვერ დავუკარგავ, რომ ვიდრე რამე ნაბიჯს გადადგამს, წინასწარ აანალიზებს და აზროვნებს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამ ორწელიწადნახევარში საგარეო ან შიდა პოლიტიკა ადვილი და ია-ვარდით იყო მოფენილი, ასე არ ყოფილა. ჯერ კიდევ ივანიშვილის და შემდეგ, ახალი პრემიერის დროს, ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტა დანის პირზე გავლა იყო.

– მთავრობას დანის პირზე გავლა საგარეო საკითხებში უფრო უწევს თუ საშინაო?

– ეს ერთი და იგივეა. ვერ ვიტყვი, რომ წმინდა საგარეო საკითხია, როცა ოკუპანტი შენს ტერიტორიაზე დგას. ამიტომაც ვამბობ, შიდა და საგარეო-მეთქი... ძალიან ბევრი სირთულე იყო. ამ მთავრობას ის დადებითი აქვს, რომ საგარეო კუთხით პრაგმატულ და ფრთხილ პოლიტიკას ინარჩუნებს, რომელიც განუხრელად დასავლური და ევროატლანტიკურია. ამის დასტურია ისიც, რომ მაგალითად, ვიზალიბერალიზაციის პირველი ფაზა წარმატებით დავხურეთ, რიგის სამიტზე გვითხრეს, რომ ბევრი რამ გაკეთდა და სხვადასხვა სტრუქტურაში შეა-სამუშავებელი ორი-სამი კანონიღა დარჩა; ასოცირების შეთანხმებას ხელი მოეწერა; ნატო-ს მიმართულებით, უელსის სამიტზე, რაც იმ ეტაპზე იყო შესაძლებელი, წარმატება იქნა მიღწეული და ეს გრძელდება; თავდაცვის ახალმა მინისტრმა ფრანგებთან ხელი ორ ხელშეკრულებას მოაწერა, რაც ჩვენი ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობის გასაძლიერებლად ძალიან მნიშვნელოვანია. ეს ვიღაცას არ მოწონს. ეს ვიღაც კი ისაა, ვინც გაბრაზდება, რომ სახელმწიფო ძლიერდება.

რა უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ? – სახელმწიფოს გაძლიერებისა და მშენებლობის, ასევე, ჩვენს მეზობელს როგორც არ უნდა მოსწონდეს, დასავლური კურსი უნდა გააგრძელოს, რადგან ეს მისი საწინააღმდეგო კი არა, ჩვენი ხალხის უკეთესი მომავლისთვისაა.

– დასავლური კურსის გაძლიერება კარგია. ისე, ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას ხელი „ოცნების“ დროს მოეწერა, თორემ პროცესი ადრე დაიწყო, თუმცა ამაზე ლაპარაკი არ გვინდა...

– როგორ არ გვინდა?! ასოცირების შეთანხმებას ხელი იმიტომ მოეწერა, რომ იუსტიციის სამინისტრომ, ჩემი ხელმძღვანელობით, სასჯელაღსრულების სამინისტრომ, სოზარ სუბარის ხელმძღვანელობით, მხოლოდ ეს ორი სამინისტრო რომ ავიღოთ, უპრეცედენტო რეფორმები ჩაატარა მართლმსაჯულების, ადამიანის უფლებებისა და უფლებრივ დარგში, ეს რომ არ მომხდარიყო, როცა პატიმრებს ცოცხებით აწამებდნენ, ასოცირების შეთახმების ხელმოწერა არ შედგებოდა. ეს პროცესი ადრე დაიწყო, მაგრამ წარმატება ვერ დადგებოდა. ამიტომ, ამ თემას ისე ნუ შეფუთავთ, რომ დაიწყო და ბოლოში თითქოს ინერციით მივიდოდა. ხელისუფლება რომ ჩაგვბარდა, ასოცირების შეთანხმება ცუდ ფიზიკურ ფორმაში იყო და რეფორმები ჩავატარეთ – იუსტიციის მინისტრმა საპროკურორო უფლებამოსილება მოიხსნა და თქვა, პროკურორი, როგორც მოსამართლე, თავისუფალიაო; იურიდიული დახმარების ბიურო ციხეებიდან გავიტანეთ, პატიმრების წამება შეწყდა და მთავარ ადგილზე უფლებები დადგა, ივნისის ხელმოწერა შესაძლებელი ამან გახადა. ამიტომ, ეს „ნაციონალების“ ინერციით მიღწეული წარმატება არ ყოფილა.

– თუკი ასეა, მივესალმები...

– თუკი არა, ასეა...

– როცა ლაპარაკი ვიზალიბერალიზაციაზეა, „ოცნების“ ოპონენტები, მათ შორის, თეა წულუკიანის ყოფილი თანაპარტიელები, სადაც მარტო იყავი, ამბობენ, ხელისუფლება არაფერს აკეთებს, რომ დეკემბერში სასურველი შედეგი მივიღოთ, ევროკავშირის ქვეყნების დედაქალაქებთანაც არ მუშაობს და ბოლო დროს დასავლურ მედიაში საქართველოზე ერთი სტატიაც არ გამოქვეყნებულაო. მოკლედ, თეა, ოპოზიცია თვლის, რომ ევროპას კარი უნდა შევუმტვრიოთ... ამ მიმართულებით ხელისუფლება და, კონკრეტულად, იუსტიციის სამინისტრო რას აკეთებს?

– იუსტიციის სამინისტრო იმას აკეთებს, რომ უწყებათაშორისი ჯგუფი ბრიუსელში ძალიან აქტიურად მუშაობს. სულ ბოლო ვიზიტზე რომ გითხრათ, მაგალითად, 6 ივლისს, ჩემი პირველი მოადგილე სანდრო ბარამიძე, საგარეო საქმეთა და სხვა უწყებების წარმომადგენლები, სამუშაო ჯგუფის დონეზე, შს კომისიაში იმყოფებოდნენ. ამ პროცესს კარის მტვრევას არ დავარქმევ, რადგან კარის მტვრევა ჩვენი სტილი არაა. ამ შეხვედრაზე იმაზე ილაპარაკეს, რამაც დეკემბერში შედეგი უნდა მოიტანოს და ეს პოლიტიკური სამუშაო ჯგუფი საქართველოში კარგი მესიჯებით დაბრუნდა. ასეთი შეხვედრა თვეში რამდენჯერმე იმართება.

რაც შეეხება დედაქალაქებში მუშაობას, პრიორიტეტად ის ქვეყნები გვაქვს, სადაც, როგორც თვითონ ამბობენ, ქართული წარმოშობის ორგანიზებული დანაშაული ძალიან აქტიურია.

– ამ კუთხით, ალბათ, ესპანეთი „ლიდერობს“...

– ლაპარაკია ესპანეთზე, გერმანიაზე, ჰოლანდიასა და საფრანგეთზე. სხვა ქვეყნებში ეს განცდა მესამე და მეოთხე პლანზეა. ეს ოთხი ქვეყანა კი, პირდაპირ კითხულობს, თუ საზღვრები გაიხსნება, იმ ქართველების რაოდენობა ხომ არ მოიმატებს, ვინც ქურდობენო. სწორედ ამიტომ, პარიზში, საფრანგეთის შს მინისტრს, ბატონ კაზნევს შევხვდი, რომელმაც განაცხადა, რომ წინა წლის სექტემბრიდან, ანუ მას შემდეგ, რაც საფრანგეთში, საქართველოს საელჩოში პოლიციის ფრანგულისმცოდნე ატაშე დაინიშნა, თანამშრომლობით კმაყოფილნი არიან. პოლიციის ატაშე შსს-ს ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამსახურს ქართველების იდენტიფიკაციასა და მათ ქვეყანაში დაბრუნებაში ეხმარება – ეს ჩვენი ვალდებულებაა. სხვათა შორის, საფრანგეთის შს მინისტრმა ღიმილით აღნიშნა, აქ ჩამოსული ქართველების უმეტესობა თავს ნიკო ფიროსმანს ეძახის და გაყალბებული დოკუმენტები აქვსო. აქვე, აღნიშნა, ვიცით, რომ საქართველოში ვერც პირადობის მოწმობა ყალბდება და ვერც – პასპორტი, მაგრამ ქსეროასლს გვაჩვენებენ და ამბობენ, დედანი დავკარგეთო...

– საფრანგეთში ქართველები თავს მართლა ფიროსმანად ასაღებენ?

– ზოგს ფალსიფიცირებული პასპორტის ასლში ნიკო ფიროსმანი უწერია, ზოგს – წერეთელი და ზოგსაც – რა ვიცი, რა...

– ნეტავ, ბიძინა ივანიშვილი არავის უწერია?

– არც – ვანო პავლიაშვილი...

საფრანგეთის შს მინისტრს ვუთხარი, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სამსახურში ფოტოამოცნობის სისტემაა დანერგილი – საკმარისია, პასპორტის ასლი გადმოგვიგზავნონ და ფოტოთი პიროვნებას დავადგენთ. სხვათა შორის, ამას კვირაში რამდენჯერმე ვაკეთებთ...

– ფოტოამოცნობა აქამდე არ ხდებოდა?

– კი, მაგრამ ამ ქვეყანაში ინერციით არაფერი ხდება და სისტემას „აბდეითი“ მე გავუკეთე. ეს საკმაოდ დიდი ფული დაჯდა, მაგრამ „სოფტი“ უფრო თანამედროვე გავხადეთ და დასავლეთ ევროპის იგივე ტიპის „სოფტეფთან“ თავსებადია. ყველაფერ ამას ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლობა მაღალ ხარისხში აჰყავს.

გარდა ამისა, საქართველოში ბელგიის მიგრაციის სამსახურის უფროსი მოვიწვიე, რომელიც რანგით იგივეა, რაც ჩვენთან შს მინისტრი, ან სასაზღვრო პოლიციის უფროსი და პირდაპირ მან უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, საზღვარი გაგვიხსნას თუ არა. რატომაა მნიშვნელოვანი, რომ იქით ჩასვლის გარდა, დრო მოვაძებნინოთ და აქეთაც ჩამოვიყვანოთ? – იმიტომ, რომ აქ საზღვარს, აეროპორტს, გამშვებ პუნქტებს, ბაზებს ნახავენ, მიგრაციის სახელმწიფო კომისიას შეხვდებიან და აქედან აბსოლუტურად სხვა ადამიანები წავლენ. ესაა პასუხი შეკითხვაზე, თუ როგორ ვმუშაობთ...

სექტემბერში, ჰოლანდიაში მივდივარ და იქაც ანალოგიურ სამუშაოს ჩავატარებ. გერმანიაში უკვე ვიყავი...

– ამ კუთხით ყველაზე „სუსტი რგოლი“ მაინც ესპანეთი მგონია, სადაც, დღე არ გავა, ქართველები არ დაიჭირონ...

– ესპანეთთან გომელაურის უწყებას ძალიან კარგი თანამშრომლობა აქვს და იქიდან შეკითხვები ნაკლებად მოდის. დამნაშავე ნებისმიერი წარმოშობის და შეიძლება, ადგილობრივიც იყოს – ესპანეთი არ ამბობს, რომ დანაშაულს ესპანელები არ ჩადიან, მაგრამ მთავარი თანამშრომლობაა – იდენტიფიკაციაში დავეხმაროთ და თუ დასაბრუნებელია, დავიბრუნოთ. ეს ადრე ვერ ხდებოდა. წელიწადზე მეტია, როგორც თვითონ ამბობენ, ბარიერების გარეშე ხდება.

– მოკლედ, თეა წულუკიანი, ვთქვათ, 50-პროცენტიან გარანტიას იძლევა, რომ დეკემბერში ვიზალიბერალიზაციას მივიღებთ?

– ის პერსონა არ ვარ, ვინც შეიძლება, გარანტია მოგცეთ, რადგან მე გადაწყვეტ-

გაგრძელება მე- 9 გვ.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ, ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ

22 – 28 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ 2015

№ 29 (293)

9

ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ. ᲖᲜᲔᲠᲝᲑᲐ. ᲰᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠ

ᲛᲔ-8 ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ილებას არ ვიღებ. გადაწყვეტილებას ბრიუსელი იღებს, ამიტომ, გარანტიაც ბრიუსელმა უნდა მოგცეთ, როცა ინტერვიუს იქ ჩაწერთ!

– ბრიუსელს, უფრო სწორად, იქაურ განწყობას კარგად იცნობ...

– განწყობა, როგორც გითხარით, დადებითია. გარანტია კი, რისი მოცემის უფლებაც და ვალდებულებაც მაქვს, ისაა, რომ რიგის სამიტზე პირველი ბლოკი საერთოდ დაიხურა – არავინ აღარ გვამოწმებს, უსაფრთხო დოკუმენტები გვაქვს თუ არა და ელექტრონული ბაზები ევროპულ სტილზე აწყობილია თუ არა. ბევრი სხვა კრიტერიუმიც დაიხურა, რაც პირდაპირ ჩემი საქმე იყო. ამიტომ, ვიძლევი გარანტიას, რომ ის საქმე, რაც გვაბარია, გაკეთდება და თუ ჩაიწერა, ყველაფერი შესრულებულიაო, იმედი მაქვს, ბრიუსელი ერთადერთ სწორ გეოპოლიტიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს, რასაც საქართველოსთვის უვიზო რეჟიმი ჰქვია.

– რა ამის პასუხია და, ცოტა დავკომპლექსდი...

– რატომ?

– შევთახმდით, რომ ტრადიციულად, შენობით გველაპარაკა, მაგრამ უცებ თქვენობაზე გადახვედით, მაგრამ არა უშავს... „ნაციონალები“ იუსტიციის სახლების პროექტის დახურვით აპელირებენ, თუმცა ამას წინათ, სადღაც წავიკითხე, რომ მალე ყაზბეგში იუსტიციის სახლი გაიხსნება. თუ იხსნება, აბა, დახურვაზე აყიოტაჟი რატომღა ატყდა?

– როცა „ნაციონალები“ ამბობენ, რომ იუსტიციის სახლი დაიხურა, ასეთი სახლი მართლა დაიხურა, ოღონდ – კიევში, რომელიც ვაშაძემ პომპეზურად გახსნა. რამდენიმე კვირის წინ, როცა უკრაინაში, ჩემს კოლეგასთან ძალიან კარგი საპასუხო ვიზიტით გახლდით, ამ სახლის ნახვა მოვინდომე, მაგრამ მითხრეს, უხერხულ მდგომარეობაში ნუ ჩაგვაყენებთ, ვერ გაჩვენებთო.

– რატომო?

– იმიტომ, რომ წარუმატებელი იყო და დაიხურა. საქართველოში კი, იუსტიციის ერთი სახლიც არ დახურულა და ალბათ, ყველა სარგებლობთ. ერთადერთი, კიევში დაიხურა – „ნაცმოძრაობამ“ ამ რეფორმის ექსპორტი ვერ განახორციელა.

რაც შეეხება საქართველოს იუსტიციის სახლებს, დამხვდა 12 სახლი, ძალიან ბევრი პრობლემით, მათ შორის, თბილისის იუსტიციის სახლი, რომელიც 2012 წლის სექტემბერში გახსნეს, რეალურად, ახალშობილი პროექტი ჩამბარდა და დღეს ეს ახალშობილი პროექტი უფრო გამართულია, ვიდრე იყო და დღეში 10 ათასზე მეტ მოქალაქეს წარმატებით ღებულობს. ყველა კვლევა აჩვენებს, რომ 99-პროცენტიანი კმაყოფილებაა.

დროებით საოკუპაციო ზოლთან, გალის რაიონთან, ზუგდიდში მე-13 იუსტიციის სახლი მე გავხსენი და ეს ძალიან მეამაყება – ჩვენი ძალიან ბევრი თანამოძმე გალიდან ჩუმად გადმოდის და იუსტიციის სახლის სერვისებით სარგებლობს.

27 ივლისს, საღამოს, ცხრის ნახევარზე, იუსტიციის სახლი ფოთში იხსნება, რომელიც ჩვენ ავაშენეთ და მინდა, დაგპატიჟო...

– მადლობა...

– სექტემბერში იუსტიციის სახლი იხსნება თიანეთში, ოქტომბერში – ყაზბეგში, ზამთარში ბორჯომში გაიხსნება, შემდეგ – ონში, ლაგოდეხში და ყველაფერი ეს ახალქალაქითა და მცხეთით დაგვირგვინდება. ახალქალაქი, როგორც ყაზბეგი, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია იმიტომ, რომ მთა დასაცავია. თუკი მესტიას აქვს, იუსტიციის სახლი ყაზბეგს რატომ არ უნდა ჰქოდნეს, მით უმეტეს, რომ მესტია ბუნებრივი ზღუდეებით მაინც დაცულია, ყაზბეგი კი გადასასვლელთანაა და მნიშვნელოვანია, რომ იქ სახელმწიფო ჩანდეს. ამიტომ, ყაზბეგი ძალიან მნიშვნელოვანი სიმბოლური პროექტია, ასევე, ახალქალაქიც. იქ რომ ჩავედი, ახალქალაქელებმა მითხრეს, წინა ხელისუფლებამ პოლიცია აგვიშენა, მაგრამ ციხეში ჯდომა არ გვინდა, იუსტიციის სახლი გვირჩევნია, სადაც მისვლა ბავშვებსაც უხარიათო...

მათ მიერ აშენებული იუსტიციის ყველა სახლი ექსპლუატაციაში ჩემს ხელში შევიდა. თბილისის იუსტიციის სახლი კი, ექსპლუატაციაში დღესაც არაა შესული, რადგან ძალიან ბევრი ინფრასტრუქტურული პრობლემაა...

– თავის დროზე ერთი ამბავი მცხეთის იუსტიციის სახლზეც ატყდა...

– ამაზეც გეტყვით – მცხეთაც ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. იუსტიციის მინისტრად რომ დავინიშნე, საძირკველი ჩაყრილი იყო და იდო იუნესკო-ს დასკვნა, სადაც ეწერა, თუ ეს სახლი აშენდება, მცხეთა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ავტომატურად ამოვარდებაო. ამიტომ, ეს საძირკველი დავაკონსერვე – მხოლოდ ბეტონია ჩასხმული, რაც ბევრი მილიონი დაჯდა, თუმცა მცხეთა და მისი ისტორიული მნიშვნელობა არც ერთი მილიონი არ ღირს!

მოვძებნეთ სხვა ტერიტორია, სხვა პროექტი შევადგინეთ და იუნესკო-ში გავაგზავნეთ, ანუ მიდგომა აბსოლუტურად სხვაა – მე კი არ ვაშენებ და იუნესკო-ს ვუმტკიცებ, როცა „ბაგრატს“ ვაფუჭებ, მე მართალი ვარ და შენ მტყუანაო, არამედ, ვეუბნები, ამ მიწაზე ამ რაკურსით ამ პროექტს ვაშენებო. დეკემბერში საექსპერტო კომისია ჩამოვიდა და თქვა, შევაფასებ და ვიმსჯელებო. ივნისში დასკვნა დადო, რომ ვიდრე ქალაქის განვითარების გენგეგმა არ შემუშავდება, მცხეთაში ყველა მშენებლობა უნდა გაჩერდეს. ამიტომაც, ეს პროექტი, იმ სახით, დღის წესრიგიდან მოიხსნა, თუმცა მცხეთის მუნიციპალიტეტი, ასევე, ბატონი დიმიტრი ხუნდაძე მეხმარება, რომ ახალ მცხეთაში, რომელიც იუნესკო-თი არაა დაცული, მიწა გამოიძებნოს და ვიდრე ჩემი უფლებამოსილების ვადა გავა, ეს პროექტი მაინც განხორციელდეს.

– უფლებამოსილების ვადის გასვლა რას ნიშნავს? დათქმა არსებობს, რომ იუსტიციის მინისტრი აქედან აქამდე უნდა იყოთ?

– პოლიტიკური უფლებამოსილების ვადა, ბუნებრივად, თუკი არ მოგხსნეს ან შენ თვითონ არ წახვედი, მაშინ გადის, როცა არჩევნების დრო დგება...

– ანუ, 2016 წელს?

– ბუნებრივად, ასეა, თუმცა მანამდე შეიძლება, ბევრი რამ მოხდეს...

– 2012 წლის პირველი ოქტომბრის მერეც, ბევრი რამ მოხდა, მაგრამ თეა წულუკიანი ისევ მინისტრია... ყოფილ ხელისუფლებას „ოცნებაში“ რამდენიმე ადამიანი ჰყავს ამოჩემებული, აქედან ერთ-ერთი თეა წულუკიანია. „ნაციონალებისთვის“ ასეთი მიუღებელი რატომ ხართ?

– (დუმილი) ალბათ, იმიტომ, რომ „ნაციონალებს“ სათანადო მეტოქეობა გავუწიე და იქ, სადაც კანდიდატი ვიყავი, დავამარცხე.

– ნაძალადევის მაჟორიტარობას გულისხმობთ?

– დიახ...

– „ნაციონალთა“ კანდიდატები სხვა „ოცნებელებმაც“ დაამარცხეს... ეგებ, ამ ანტაგონიზმის მიზეზი სხვა რამეა?

– თუ სხვა რამე იცით, მითხარით... მგონია, პოლიტიკური ბრძოლით კმაყოფილები არ არიან იმიტომ, რომ ჩემთან ბრძოლაში მარცხდებიან... შეიძლება, სხვა მიზეზებიცაა, რაც არ ვიცი...

– ესე იგი, „ნაციონალებს“ პოლიტიკურ მტრებად აღიარებთ?

– დღეს პოლიტიკურ მეტოქეებად აღარ ვაღიარებ, რადგან ისინი დავამარცხე.

– აბა, თეა წულუკიანი პოლიტიკურ მეტოქეებად დღეს ვის აღიარებს, ყოფილ თანაპარტიელებს?

– არა, არა... ჩემთვის დღესაც ძვირფასი ხალხია, რაც უნდა ცუდი სიტყვები მეძახოს (იცინის).

– ამას წინათ, თქვი, პარტიაში მარტო ვიყავიო...

– ყოფილა მომენტები, როცა ძალიან მარტო ვიყავი, მაგალითად, როცა ნაძალადევში ჩემი კანდიდატობის საკითხი წყდებოდა, მათ უნდობლობა გამომიცხადეს – პარტიას ჩემი იქ გაშვება არ უნდოდა და გადაწყვეტილება ივანიშვილმა მიიღო, რომ კანდიდატად მაინც წავსულიყავი...

– პარტიას ნაძალადევში კანდიდატად გაშვება, ეგებ, იმიტომ არ უნდოდა, რომ ტკივილს გარიდებდა?

– არ ვარ ნაზი გოგონა, რომელიც არ შეიძლება, ბრძოლაში შეუშვა! მე თვითონ ვწყვეტ, ბრძოლაში შევიდე თუ არა. ამ ბრძოლაში რომ შევედი, სამადაშვილის მაფიოზური კლანი ძალიან დიდი ანგარიშით დავამარცხე...

ძალიან ბევრი მომენტი იყო, როცა თავს მარტო ვგრძნობდი, თუმცა დღესაც ძალიან კარგად მახსენდება ძალიან ბევრი სხვა მომენტი და ვამბობ: ისინი ჩემთვის ძალიან ძვირფასები არიან, ჩემთან მიმართებაში რაც უნდა მიუღებელი რაღაცები იკადრონ.

– თეა, არ ვიცი, ამაზე ლაპარაკი გინდა თუ არა, მაგრამ მე და შენ ერთმანეთი „თავისუფალ დემოკრატებში“ გავიცანით და კარგად მახსოვს, ირაკლი ალასანიას როგორც აფასებდი. თეა წულუკიანი თვლის თუ არა, რომ მისი ქართულ პოლიტიკაში გამოჩენა ალასანიას დამსახურებაა?

– არა. ქართულ პოლიტიკაში გამოჩენა ჩემი დამსახურებაა – სტრასბურგიდან დავუკავშირდი და შევთავაზე, რომ მის გვერდში დავდგებოდი. შემეძლო, ეს არ გამეკეთებინა. პოლიტიკა ძალადობრივი სფეროა და როცა სისუსტეები მაქვს, იმ აბსოლუტურად დალხინებულ დროს ნოსტალგიითაც ვიხსენებ ხოლმე, მაგრამ ეს ნაბიჯი ჩემი ქვეყნისთვის გადავდგი...

– თუ გახსოვს, თავის დროზე გკითხე, სტრასბურგში გარანტირებული კარიერა რატომ მიატოვე-მეთქი...

– ჩავთვალე, რომ ალასანიას გვერდით დადგომა ღირდა და არ ღირდა, ისეთი ფიგურისთვის მხარდაჭერა, როგორიცაა პრორუსული განწყობების მქონე ნინო ბურჯანაძე. იდეოლოგიურად, მე და ალასანია ერთ ტალღაზე ვიყავით და ვართ – ეს პროდასავლური ძალაა და არ მესმის, ის რატომ თქვა, რაც თქვა. მე იმ მთავრობის ნაწილი ვარ, რომელიც დასავლურ გზაზე განუხრელად მიდის... პოლიტიკაში გამოჩენა მისი დამსახურება არაა. შეეძლო, პარტიაში არ მივეღე. თუ ის არა, სხვა მიმიღებდა...

– თუმცა, იმხანად პროდასავლური პარტია ბევრი არ იყო... თეა, მეორე მომენტიცაა: ხელისუფლებაში, კერძოდ, საპარლამენტო უმრავლესობაში არიან ადამიანები, რომლებიც ღიად ამბობენ, რა დროს ნატოაო. თანაგუნდელების ასეთი შეფასებები არ გაღიზიანებს?

– მაღიზიანებს...

– აპროტესტებ ხოლმე?

– ეს, რა თქმა უნდა, მაღიზიანებს და არ ვიზიარებ. არც მთავრობა იზიარებს. პარლამენტში ყველა თავისუფალია – ის ილაპარაკოს, რასაც ფიქრობს და ეს კარგია. წინა პერიოდებში კლანური პარლამენტი იყო, ყველა ერთი და იმავეს ლაპარაკობდა და, გახსოვს, ეს დამღლელი იყო. დღეს ასე აღარაა, თავისუფლად ლაპარაკობენ, რასაც პოლიტიკურად ფიქრობენ და არ მგონია, რომ ამაში რამე საგანგაშოა. მთავარია, ეს გაკრიტიკდეს და, რაც ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მთავრობაში ამას არავინ იზიარებს.

– თუკი მთავრობის რომელიმე წევრი იტყვის, რა დროს დასავლეთიაო, მთავრობას დატოვებ?

– არ მგონია, რომ მთავრობის რომელიმე წევრმა ეს თქვას.

– ახლა გამახსენდა: ზაქარეიშვილის აზრით, პუტინი ადამიანია და არ შეიძლება, საქართველოს მტერი იყოს...

– ზაქარეიშვილი მთავრობა არაა და ძალიან ბევრს მუშაობს, რომ მაგალითად, აფხაზებთან ნდობა აღდგეს და თუ ეს არა, მაშინ რა არის მნიშვნელოვანი?! მთავრობის კურსი ისაა, რისი ერთგულიც ვიყავი და ვარ. ეს ევროატლანტიკური კურსია, ამისთვის ვმუშაობ და როგორც იმ ბრიფინგზე ვთქვი, როცა ჩემი ხალხისთვის გადაწყვეტილება უნდა მეთქვა, არც წინა და არც ამჟამინდელი პრემიერისგან ამ გზაზე ხელშეშლა ერთი წუთითაც არასოდეს მქონია. არადა, ყველამ, ყველამ თუ არა, ღმერთმა იცის და ბრიუსელშიც იციან, რომ იმ რეფორმების დიდი პორცია, რამაც ევროპასთან უნდა მიგვიყვანოს, ჩემს სამინისტროს აბარია. ჩემს ხალხს ტყუილს არ ვეტყვი: ამ გზიდან რაიმე ტიპის გადახვევა არასოდეს ყოფილა. ამიტომაც, იქ ვრჩები, სადაც ვარ და მგონია, რომ კარგ საქმეს ვაკეთებ!

– ამ ბრიფინგზე ლაპარაკს არ ვაპირებდი, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და, ბრიფინგის ჩატარების დრო რამდენჯერმე გადაიდო...

– არა, არა...

– ბრიფინგამდე, იუსტიციის სამინისტროში, თეა წულუკიანთან ივანიშვილისგან გამოგზავნილი ხალხი მართავდა თუ არა მოლაპარაკებას, რომ გადადგომის გადაწყვეტილება არ მიეღო?

– არა და, სხვათა შორის, არც ღარიბაშვილს დაურეკავს და, მართალი გითხრა, გამიკვირდა. ბრიფინგამდე მივწერე, შეხვედრა მინდა, რომ გითხრა, რას ვაპირებ-მეთქი. პასუხი არ მიმიღია. ბრიფინგის მერე დამირეკა, ბოდიში, ვერ მოვიცალე, გიჟი დღე იყო, ხვალ მთავრობა ვიკრიბებით, ვინც დავრჩით და შევხვდებითო. ეს იყო და ეს. ეს დღე ჩემთვის ყველაზე მძიმე იყო და, რაც პოლიტიკაში ჩავერთე, მარტოობის ყველაზე საშინელი განცდა მქონდა – გადაწყვეტილება მარტო უნდა მიმეღო. ჩემი ყველა თანაგუნდელი, იუსტიციის სამინისტროს ვგულისხმობ – ჩემი მოადგილეები და ის ხალხი, ვინც ნაძალადევში ჩემთან ერთად მუშაობდა, დღეს აქ მუშაობს, ესაა ჩემი გუნდი. ამ გუნდის წევრებს ვუთხარი, რას ვაპირებდი. იყო კრიტიკული აზრებიც, როგორ უნდა შეძლო მუშაობა, როცა ის გუნდი, რომელსაც პარტია ჰქვია, მიდისო, მაგრამ როცა არგუმენტები გავიარეთ, ყველა დამეთანხმა, რომ ქვეყნის ევროატლანტიკურ კურსზე დარტყმა უსაფუძვლოდ არ შეიძლება და არ შეიძლება, ამას ადამიანი გაყვე. მხოლოდ ამის შემდეგ ჩავატარე ბრიფინგი, საღამო ხანს. მანამდე, პრემიერმაც არ დამირეკა, რომ ეკითხა, რას ვაკეთებ და როგორ განწყობაზე ვარ...

– ალასანიასთან დაკონტაქტების სურვილი არ გქონია?

– ალასანიას, ლამის ორ-სამ საათში, იმ დღიდან ვეკონტაქტებოდი, რაც წასული იყო და ხუთი ადამიანი დაიჭირეს. ვეუბნებოდი, ნაჩქარევად ანალიზი არ გააკეთომეთქი. საჯაროდაც ვთქვი, როცა მინისტრი წასულია, უნდა დავუცადოთ და თავისივე თანამშრომელს ეგებ, თვითონ იჭერს-მეთქი... მასთან მუდმივ კონტაქტზე ვიყავი და ვეუბნებოდი, რომ გარედან ყოველთვის სხვანაირად ჩანს, ქვეყანაში რა ხდება... რომ დაბრუნდა, შევხვდით, მანამდე პრემიერსაც შეხვდა, სხვებსაც, ოღონდ არ ვიცი, რა თანმიმდევრობით... ჩვენ ზუსტად იმის წინა დღეს შევხვდით, ბრიფინგი რომ ჩაატარა და ერთი სიტყვითაც არ უთქვამს, რომ მეორე დღეს ასეთი განცხადების გაკეთებას აპირებდა. ერთმანეთს დავემშვიდობეთ და ვთქვით, რომ ვნახავდით, პროკურატურა

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲛᲔ- 10 ᲒᲕ.

10 № 29 (293) 22 – 28 ივლისი 2015

ქართული იტალია

ეროვნული

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა. ზელოვნება. პოლიტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

პირისპირ

მე-9 გვერდიდან

გრიფიანი საქმიდან გარეთ რას გამოიტანდა და რა მტკიცებულებები იქნებოდა. კიდევ შევხვდებოდით და ამ თემაზე ლაპარაკს გავაგრძელებდით...

ვანო, რაკი ერთმანეთი პარტიაში გავიცანით და იმ სულისკვეთების, რომელიც ჩემთვის დღესაც ძვირფასია, ნაწილი ხარ, პირველად შენთან ვიტყვი: მასთან მუდმივად მქონდა კონტაქტი, ვცდილობდი, გამეხალისებინა და ადამიანისთვის, რომელიც ჩემთვის დღესაც ძვირფასია, იმედი მიმეცა. ჩემს თვალში არაფერი მიანიშნებდა, რომ ასეთ ბრიფინგს ჩაატარებდა. მეორე დღეს, დილით, ერთ-ერთი სააგენტო კითხვის ნიშნით აქვეყნებს ნიუსს – მივა თუ არა წულუკიანი „თავისუფალი დემოკრატების“ ოფისში, ბრიფინგზე? ამ ბრიფინგზე დაპატიჟებული არ ვიყავი და ტელევიზიით გავიგე, რომ ქვეყანამ ევროატლანტიკურ გზას, თურმე, ისე გადაუხვია, რომ ვერ გაგვიგია... ბრიფინგზე, ჩემს გარდა, ყველა იყო, მთელი პარტია...

– რომ დაეპატიჟებინე, მიხვიდოდი?

– გადავარწმუნებდი, რომ ეს სწორი არ იყო. რაც მან თქვა, შეცდომა იყო და შესაძლოა, ბრიფინგზე ამიტომაც არ დამიძახა და მერე მოუწიათ ახსნა, რომ ქვეყანამ გადაუხვია და ასე შემდეგ...

სხვათა შორის, მინისტრებად რომ დავინიშნეთ, მეც და ირაკლისაც აბსოლუტურად ერთნაირი პოზიცია გვქონდა – ირაკლიმ თავმჯდომარეობა დატოვა. გამგეობის წევრობა მეც შევიჩერე. რომ ვამბობ, ერთნაირად ვაზროვნებდით-მეთქი, ამას ვგულისხმობ, მაგრამ პარტიის წევრობა არ დამიტოვებია და თუ პარტიის წევრი ვარ და მთავრობა თავზე გვექცევა, ამის შესახებ მეც უნდა ვიცოდე.

– ბოლოს, პარტიიდან გაგრიცხეს?

– არა. რომელიმე პარტიიდან ასე ადვილად გასარიცხი არ ვარ. დღემდე მხოლოდ ერთადერთ პარტიაში ვიყავი... ბრიფიგი რომ ჩატარდა, ისინი წავიდნენ, მე მთავრობაში დავრჩი და მივიღე გადაწყვეტილება, რომ პარტიიდან გამოვსულიყავი, თუმცა კოალიციის რომელიმე პარტიაში არ შევსულვარ.

– არც პარტია „ქართულ ოცნებაში“ შეხვალ?

– არა, უპარტიო ვარ და როგორც ერთი რიგითი მინისტრი ვაგრძელებ სამუშაოს. თუ არჩევნებამდე არ მითხრეს, მიბრძანდით და აღარ გვინდა თქვენი მომსახურება ქვეყნის სასარგებლოდ, რადგან სხვა უკეთესად გააკეთებსო, ბუნებრივია პოლიტიკური მანდატი ოქტომბერში დამთავრდება, როცა აქ, ალბათ, სხვა შემოვა...

– მას მერე ირაკლი ალასანიას აღარ შეხვედრიხარ?

– ირაკლი სასაუბროდ არ მინახავს, თუ პარტიის რომელიმე წევრს ვინმე გარდაეცვლება, შეიძლება, პანაშვიდზე ერთმანეთს თავის დაკვრით მივესალმოთ. ტელევიზორს არ ვუყურებ, ერთადერთი ვიცი, რომ ბოლო დროს ჩემზე ნეგატიურად ბევრს ლაპარაკობს...

– თეა წულუკიანს ირაკლი ალასანიაზე გული სწყდება?

– არა, მიკვირს...

– იქნებ, რაღაცები ირაკლისაც უკვირს?

– ალბათ, უკვირს...

– თეა წულუკიანი კოალიციაში მარტოა?

– მარტო ვარ იმიტომ, რომ პარტია არ მყავს. მარტო ვარ იმიტომ, რომ მინისტრის თანამდებობა მარტოსული თანამდებობაა. ძალიან დიდი ტვირთი გაქვს. თუ წარმატებული ხარ, ეს კარგია და აღნიშვნას არ საჭიროებს, მაგრამ თუ წარუმატებელი ხარ, ვაი, შენს თავს. მინისტრი, ზოგადად, მარტოსული თანამდებობაა, მაგრამ მე მარტო იმ გაგებითაც ვარ, რომ პარტია არ მყავს.

– თეა, რაღაცას გკითხავ და არ გაბრაზდე...

– დიახ...

– „ფეისბუქიდან“ რატომ წამშალე?

– არ წამიშლიხარ...

– წამშალე და მერე დამამატე...

– არა... არ მახსენდება...

– კარგი... სააკაშვილის პრეზიდენტობის მიწურულს, მიღებული იქნა კანონი, რომლითაც საქმის ე.წ. ხანდაზმულობის ვადა გაუქმდა და ძიება დაუსრულებლად შეიძლება. მიშას დროს გაუბედურებული ბიზნესმენები და სხვებიც ამბობდნენ, რომ მათი უბედურების სათავე სწორედ ეს კანონია. არ შეგეძლო, ამ კანონის შეცვლის ინიციატივით გამოსულიყავი? ამასთან, როცა ადამიანები ლამის ფაქტებით ამბობენ, რომ „ოცნების“ წარმომადგენლები, მაგალითად, გია უდესიანს გაურიგდნენ, სიმართლის გარკვევა არ გიცდია? ამ ხელისუფლების პრობლემა ეგებ, სწორედ ისაა, იმ ადამიანთა განცხადებების იგნორირებას ახდენს, ვისი დახმარებითაც სათავეში მოვიდა?

– თუ ამგვარ განცხადებებზე რეაგირება არ ხდება, ეს ცუდია. ამის შესახებ არ ვიცი და არც უნდა ვიცოდე იმიტომ, რომ არ შეიძლება, მინისტრმა, რომელიც პროკურორი არაა და კანონით ეკრძალება, რაღაცები მოიკითხოს, მაგრამ რაკი ამბობ, რომ რეაგირება არ ყოფილა, ესე იგი, ასეა და ცუდია. ეს პროკურატურის პრობლემაა. როგორ შეიძლება, ვინმემ თქვას, ეს პრობლემა არააო?

რაც შეეხება კანონს კი არა, სისხლის სამართლის კოდექსს, ის რომელიმე ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ვერ მოერგება. პროკურატურა ინდივიდუალურ საქმეზე გამოსავლის მოძებნას ცდილობს. ამ ადამიანებისთვის მთავარი კანონის შეცვლა კი არაა, არამედ, ისაა, რომ გამართლდეს, ან მასზე დევნა შეწყდეს.

– ხალხს სხვა მოლოდინი ჰქონდა და უკმაყოფილოა. თეა წულუკიანის აზრით, „ოცნების“ მთავარი პრობლემა რა არის, არჩევნებიდან ლამის სამი წლის შემდეგ, რა დანაპირები ვერ შესრულდა?

– მთავარი დანაპირები, რაც გაჭიანურდა და ვერ შესრულდა, ქონების დაბრუნებაა. დღეს ეკონომიკის სამინისტრომ, როგორც თვალს ბრიფინგებს ვადევნებ, მორიგი ექვსი ერთეული ქონება დააბრუნა, მაგრამ შეიძლებოდა, ეს პირველივე კვირიდან დაწყებულიყო. სამწუხაროდ, ეს ბევრი, მათ შორის, საკადრო შეცდომის გამო არ მოხდა. მესმის, რომ ყველას ძველი კადრები დახვდა, მაგრამ ეს მთავარი მიზეზი არაა. მაგალითად, როცა დღეს მესმის, რომ ეკონომიკის სამინისტრომ, პროკურატურასთან ერთად, ქონება დააბრუნა, მიხარია, მაგრამ გული მწყდება, რომ ეს 2013 წლის იანვარ-თებერვალში უნდა მომხდარიყო.

პრობლემა, რაც ამ მთავრობამ აჩვენა, რომ არ იცის და არ შეუძლია, ისაა, რომ ძალიან ბევრ რამეს აკეთებს, მაგრამ ეს ხალხამდე ვერ მიაქვს...

– „ოცნების“ ხელისუფლებაში პიარი, თურმე, მონოპოლიზირებულია და ვიღაცები წყვეტენ, რა უნდა გაპიარდეს და რა – არა...

– ნეტავ, მონოპოლიზირებული იყოს, ეგებ, რამე გვეშველოს?! ხალხამდე ინფორმაცია არ მიდის... როცა დრო მაქვს და ვახერხებ, მივირბინო და მშობლები ვნახო, მე, როგორც კაბინეტის წევრს, სრული შოკი მაქვს – მათაც კი არ იციან და რომ ვეუბნები, ეს მოხდა, ეს მოხდა, ეს მოხდა-მეთქი, აბსოლუტურ ბედნიერებაში ვტოვებ, რადგან ჩემი სჯერათ და იციან, რომ ტყუილს არ ვეტყვი, მაგრამ მედიასივრცე აბსოლუტურად ნეგატივითაა ოკუპირებული, ჩვენს მედიასივრცეს თითქოს ბალანსი აკლია, ეს მედიის კი არა, მთავრობის ბრალია, რომელსაც ტექნოლოგია, მიდგომა თუ მეთოდი არ აქვს... ეს პრობლემაა!

– თეა, კიდევ სამ შეკითხვას დაგისვამ და მოვრჩეთ... ნერვები ხომ არ მოგიშალე?

– შენ?.. არა, არა...

– მინისტრობამ შეგცვალა? მაგალითად, მათთან, ვინც თუნდაც „თავისუფალ დემოკრატებში“ გაიცანი და ვისაც 2012 წლის პირველ ოქტომბრამდე ემეგობრებოდი, ურთიერთობა ისევ გაქვს?

– მეგობრებთან, ვინც პოლიტიკაში ან პოლიტიკამდე შევიძინე, ურთიერთობა მაქვს. უბრალოდ, გული ძალიან მწყდება, რომ დრო არ მაქვს და ეს ტრაგიკულია. ოჯახის წევრებსა და ძმისშვილებსაც, სამწუხაროდ, იშვიათად ვნახულობ. რაც შეეხება პარტიის წევრებს, მათთან ურთიერთობის შენარჩუნებას ვაპირებდი, მაგრამ ჩემზე ისეთი კომენტარები და ეპითეტები გავრცელდა, სადმე რომ შემხვდნენ, ალბათ, თვალს ამარიდებენ, მაგრამ ღმერთმა იცის, მათთან კონტაქტის გაწყვეტა არ მინდოდა!

– ბაღს და ყვავილებს ისევ უვლი?

– დიახ, როცა დრო მაქვს... სახლისთვის გვიან საღამოს, ან რომელიმე კვირა დღეს ვიცლი ხოლმე – მარტო ვარ, არც დამლაგებელი მყავს და არც – მებაღე...

– ერთი თემა უნდა გავახმაურო: არჩევნებამდე, ბიძინა ივანიშვილზე გულნატკენი იყავი. ყოველ შემთხვევაში, მახსოვს, ჩვენს ინტერვიუებს რაღაც-რაღაცები რომ მოჰყოლია... კოალიციაში კიდევ გერჩიან?

– რომელი ინტერვიუს მერე?

– ადრინდელზე ვლაპარაკობ. ისიც მახსოვს, არჩევნებამდე, კოალიციაში საგარეო პიარი რომ ჩაგაბარეს და მერე, უცებ, სხვას რომ გადააბარეს...

– ეს ოპოზიციონერობის დროს ამბობ?

– დიახ... ივანიშვილის კეთილგანწყობა როგორ მოიპოვე?

– არ ვიცი, ივანიშვილი ჩემზე რას ფიქრობს. ვიცოდი, ჩემზე რას ფიქრობდა, როცა მინისტრად დამნიშნა – ეს პარტიული შეთავაზება არ ყოფილა.

– ეს ალასანიამ ხომ არ გააპროტესტა?

– არა, ალასანიას გაუხარდა და ფაქტს ვამბობ... როცა ივანიშვილმა დამნიშნა და ეს პარტიული შეთავაზება არ ყოფილა, მან მითხრა, აი, შენ გენდობიო. სახე შემეცვალა. რა გინდა, კაცო, რა სახე შეგეცვალაო. მერე, ალასანიამ დამიბღვირა, რა სახე შეგეცვალაო. ვთქვი, ნაძალადევს როგორ მივატოვებ, ამდენი ხალხი მენდო და ახლა, მივიდე და ვუთხრა, სხვაგან მივდივარ და არჩევნები თავიდან ჩაატარე-მეთქი? ლამის ტირილი დავიწყე. ალასანიამ მითხრა, სახე დაალაგე და დამშვიდდი, რადგან ბიძინამ ასე გადაწყვიტაო. მერე, მადლობა ვუთხარი, რადგან ეს ჩემთვის მართლა შოკი და დიდი ნდობა იყო.

– ხედავ, როგორი კუდიანი ვარ – ჯერ კიდევ როდის გიწინასწარმეტყველე, რომ იუსტიციის მინისტრი გახდებოდი!

– (იცინის) ნამდვილად, კუდიანი ხარ...

როცა ადამიანი ასეთ დიდ ნდობას გიცხადებს, მტკივნეული განცდა მაქვს, რომ ეს ნდობა უნდა გავამართლო და მანდატის ბოლომდე, თუ არ გამიშვეს, ან თუ მე თვითონ არ მომბეზრდა და სახლში არ წავედი, საქმე გავაკეთო და უკან რომ მოვიხედავ, არ შემრცხვეს! ამიტომ, ვფიქრობ, რომ ჩემდამი ივანიშვილს არაკეთილგანწყობა არ უნდა ჰქონოდა, პირიქით, თუმცა უთანხმოებები, რა თქმა უნდა, იყო, მაგალითად, როგორ მიდიოდა კბილაშვილის დროს პროკურატურის მუშაობა. ის ყოველთვის ამბობდა, ვაცალოთ, ვაცალოთო. მე კი, ყოველთვის მოუთმენლობა მჭირდა და იმას ვამბობდი, რასაც ახლა ვამბობ, უცბად გავაკეთოთ, ხალხი ითხოვს-მეთქი. მერე, უკვე თვითონ მიიღეს გადაწყვეტილება, პასუხი მოვთხოვოთო. პასუხი რომ მოეთხოვა, ადამიანი გადადგა და ასე შემდეგ. ასე რომ, აზრთა სხვადასხვაობა გვქონია, მაგრამ მას შემდეგ, რაც პოლიტიკიდან წავიდა, რა აზრთა სხვადასხვაობა უნდა გვქონდეს?

– „ნაციონალები“ ამბობენ, რომ „რუხი კარდინალია“ და ქვეყანას შუშის სასახლიდან მართავს. ყოფილა შემთხვევა, როცა დაურეკავს?

– ეს ჩვეულებრივი პარანოიაა! ივანიშვილი არაფერს მართავს! თუ რამე განსაკუთრებული დღეა, სადაც ყველა ვართ დაპატიჟებული და ვხვდებით, რა თქმა უნდა, მიხარია, რომ მას ვხედავ, მართლა მიხარიაო და ვლაპარაკობთ. ვიღაცები ტაბუს შექმნას ცდილობენ, რომ მასთან დალაპარაკება ცუდია, მაგრამ ეს ტაბუ ვერ შეიქმნება და ამავე ლოგიკით, მაგალითად, მადლენ ოლბრაიტს არავინ უნდა დაელაპარაკოს. ამ ადამიანმა ქვეყანას ძალიან დიდი საქმე გაუკეთა, ჩვენი ქვეყნის პრემიერი იყო, კოალიციის დამფუძნებელი და ასე შემდეგ... ისიც ვთქვი, ძალიან ცუდია, რომ წავიდა-მეთქი, მაგრამ მან თქვა, ჩემი საქმე გავაკეთე, თქვენს თავს მიხედავთო და წავიდა. ამიტომ, პარანოიაა, რომ ივანიშვილი რაღაცას მართავს!..

– რისი თქმა უნდოდა თეა წულუკიანს, რომლის თაობაზეც შეკითხვა არ დამისვამს?

– შეკითხვები ისეთი იყო, რასაც ველოდი და რაზეც ლაპარაკი ზუსტად შენთან მინდოდა და არა – სხვა ჟურნალისტთან, ჩვენ მაინც, რაღაც ვარიანტში, ერთი გზა გვაქვს გავლილი... პარტიის წევრი არასოდეს ყოფილხარ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, იმ სულისკვეთების გულშემატკივარი იყავი...

– გახსოვს, საბურავი რომ დაგეშვა და სიცივეში მალოდინე?

– (იცინის) აბა?! რა კარგი დრო იყო, ყველაფრის მიუხედავად... ისიც მახსოვს, სპორტის სასახლესთან ფენოვან ხაჭაპურს რომ ვჭამდით... გამოგიტყდები და გეტყვი: მგონია, რომ ჩემზე გული, ალბათ, ნაკლებად შეგტკივა, ვიდრე ადრე შეგტკიოდა და შეიძლება, ეს ინტერვიუ ისე დაჭრა, რომ ვეღარ ვიცნო!

– თეა, ასე როდისმე გამიკეთებია?

– არა!

– აბა, ამას რატომ მეუბნები?

– მგონია, რომ ჩემი გულშემატკივარი იმდენად აღარ ხარ, როგორც იყავი!

– ყველაფერი სიტყვა-სიტყვით რომ დავწერო, მერე?

– (იცინის) ძალიან მაგარი იქნება და ამას „დავაშიარებ“, მეტი რა გავაკეთო?!

– ხომ იცი, ავანტიურისტი ვარ...

– არც მე ვარ ნაკლები. ასე რომ...

– ჰოდა, სელფი გადავიღოთ...

– კი ბატონო...

მოკლედ, მე და თეამ „სელფი“ გადავიღეთ და ერთმანეთს მომავალი შეხვედრის იმედით დავემშვიდობეთ...

ვანო პავლიაშვილი

ობიექტივი

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

22 – 28 ივლისი 2015

№ 29 (293)

ქართული სიტყვა

ლიტერატურა. ენა. ჟურნალისტიკა

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

საზოგადოება

ნანა ლეჟავა მართვით სუნთქვაზე გადაიყვანეს!

რამდენიმე დღის წინ, სოციალურ ქსელში ჟურნალისტ ნანა ლეჟავას მიმართვა გამოქვეყნდა, სადაც წერს, რომ გულის ოპერაციის შემდეგ, მდგომარეობა გაურთულდა და უსახსრობის გამო, მკურნალობას ვერ ახერხებს. ჟურნალისტი განცხადებაში, ასევე, აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ასეთი მძიმე ავადმყოფია, ოჯახი ინვალიდი შვილის პენსიით ცხოვრობდა, თუმცა ახლა ეს დახმარებაც მოუხსნეს და ორი ავადმყოფი ყველანაირი შემწეობის გარეშე დარჩა... ერთი კვირის წინ, ხუთშაბათს, ნანა ლეჟავა რეანომობილით სახლიდან რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. როგორც აღმოჩნდა, სოციალურ ქსელში გავრცელებული განცხადება ჯანდაცვის სამინისტროშიც ნახეს და ჟურნალისტის ჰოსპიტალიზაცია სწორედ ჯანდაცვის მინისტრის ერთ-ერთი მოადგილის განკარგულებით მოხდა... „ქართულმა სიტყვამ“ ქალბატონ ნანასთან გასაუბრება ვერ მოახერხა, რადგან ბოლო დღეების განმავლობაში, მისი მდგომარეობა საგრძნობლად დამძიმდა... ბოლოს, ნანა ლეჟავას ქალიშვილს, ნინო ურიადმყოფელს ვესაუბრეთ.

ჟურნალისტი, უსახსრობის გამო, მკურნალობას ვერ ახერხებს!

– მას შემდეგ, რაც ქალბატონი ნანა საავადმყოფოში გადაიყვანეთ, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა, ახლა როგორაა?

– საავადმყოფოში ხუთშაბათს დავაწვინეთ. იმ დღეს კონტაქტური იყო. პარასკევს ცოტა უფრო დამძიმებული დამხვდა, შაბათს რომ მივედი, საერთოდ არ მომეწონა – ფერი არც მანამდე ჰქონდა კარგი, მაგრამ ახლა მთლიანად გაყვითლებულია. საუბარი და თვალის გახელაც კი უჭირს.

– ექიმები რას ამბობენ?

– როცა მკურნალ ექიმს გავესაუბრე და ვკითხე, ასეთ მდგომარეობაში რატომ არის-მეთქი, მითხრა, იმედს ვერ მოგცემთ, მდგომარეობის დამძიმებას ვვარაუდობთო. არ გამორიცხა ოპერაციის აუცილებლობაც იმ შემთხვევაში, თუ ინფექციის კერები არ აღმოიფხვრა. ისიც შევეკითხე, კარგად არ გახდება-მეთქი და მხრები აიჩეჩა. ასეთი შემთხვევები გულის ოპერაციას, თურმე, ხანდახან ახლავს... შვიდი თვეა, დედამ ოპერაცია გაიკეთა და ჭრილობები არ ხორცდება, ხანდახან იხსნება დ ჩირქიანი კერები ჩნდება, თან დედას შაქარიც აქვს, მაგრამ ბოლო პერიოდში ყოველთვის ნორმის ფარგლებში ჰქონდა. დღეს, როცა მასთან შევედი, ჟანგბადის ვარჯიშებს უკეთებდნენ... ექიმმა გარეთ გამომიშვა, ეს პროცედურა ნახევარი საათი გაგრძელდებაო, მაგრამ ზუსტად ოთხი საათი ველოდებოდი. ბოლოს, ყველა შევაწუხე და ექიმმა მითხრა, შეიძლება, მართვით სუნთქვაზე გადავიყვანოთო.

როცა პროცედურა დამთავრდა და შევედი, დედას შევეკითხე, მიცანი, ვინ ვარ-მეთქი? გაეღიმა, თუმცა თვალი ვერ გაახილა და ძლივს ჩაიბუტბუტა, ჩემი ნინიკო ხარო.

– ნინო, იცით, რეანომობილი ვინ გამოგიგზავნათ?

– როგორც ჩანს, ასეთი ხმაური უნდა აგვეტეხა, რომ დედაჩემის ბედით ვინმე დაინტერესებულიყო. როგორც გავარკვიე, ეს ინიციატივა ჯანდაცვის სამინისტროს ეკუთვნის – მინისტრის რომელიღაც მოადგილეს სოციალურ ქსელში დედაჩემის მიმართვა წაუკითხავს.

– საყოველთაო ჯანდაცვა არ შეგეხოთ?

– საყოველთაო პროგრამა მხოლოდ 70%-ს აფინანსებს. პარასკევს საავადმყოფოს მენეჯერს ჩემი ბიძაშვილისთვის დაურეკავს და უთქვამს, გამოკვლევა ჩაუტარდა, ეს თანადაფინანსებით ხდება და მინდა, ოჯახის წევრს გავესაუბროო. მოკლედ, გადასახადი მოითხოვეს... ქალი უფრო დამძიმდა და არ ვიცი, რა მდგომარეობაშია და რა გადასახადზე მელაპარაკებიან? ვერ გავიგე, ესენი როგორ უყურებენ პაციენტებს, როგორც ხორცს? ის ხორცი ხომ ვიღაცის დედაა, ვიღაცის შვილია?!

– დედათქვენის პირადი ანგარიშიც გამოქვეყნდა. ვინმე დაგეხმარათ?

– გუშინ, როცა საავადმყოფოში მივედი, ორასი ლარი დამხვდა – ვიღაც ქალი მისულა და დაუტოვებია, თუმცა სახელი და გვარი არ უთქვამს. რაც შეეხება ჩარიცხვას, ამაზე ვერაფერს გეტყვით, დედაჩემის ანგარიშზე წვდომა არ მაქვს.

სოციალურ ქსელში დედაჩემის განცხადება რომ გამოქვეყნდა, სააგენტო „ნიუპოსტმა“ პატარა მასალა დაწერა, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა და ვიღაც ქალბატონს ისიც კი დაუწერია, რომ თურმე, ორი ბინა გაქირავებული გვაქვს. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით ამ ქალბატონს მივმართო: იქნებ, მისამართი მაინც გვითხრას, სად გვაქვს ეს ბინები?

– ნინო, ისიც დაწერეს, რომ ნანა ლეჟავა ჟურნალისტი არაა და დედათქვენი იტყუება...

– თუ ქერათმიან ნანა ლაჟავას გულისხმობენ, ის ნამდვილად არ არის, დედა მუშაობდა „ობიექტივში“ და მიჰყავდა გადაცემა ინვალიდ და უნარშეზღუდულ ბავშვებზე.

– თქვენი ძმა, ნიკოლოზიც უნარშეზღუდულია. ორივეს მოვლას როგორ ახერხებთ?

– საბედნიეროდ, ჩემთან ცხოვრობს ბიძაშვილი და როცა ნანასთან მივდივარ, ის ნიკუშასთან რჩება. შვიდი თვის განმავლობაში, დედა საავადმყოფოში უკვე მეხუთედ გვიწევს და ჩემი ბიძაშვილის მეტი არავინ მეხმარება.

21-ე საუკუნეში ადამიანები უფულობის გამო არ უნდა კვდებოდნენ! ნანა ლეჟავას შემთხვევა სწორედ უსახსრობას უკავშირდება – ამ მდგომარეობამდე სწორედ უფულობამ მიიყვანა! და კიდევ, მათ გასაგონად, ვინც განიკითხავს, ვიტყვი: რა მნიშვნელობა აქვს, ავადმყოფი ჟურნალისტია თუ რიგითი ადამიანი, თუ ვერაფრით ვეხმარებით, ის მაინც უნდა შეგვეძლოს, რომ სხვის გაჭირვებას გაგებით მოვეკიდოთ!

P.S. **გაზეთი დასაბეჭდად იყო მზად, როცა შევიტყვეთ, რომ ნანა ლეჟავა მართვით სუნთქვაზე გადაიყვანეს...**

ნათია ვერძეული

სტოპკადრი

სექტემბრიდან 200-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი გაიაფდება

სავარაუდოდ, სექტემბრის თვეში 200-ზე მეტი დასახელების მედიკამენტზე ფასების მნიშვნელოვანი დაწევა მოხდება, – ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა, დავით სერგეენკომ განაცხადა.

მისივე თქმით, 200-ზე მეტი დასახელების მედიკამენტზე ფასების მნიშვნელოვანი დაწევა არანაკლებ 50%-ით მოხდება.

„ასევე, მომავალი წლისთვის უნდა შევძლოთ, რომ 1000-ზე მეტი დასახელების ქრონიკული დაავადებების სამკურნალო პრეპარატებზე მნიშვნელოვნად დავწიოთ ფასები. როგორ შევძლებთ ამას? ამისთვის ორი რამ არის საჭირო: თავიდან იყოს აცილებული ექიმების მიერ არასაჭირო, ბევრი წამლების გამოწერა. ეს არის ხარისხის კონტროლისა და პირველადი ჯანდაცვის ნაწილი და მეორე მიმართულებაა, კონკურენციის გაზრდა. ბაზარზე უნდა შემოვიდნენ ახალი მოთამაშეები. ეს ჩვენ არაერთხელ გვითქვამს. ამის შემაკავებელი ჯერჯერობით ერთადერთი ფაქტორია: ქვეყანას არ აქვს წამლის ხარისხის კონტროლის გამართული სისტემა და შესაბამისი ლაბორატორია. ვფიქრობ, შემოდგომისთვის ამის გაკეთებაც შესაძლებელი იქნება და ეს ორი ინსტრუმენტი ამ შესაძლებლობას მოგვცემს“, – აღნიშნა სერგეენკომ.

მისივე თქმით, ქართულ ბაზარზე დაახლოებით 15 ათასი დასახელების მედიკამენტია რეგისტრირებული, მათგან სასიცოცხლო მნიშვნელობის მედიკამენტები 1000-ზე მეტია.

ჯანდაცვის მინისტრის განმარტებით, მედიკამენტებზე ფასების დარეგულირების მიზნით, ამ ეტაპზე ფარმაცევტული კომპანიებისთვის წამალზე მოგების ზედა ზღვარის დაწესებას არ განიხილავენ.

„ინტერპრესნიუსი“

ბელორუსში საქართველოს მოქალაქე დააკავეს

ბელორუსმა სამართალდამცველებმა საერთაშორისო აეროპორტ „მინსკი 2“-ში საქართველოს მოქალაქე, 48 წლის მამაკაცი დააკავეს, რომელიც თაღლითობაშია ეჭვმიტანილი.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ბაჩუკი ტიბუა ქალბატონების ნდობით სარგებლობდა და შემდეგ მათ ძარცვავდა. მის ანგარიშზე თაღლითური გზით მოპოვებული 12 ათასი აშშ დოლარია.

ბელორუსში მის წინააღმდეგ უკვე აღძრულია სისხლის სამართლის 4 საქმე. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ ტიბუას საქმეში კიდევ მეტი დაზარალებული იყოს.

„ინტერპრესნიუსი“

დონალდ ტუსკის თქმით, საქართველოს დამატებითი რეფორმების გატარება სჭირდება

ევროპული საბჭოს პრეზიდენტი დონალდ ტუსკი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის ქვეყნებში უვიზო რეჟიმისთვის საქართველოს დამატებითი რეფორმების გატარება სჭირდება.

როგორც დონალდ ტუსკმა საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის დროს განაცხადა, საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების დიდი სურვილი გააჩნია.

„თუმცა, ჩემი სურვილი არ არის გარანტია იმ დროს, როდესაც საკითხი დგება ვიზალიბერალიზაციის თემაზე. საქართველო კარგ პოზიციაზე დგას. როდესაც თავისუფალი მობილურობის თვალსაზრისით არის საუბარი, ევროკომისიის პრეზიდენტი ჟან-კლოდ იუნკერი და მე ძალზე ამბიციურად ვუდგებით ამ თემას. საქართველო ამჟამად ახორციელებს რეფორმებს, რომელსაც მივესალმებით, თუმცა უვიზო რეჟიმისთვის დამატებითი რეფორმებია საჭირო. საქართველომ უნდა გააგრძელოს აქტიური მუშაობა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, მიგრაციის, ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლის, ადამიანთა ტრეფიკინგის თვალსაზრისით. ეს გახლავთ ჩვენი ოფიციალური პოზიცია და დარწმუნებული ვარ, საქართველო მზად გახლავთ და ამბიციური დღის წესრიგის თვალსაზრისით ვფიქრობ, რომ როდესაც საქმე მივა ამ ეტაპამდე, თქვენი მზაობა იქნება მაღალი, იმისთვის, რომ დავაჩქაროთ მოვლენათა მიმდინარეობა“, – განაცხადა დონალდ ტუსკმა.

„ინტერპრესნიუსი“

12 № 29 (293) 22 – 28 ივლისი 2015

ქართული ლიტერატურული ჟურნალი

ლიტერატურული, ზელოვნული, პოლიტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

ПРЕСБЛОГИ

რუსმა მღვდლებმა ხახულის ღვთისმშობლის ხატი გაძარცვეს და ქართველი ერი დაწყევლეს!

ერთი კვირის წინ, ჟურნალისტებმა, გოჩა მირცხულავას თაოსნობით, რუსეთის მცოცავი ანექსია, გნებავთ, ოკუპაცია დაარქვით, გავაპროტესტეთ: რუსი ოკუპანტების მიერ დაყენებული ახალი ბანერი ჩამოვაგდეთ... „არა რუსეთის ოკუპაციას!“ „მე საქართველოდან ვარ და ჩემი ქვეყანა ოკუპირებულია რუსეთის მიერ!“ „რუსეთი ოკუპანტია!“ – მცირე ზომის, ინგლისურენოვანი ტრანსპარანტები, ქართული დროშა ავაფრიალეთ და ასე გამოვხატეთ ჩვენი მოქალაქეობრივი პოზიცია. ჩვენ, ჟურნალისტთა პატარა ჯგუფი, დარწმუნებული ვიყავით, რომ გამოვხატავდით ყველა იმ ქართველის გრძნობას, ვისაც სამშობლო სტკივა. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ სამშობლო ბევრ, ძალიან ბევრ ქართველს სტკივა!..

რუსმა მღვდლებმა ხახულის ღვთისმშობლის ხატი გაძარცვეს და ქართველი ერი დაწყევლეს!

წერილი, რომელიც ყველა ქართველმა უნდა წაიკითხოს!

საოკუპაციო ბანერის ჩამოგდება და ქართული დროშის აფრიალება გადაიღეს „იმედმა“ და „რუსთავი 2“-მა. აქცია სხვა საინფორმაციო საშუალებებმაც გააშუქეს. აქვე, მინდა აღვნიშნო, რომ პროტესტის გამოხატვის ამ ფორმას აქციის ყველა მონაწილე იზიარებდა (ხურვალეთში ერთად წავედით) და უკლებლივ ყველანი ერთსულოვანნი ვიყავით.

როგორც კი ეს კადრები ქართულ ტელევიზიებსა და სოცქსელში გამოჩნდა, ელვის სისწრაფით აიტაცა დასავლეთისა და რუსულმა მედიამ და დაიწყო: გამოვიდა ბატონი კარასინი და განაცხადა, ქართველმა ჟურნალისტებმა პროვოკაცია მოაწყვეს სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის საზღვარზე და დამნაშავეების დასჯას მოვითხოვთო. რუსეთის სამთავრობო მედიამ ქართველი ჟურნალისტების აქციას პროვოკაციის კვალიფიკაცია მიანიჭა და სხვადასხვა პოლიტიკური ინსინუაციების გამოვლინებად მიიჩნია.

რუსი პოლიტიკოსებისა და რუსული მედიის აგრესიული თავდასხმა და შეურაცხმყოფელი ლექსიკა გასაკვირი ნამდვილად არ გახლდათ: გამოგვაცხადეს პროვოკატორებად, სამშობლოს მტრებად, დასავლეთის აგენტებად, „ნაცმოძრაობის“ დაქირავებულ ჟურნალისტებად, დესტრუქციული ზნეობის უსაქმურ ადამიანებად, არაშორსმჭვრეტელ და პოლიტიკურად ბეცა მოქალაქეებად, რომლებმაც ჟურნალისტური ეთიკის ნორმები შევლახეთ და ა.შ.

ერთი სიტყვით, ისეთ წუმპესა და ტალახში გვათრიეს რუსეთუმეებმა და, ისეთი ბინძური ეპითეტების ნიაღვარი დაგვარისხეს, რომ... „ნატვრის ხე“ გამახსენდა და არა – მხოლოდ მე: სოცქსელში სესილია თაყაიშვილის ფოტო (გაოგნებული, ხელგაწვდილი – „რას სჩადით, ხალხო?!“) გავრცელდა. ჩვენ, ვინც ხმა ამოვიღეთ და ხმამაღლა დავგმეთ რუსეთის იმპერიული პოლიტიკა, უცებ ცხონებული სესილიასავით დავდუმდით... ისე, ეს აპოკალიფსური ენერგია კრემლისკენ რომ მიემართათ, საქართველოც ამოისუნთქებდა და დანარჩენი მსოფლიოც. ზოგჯერ იმასაც კი ვფიქრობ, რუსმა „პრავასლავნიკებმა“ ასე როგორ დაწყევლეს ზოგიერი ქართველი, რომ დღემდე ვერ გაუგია, მზე ჩრდილოეთიდან რომ არ ამოდის?!

„არა, პროტესტი კი არ უნდა გამოვხატოთ, რუსებს უნდა მოვეფეროთ“, – მონური სულის ცინიზმი მეხივით დაგვეცა. რა შეიძლება დაუპირისპირო შიშს? – გამბედაობა, შემართება, სიმამაცე, სიამაყე. როგორ შეიძლება შიშის დამარცხება? – რა თქმა უნდა, სულის ძლიერებით, მაგრამ მონურ სულზე არაფერი ჭრის...

რუსეთუმე პოლიტიკოსები „რუსების მოფერების პოლიტიკით“ აპელირებენ და დიპლომატიური მიდგომის „კრეატიულ“, „რაციონალურ“ და გრძელვადიან პროექტად მიიჩნევენ, თუმცა რა ვადებშია გაწერილი რუსებთან მოფერება, არ გვეუბნებიან...

აშკარა რუსული პოლიტიკის მატარებელი დეპუტატები განცხადებებით გამოდიან, ახალი რეფერენდუმი ჩავატაროთ, ნატო გვინდა თუ რუსეთიო. შეფარულები კი, კრემლთან კომპრომისულ პოლიტიკას გვთავაზობენ და ამას დიპლომატიას ეძახიან... კარასინთან ფლირტაობამ შედეგი არ გამოიღო, პირიქით – პირველი კარასინი გამოხტა და სასწრაფოდ მოითხოვა დამნაშავე ჟურნალისტების დასჯა. ამაზეა ნათქვამი, მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, მგელი კი, მაინც ტყისკენ იყურებოდაო...

მერე რა, რომ ოკუპანტია...

მერე რა, რომ ე.წ. საზღვარი ერთი კილომეტრით კიდევ გადმოსწია რუსეთმა და ქართველების სახნავ-სათესი მიწა მიითვისა; მერე რა, რომ ქართული სასაფლაოც მიიყოლა; მერე რა, რომ დრო და დრო, ყანაში მომუშავე გლეხს იტაცებს და გამოსასყიდს ითხოვს (ესეც შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა ოსებისათვის, რუსებისაგან ნებადართული); მერე რა, რომ 2008-ში რუსები ბომბებს უშენდნენ, აფეთქებდნენ, კლავდნენ, ქალებს აუპატიურებდნენ; მერე რა, რომ საქართველოზე წამოსულ ჯარს პუტინის „პრავასლავნიკი“ მღვდლები ლოცავდნენ...

მერე რა და მერე რა...

ეს არის ერის ტრაგედია, ესაა დრამა, რომლის ავტორები და რეჟისორები პოლიტიკოსებიც არიან!

„მხსნელი, მესია“...

საუკუნენახევრის წინ, ქართულ ტაძრებში ქართული წირვა-ლოცვა და მრავალხმიანი ქართული საგალობლები რუსულით შეიცვალა. იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლამდე კი, ეგზარქოსმა ევგენიმ, „სანიტარული წესრიგის“ საბაბით, თეთრად შეალესინა სვეტიცხოვლის, ალავერდის, ერთაწმიდის უნიკალური ფრესკები. მოგვიანებით, ახალმა რუსმა ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა, სემინარიის რექტორ ჩუდეცკისთან ერთად, ხახულის ღვთისმშობლის ხატი გაძარცვა, ოქროსა და ვერცხლის ხატები, ასევე, საეკლესიო ნივთები მიიტაცა. ეგზარქოსმა პავლე ლებედევმა ქართულ ტაძარში ქართველი ერის წყევლაც აღავლინა...

21-ე საუკუნის დასაწყისში, იგივე გაიმეორეს რუსმა „პრავასლავნიკებმა“ და აფხაზეთის ძირძველი ქართული ტაძრების (მე-6-მე-7 საუკუნეების ძეგლები) ფრესკები და ქართული ასომთავრული წარწერები გადაფხიკეს, გადაღებეს, ტაძრები გადააკეთეს და ქართული კვალი საერთოდ მოსპეს.

ეს „ზეკაცი პუტინი“ თავის დანიშნულ ისტორიკოსებს (მათ „რეგიონალურ ისტორიკოსებს“ ეძახის), რუსეთისა და მსოფლიოს ახალ ისტორიას აწერინებს. ამ ახალ ისტორიაში ქართული ენა კავკასიურში აღარ შედის. მეგრული და სვანური ენები კი, ცალკე ენებად ითვლება. საქართველოს ისტორია, რომელიც აქამდე ვიცოდით, თურმე სულაც არაა ჩვენი. ქრისტიანობის წინა პერიოდი, ოქროს საწმისი, მედეა და კოლხეთი პრორუსული ხანა და სივრცე ყოფილა. ყველაფერი, რაც ამ „ზეკაცის“ ბრძანებით დაწერილ ახალ მსოფლიო ისტორიაშია, არა მხოლოდ ქართველებს, არამედ, ბევრ სხვა ერებსაც გააოგნებს. აი, ასეთი სიურპრიზებით აპირებს საქართველოში პუტინის რუსეთი შემოსვლას.

ღმერთმა არ ქნას და, თუ პრორუსულმა პოლიტიკამ გაიმარჯვა, ეს არ იქნება „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე“. ეს იქნება ეროვნული კატასტროფა, ეს იქნება აპოკალიფსი საქართველოში. დარწმუნებული ვარ, არ მომიწევს თქმა: ხომ გამართლდა ჩემი სიტყვები-მეთქი...

მარიკა კახაძე

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

22 - 28 ივლისი 2015 | № 29 (293)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

ექსპერტი

საოკუპაციო ხაზთან, 1 500 რუსი ჯარისკაცი და მძიმე ტექნიკაა მობილიზებული!

ომი იქნება? – რა ინფორმაცია აქვს ვახტანგ მაისაიას

რუსები თავისას არ იშლიან და ნელ-ნელა საქართველოს შუაგულისკენ მოიწევენ. უნდა ველოდოთ თუ არა ოკუპანტებს თბილისში? – „ქართული სიტყვა“ მცოცავ ოკუპაციაზე უსაფრთხოების ექსპერტ ვახტანგ მაისაიას ესაუბრა.

„დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს, 2008 წლის აგვისტოს განმეორება აღარ დაუშვას. მყიფე მშვიდობა ნარჩუნდება, მაგრამ აგრესორს წითელი ზღვარი არ უნდა გადმოვალახინოთ. ეს მცოცავი ოკუპაცია აღარაა, ეს სამხედრო აგრესიაა! ეს ორი ცნება იმით განსხვავდება, რომ სამხედრო აგრესიის დროს ოკუპანტი სტრატეგიულ ტერიტორიებს იკავებს. აგრესიას კი, ინტერვენცია მოჰყვება, რაც ქვეყნის მთავარი ქალაქებისა და დედაქალაქის დაკავებას ნიშნავს“.

— ბატონო ვახტანგ, უკრაინის შემდეგ, რიგში ისევ საქართველოა?

— სამწუხაროდ, ასეა – რუსეთი მცოცავი ოკუპაციიდან მიზანმიმართულ აგრესიაზე გადავიდა. აგრესიის მეორე ეტაპი კი, სამხედრო ინტერვენციაა, რასაც ოკუპაცია მოჰყვება.

— ხელისუფლება, როგორც ოპოზიცია ამბობს, ინერტულია და საერთაშორისო ასპარეზზეც პასიურობს. თუკი მართლაც, ასეა, სამხედრო ინტერვენციის რისკი მეტად ხომ არ იზრდება?

— მდგომარეობის გართულების გეოპოლიტიკურ ასპექტებს ყურადღებას არ ვაქცევთ. სააკაშვილის ბაქი-ბუქმა და მილიტარისტულმა რიტორიკამ სწორი გზიდან გადაგვახვევინა. როცა „ნაციონალები“ მოვიდნენ, დასავლეთსა და რუსეთს შორის პარტნიორული და სტაბილური ურთიერთობა იყო, რაც ხელს, რა თქმა უნდა, ჩვენც გვაძლევდა, მაგრამ ეს ხელსაყრელი სიტუაცია ვერ გამოვიყენეთ და 2008 წლის ომი მივიღეთ. სხვათა შორის, ისეთი შთაბეჭდილება მექმნება, რომ სააკაშვილს 2008 წლის მოვლენები აწყობდა – თავისივე პოლიტიკური იმიჯის გამყარება სურდა...

დღეს ვითარება ბევრად გართულდა და ხელისუფლება გაცილებით რთული პრობლემების წინაშე დგას.

— რატომ?

— დასავლეთსა და რუსეთს შორის, პრაქტიკულად, ცივი ომი მიმდინარეობს, რომელიც უკვე ცხელ ფაზაშია. დაახლოებით, ისეთივე ვითარებაა, როგორიც 1982-1985 წლებში იყო... 1983 წელს, საბჭოთა „გადამჭერმა“ კორეული თვითმფრინავი ჩამოაგდო და 130 ადამიანი დაიღუპა. ცოტა ხნის წინ, დომბასში მალაიზიური ლაინერი ჩამოაგდეს და ამ ფაქტთან დაკავშირებით რამდენიმე ქვეყანა უკვე ტრიბუნალს ითხოვს, რასაც რუსეთი საეჭვოდ ეწინააღმდეგება.

კიდევ ერთი: მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი პოლონეთში წესრიგის აღდგენას ცდილობდა, ამერიკელებმა ევროპაში, სსრკ-ს შესაძლო შეტევის მოსაგერიებლად, ბირთული არსენალი და სხვა სახის შეიარაღება განალაგეს. ისეთი ცხელი წერტილი, როგორიც 80-იანებში პოლონეთი და ავღანეთი იყო, დღეს საქართველოსა და უკრაინის სახით გვაქვს. ისტორია მეორდება და საკითხავია, საქართველოში პოლონური ვარიანტის მიღებას რამდენად შევძლებთ. მაშინ პოლონელებმა არ დაუშვეს, რომ სსრკ-ს აგრესია ინტერვენციად და ოკუპაციად გადაქცეულიყო.

— იმედია, ისტორია არ განმეორდება... ბატონო ვახტანგ, საზღვრის გადმოწევის საბაბი ბაქო-თბილისი-სუფსის ნავთობსადენი ხომ არ გახდა?

— საზღვრის გადმოწევის ერთ-ერთი მიზეზი, რა თქმა უნდა, სტრატეგიული ობიექტებია. სეპარატისტების კონტროლის ქვეშ ჯერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის რაღაც ნაწილი გადავიდა, ახლა კი, – ბაქო-თბილისი-სუფსა. რუსეთის სამხედრო დოქტრინაში პირდაპირ წერია, რომ მისი მთავარი ამოცანა მთელ მსოფლიოში, მით უმეტეს, ჩვენს რეგიონში, სტრატეგიული ობიექტებისა და კომუნიკაციების დაცვა და კონტროლია. რუსები იმას აკეთებენ, რაც უკვე დეკლარირებული აქვთ.

— მიუხედავად ამისა, რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, პაატა ზაქარეიშვილი ამბობს, რუსებს არ უნდა გავუთამამდეთ და მათ არც საზღვარი გადმოუწევიათო...

— დღევანდელი ხელისუფლების მესმის და ეს, ჩემი აზრით, სწორი პოლიტიკაა. წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, „ოცნების“ წარმომადგენლები პროვოკაციულ განცხადებებს ერიდებიან, თუმცა ქარიშხალს მშვიდობიანი პოლიტიკით ვერ შეაჩერებ... რეალურად, დღევანდელი ხელისუფლება ცდილობს, 2008 წლის აგვისტოს განმეორება აღარ დაუშვას. მყიფე მშვიდობა ნარჩუნდება, მაგრამ აგრესორს წითელი ზღვარი არ უნდა გადმოვალახინოთ. ეს მცოცავი ოკუპაცია აღარაა, ეს სამხედრო აგრესიაა! ეს ორი ცნება იმით განსხვავდება, რომ სამხედრო აგრესიის დროს ოკუპანტი სტრატეგიულ ტერიტორიებს იკავებს. აგრესიას კი, ინტერვენცია მოჰყვება, რაც ქვეყნის მთავარი ქალაქებისა და დედაქალაქის დაკავებას ნიშნავს.

— სხვათა შორის, ოსი სეპარატისტები „ბრიტიშ პეტროლიუმთან“ წვდომას მოითხოვენ, რათა ნავთობსადენის უსაფრთხოება უზრუნველყონ. შესაძლებელია, ნავთობკომპანია ამაზე დასთანხმდეს?

— საინტერესო შეკითხვაა და ამაზე ლაპარაკი არც ყოფილა... სწორი აქცენტირებაა, თუმცა BP კერძო კომპანიაა და ნებისმიერი დამოუკიდებელი ქმედების უფლება აქვს. სხვათა შორის, კომპანიას ასეთი შემთხვევა ნიგერიაშიც ჰქონდა – ნავთობსადენს, რომელიც ნიგერიიდან ლაგოსადმე, იქიდან კი, დასავლეთისკენ მიდის, პრობლემა სეპარატისტებმა შეუქმნეს. საბოლოოდ, ბრიტანულმა კომპანიამ სეპარატისტებთან ურთიერთობა დაამყარა. მოკლედ, ასეთი პრეცედენტი არსებობს, მაგრამ არ მგონია, „ბრიტიშ პეტროლიუმმა“ ახლა შემხვედრი ნაბიჯი გადადგას. ეს ოსების მხრიდან პოლიტიკური შანტაჟია და BP-ის არსებული კონტრაქტის დარღვევა მოუწევს. ვიცე-პრემიერმა კალაძემ განაცხადა, რომ ნავთობსადენისთვის ალტერნატიული გზა მოინახება, მაგრამ არ ვიცი, ეს ნავთობკომპანიას რამდენად აწყობს. ისე, მიუხედავად იმისა, რომ დასავლური კომპანიაა, სანქციების პირობებშიც კი, BP „როსნეფტთან“ აქტიურად თანამშრომლობდა.

— ბატონო ვახტანგ, ამბობენ, რომ 2008 წლის შემდეგ, ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვართან სპეცრაზმი და პოლიცია პატრულირებდა, 2012 წლიდან კი, პატრულირება შეწყდა... ოსმა სეპარატისტებმა კი განაცხადეს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ „სამხრეთ ოსეთის“ დამოუკიდებლობა თითქოს დე ფაქტოდ აღიარა და ახლა, დე იურედაც უნდა აღიაროს...

— მინდა, წინა ხელისუფლების აპოლოგეტ ანდრო ბარნოვს შევახსენო, რომ დღევანდელი მდგომარეობის გამომწვევი ერთ-ერთი მიზეზი სააკაშვილი და მისი გუნდია. მათ რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაცია არ შეექმნათ და კოდორისთვის ზემო აფხაზეთი არ ეწოდებინათ, დღეს ეს ტერიტორიები დაკარგული არ იქნებოდა! ჯობია, ამ ხალხმა სიტუაციის გამომწვევი მიზეზები გაარკვიოს. იქ სპეცრაზმი არ არსებობდა და ეს სიცრუეა. პოლიცია პატრულირებდა, მაგრამ სტაციონარული პუნქტები არც მაშინ იყო და არც – ახლაა. გორში ხშირად დავდივარ და კარგად ვიცი, იქ რაც ხდება. ყოველთვის ვამბობდი, რომ საზღვართან სტაციონარული ტიპის პოსტები საჭიროა. გარდა ამისა, იქ, ქართულ მხარესთან ერთად, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაც უნდა განლაგდეს. პოსტი ხურვალეთთანაა... არავინ ამბობს, რომ იქ შეიარაღებული ძალები უნდა განლაგდნენ, ეს დაუშვებელია... ჩვენ ძალების დემონსტრირება უნდა შევძლოთ. რაღაც მომენტში ე.წ. კუნთების გათამაშება საჭიროა!

— აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთი მაგისტრალი აკავშირებს, რომლიდანაც 450 მეტრის მოშორებით, რუსი ოკუპანტები დგანან. ალტერნატიული გზა, რომელიც საგანგებო მდგომარეობაში ხერხემალში გადატეხვას თავიდან აგვაცილებს, რატომ არ არსებობს?

— ეს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში უნდა იყოს გაწერილი – ალტერნატიული კომუნიკაციური სისტემები აუცილებელია, მაგრამ სამწუხაროდ, ამაზე არავინ ფიქრობს და ეს სერიოზულ გარემოებად არ მიაჩნიათ. რუსების მთავარი ამოცანა კი, საქართველოს პარალიზებაა – სურთ, თბილისი-გორის მაგისტრალი ხელში ჩაიგდონ. ისე, არსებული სცენარი 6 თვის წინ ვივარაუდე.

— ბატონო ვახტანგ, სტანდარტულ შეკითხვას დაგისვამთ: ხელისუფლებამ სიტუაციის დასარეგულირებლად რა ნაბიჯები უნდა გადადგას?

— არც ხელისუფლებაში ვარ და არც – ისეთი ინფორმირებული, როგორც მთავრობის წარმომადგენლები. ამიტომ, კონკრეტულ ნაბიჯებზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა ევროკავშირთან ერთად მონიტორინგი და საერთაშორისო ასპარეზზე გააქტიურებაა საჭირო.

— ცნობილია, რომ რუსებმა ცხინვალის რეგიონში მძიმე ტექნიკის მობილიზება და სამხედრო წრთვნა დაიწყეს...

— მზადყოფნაში 1500 ჯარისკაცია, N1 განგაში გამოაცხადეს და მძიმე ტექნიკაც გამოყვანილია. 2008-შიც, 58-ე არმია მასშტაბურ წრთვნებს ატარებდა და დღესაც, დაახლოებით, იგივე სურათია.

— მოკლედ, ომის საფრთხე აშკარაა, არა?

— ჩვენ ომი, რა თქმა უნდა, არ გვინდა, მაგრამ მთავარი ისაა, რუსებს რა უნდათ. ფაქტია, ისინი ჩვენს პროვოცირებას ცდილობენ და პირდაპირ აგრესიაზე გადმოდიან. დასავლეთისა და ირანის ურთიერთობები დათბა, ამიტომ საქართველოს სატრანზიტო დერეფანი შეიძლება, ირანელებმა დასავლეთის ნავთობით მოსამარაგებლად გამოიყენონ, რაც რუსებს არ უნდათ და ეცდებიან, ეს გზაც გადაკეტონ.

ჩემთვის რუსეთის პერმანენტული ხისტი პოლიტიკა არალოგიკური და პარადოქსულია. ისიც რთული სავარაუდოა, დღევანდელ ცივ ომში ვინ იქნება გამარჯვებული, რუსებს, ჯერჯერობით, ყველაფერი „გასდით“.

„საზღვრის გადმოწევის ერთ-ერთი მიზეზი, რა თქმა უნდა, სტრატეგიული ობიექტებია. სეპარატისტების კონტროლის ქვეშ ჯერ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის რაღაც ნაწილი გადავიდა, ახლა კი, – ბაქო-თბილისი-სუფსა. რუსეთის სამხედრო დოქტრინაში პირდაპირ წერია, რომ მისი მთავარი ამოცანა მთელ მსოფლიოში, მით უმეტეს, ჩვენს რეგიონში, სტრატეგიული ობიექტებისა და კომუნიკაციების დაცვა და კონტროლია. რუსები იმას აკეთებენ, რაც უკვე დეკლარირებული აქვთ“.

ესაუბრა **დავით გალაშვილი**

14 № 29 (293) 22 – 28 ივლისი 2015

ქართული სიტყვა

ლიტერატურული, ენისმეტყველებითი, ჟურნალისტიკა

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

გიორგი ლეონიძე

საუკუნის საქმე

რა კავშირი აქვს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებას უშიშროების მინისტრის ოჯახის ამოწყვეტასთან

ამ დღეებში, საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას შვილები – კონსტანტინე, ცოტნე და გიორგი გამსახურდიები საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილეს, ირაკლი შოთაძეს და საგამოძიებო ნაწილის უფროს მამუკა ვასაძეს შეხვდნენ. ზვიად გამსახურდიას გარდაცვალება დღემდე ბურუსით მოცული და პასუხგაუცემელია... შეხვედრაზე პროკურატურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შექმნილია ახალი საგამოძიებო ჯგუფი, რომელიც მოტივირებულია, რომ გამოძიება ბოლომდე მიიყვანოს... „ქართული სიტყვა“კონსტანტინე გამსახურდიას ესაუბრა:

წალენჯიხის რაიონში პრეზიდენტის დაცვის ორი წევრის დამწვარი ძვლები აღმოაჩინეს

– მომავალი თაობებისთვის მნიშვნელოვანი კითხვა, თუ რა ვითარებაში დაიღუპა საქართველოს პირველი პრეზიდენტი, პასუხგაუცემელი არ უნდა დარჩეს. საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებს შევხვდი და ვიცი, რომ საგამოძიებო პროცესი დაიწყო და იმედი მაქვს, ყველაფერი ლოგიკურ დასკვნამდე მივა. მინდა, მჯეროდეს, რომ სიტყვებს კონკრეტული საქმეები მოყვება და, ბოლოს და ბოლოს, ამ საქმეს ნათელი მოეფინება.

– საქმეში, თუ იცით, რომელი ექსპერტი ჩაერთვება?

– ეს ინფორმაცია არ მაქვს და, რომც ვიცოდე, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საჯაროდ ვერაფერს გეტყვით.

– საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ბურუსით მოცული გარდაცვალების შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ დღემდე დასკვნა არ დევს. საზოგადოებრივი ინტერესი კი, უწინდებურად მაღალია...

– ნამდვილად დიდია ინტერესი, გამოძიებული იქნას ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზი. ყველა დროში არსებობდნენ და არსებობენ ძალები, რომელთაც არ სურთ, რომ ზვიად გამსახურდიას საქმე იქნეს გამოძიებული და ჰაერში ჩამოკიდებული დარჩეს. ვიდრე ამ საზარელი დანაშაულის მოწმეები არ დაიხოცებიან, ყველა კვალი, 1993 წლიდან დღემდე, არ წაიშლება.

როცა დანაშაული მოხდა, პირველი დაკრძალვისას, დაიკარგა მასრა და გული, მთავარმა მოწმეებმა გარეცხეს ზეწრები, ბალიშის პირები, მთლიანად ქვეშაგები, ლეიბები ჯონსონ კვარაცხელიას ეზოში დაწვეს...

2010 წელს, კომისიამ წალენჯიხის რაიონის სოფელ ულურიაში დამწვარი სახლის მაცივარ-სამარხში ორი ადამიანის დამწვარი ძვლები იპოვა. ჩვენი ვარაუდით, ეს ზვიად გამსახურდიას დაცვის წევრები – ირაკლი გოგიძე და ვაჟა ჭინჭარაულის ნაშთებია.

მოსახლეობამ გვიამბო, რომ 1993 წლის დეკემბრის დასაწყისში, სახლში ღამეს ორი შეიარაღებული მეომარი ათევდა. ღამე ხანძარი გაჩნდა და ყველაფერი დაიფერფლა. ეს ამბავი იმ პერიოდს ემთხვევა, როცა გოგიძემ და ჭინჭარაულმა მუჟავას პარტიზანული ბანაკი დატოვეს – ბადრი ზარანდიასა და ზურაბ შონიას პარტიზანულ ბანაკს ვგულისხმობ. როცა ისინი ლუგელას ხეობისკენ წამოვიდნენ, გზად იმ სახლში გაათენეს და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა დახოცეს. სახლი დილამდე იწვოდა, მერე, ცხედრებისგან დარჩენილი ძვლები მოაგროვეს და მაცივარში დამარხეს. ყველაზე ცუდი ისაა, რომ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიურომ დნმ-ის გაკეთებაზე უარი თქვა, მიზეზად კი ის მოიდო, რომ ამ ძვლებზე ექსპერტიზა არ კეთდება, რაც საეჭვოდ მომეჩვენა.

– მთავრობები იცვლებიან. სიმართლის დადგენა კი, როგორც ამბობთ, არ ხერხდება... რატომ?

– იმიტომ, რომ ის ადამიანები, რომლებმაც ზვიადი მოკლეს, ყველა მთავრობებში ახერხებენ, პრივილეგირებული პოზიცია, მნიშვნელოვან ადამიანებთან, ანუ მათთან, რომლებიც ამ ქვეყნის მართლმსაჯულებასა და ძალოვან სექტორში ბევრ საკითხს წყვეტენ, ძალაუფლებრივი ბერკეტები და კონტაქტები შეინარჩუნონ.

– ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების გარემოებების გამოსაძიებლად საგამოძიებო პროცესი ბევრჯერ წამოიწყეს. 2009 წელს, საპარლამენტო კომისიაც კი შეიქმნა.

კონსტანტინე გამსახურდიამ საზოგადოებრივ მოძრაობას ირინა ენუქიძის სახელი დაარქვა

– დიახ, 2009-2011 წლებში, ამ საპარლამენტო კომისიას მე ვხელმძღვანელობდი.

– კომისიამ ფუნქციონირება შეწყვიტა?

– არა, ჩვენ მუშაობა დავასრულეთ და გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა წიგნი – „ზვიად გამსახურდიას საქმე“. ეს ჩვენი კომისიის ძირითადი დოკუმენტია, სადაც, ძირითადი მოწმეების გარდა, ის ადამიანებიც არიან ნახსენები, რომლებსაც, შესაძლოა, ძალიან მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ ინფორმაცია ჰქონდათ. წიგნში შეკრებილია კომისიის მიერ მოპოვებული ყველა მასალა. მას ახლავს საძიებელი, სადაც ნებისმიერ საკითხსა და მოვლენებთან დაკავშირებულ ადამიანზე შეგიძლიათ, ინფორმაცია მოიპოვოთ.

2011 წელს, საპარლამენტო კომისია დაიხურა. მან დაადგინა, რომ ზვიად გამსახურდია მოკლულია. პრეზენტაციის შემდეგ, დოკუმენტი საქართველოს პროკურატურას გადაეგზავნა, რომელმაც ჯერ საქმე დაშალა და შემდეგ, თაროზე შემოდო.

– რას ნიშნავს „საქმე დაშალა“?

– ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების საქმე დაანაწილეს, ცალკე გამოყვეს აფხაზეთის ომის დაწყებისა და თბილისში მშვიდობიანი მიტინგების დაშლისას დაღუპულთა თემა.

– ამ მასალებს ახალი გამოძიება იყენებს?

– საპარლამენტო დოკუმენტი მოკვლევაა, რომელიც სრულფასოვან გამოძიებად ვერ ჩაითვლება. ერთია მოკვლევა და მეორე – გამოძიება. საპარლამენტო დოკუმენტი მიზნად ისახავს, ერთის მხრივ, პროკურატურის მიერ გაწეული სამუშაოს შეფასებას, ყველა ვერსიის აწონ-დაწონვას, მეორეს მხრივ კი, – დამატებითი სამუშაოების ჩატარებას. საპარლამენტო კომისიამ ბევრ მოწმეს მოუსმინა და მიზნად ამ მოსმენილის გადამოწმებაც ჰქონდა.

– გამოდის, რომ კომისიამ პროკურატურას ფასდაუდებელი საქმე გაუკეთა...

– ნამდვილად კარგი სამუშაო ჩავატარეთ, წიგნად შეკრული „ზვიად გამსახურდიას საქმე“ დღეს საქართველოში მათთვის, ვისაც აინტერესებს, თუ როგორ დაიღუპა დამოუკიდებელი ქვეყნის პირველი პრეზიდენტი, ფრიად პოპულარულია.

– ბატონო კონსტანტინე, პროკურატურის დღევანდელ მუშაობას როგორ აფასებთ?

– სრულიად არადამაკმაყოფილებლად.

– 1993 წლიდან დღემდე, მერამდენე პროკურატურაა, რომელიც გამოძიებას იწყებს და არ ამთავრებს...

– წარმოიდგინეთ, 1994 წლის თებერვლიდან დღემდე, საქმე, პრაქტიკულად, არ დახურულა, მაგრამ შეკითხვები პასუხგაუცემელია... პროკურატურა, უბრალოდ, იწერდა მთავარი მოწმეების გამონათქვამებს და არც ერთ შეკითხვას არ უსვამდა. ეს, უბრალოდ, მონათხრობების ჩაწერა იყო, რომლის არც გადამოწმება ხდებოდა, არც – დაპირისპირება. რეალურად, ეს საქმის მიჩუმათება და მიჩქმალვა, გამოძიების პროცესების იმიტირება გახლდათ.

საპარლამენტო კომისიის შექმნიდან მალევე კი, მთავარი მოწმე ლუდმილა აბშილავა გარდაიცვალა. თქვენს ყურადღებას მივიპყრობ ზვიად გამსახურდიასდროინდელი უშიშროების მინისტრის, თამაზ ნინუას და მისი მეუღლის მკვლელობაზე, რაც კომისიის შექმნიდან მეორე დღესვე მოხდა. საინტერესოა, რომ მკვლელობისთვის დაპატიმრებულ თამაზ გოგიას, რომელიც მეხუთე წელია, სასჯელს იხდის, თამაზ ნინუასთან შეხება არ ჰქონია.

– როგორც ამბობდნენ, თამაზ ნინუას შეხება არც შავ-ბნელ საქმეებსა და სკანდალებთან ჰქონდა...

– თამაზ ნინუა და მისი მეუღლე შპ-4 ტყვიით არიან მოკლულები. ეს ტყვია მხოლოდ იმ ქილერებს აქვთ, რომლებიც სპეცსამსახურების დავალებით მოქმედებენ.

– ასეთი ტყვიები კერძოდ, რომელი ქვეყნის სპეცსამსახურებს აქვთ?

– რუსეთის. ამ ტყვიას ხმა არ აქვს, არც დენთის კვალი რჩება და არც – აირები, რომელიც იარაღიდან გამოსვლის დროს გამოიყოფა.

– ზვიად გამსახურდიას ცხედართანაც ასეთი ტყვია ხომ არ უპოვიათ?

– არა, იქ 9,2-მილიმეტრის ტყვია იპოვეს, რომელიც „უგერიდან“, „სტეჩკინიდან“ ან სხვა იარაღიდანაა გასროლილი.

– არსებობს ე.წ. როსტოვის დასკვნა. რუსულ მხარეს ამ საქმის გამოძიება რატომ აინტერესებდა?

– რუსეთის მხარეს უფრო ცხედრის იდენტიფიკაცია აინტერესებდა. გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ სიკვდილი საფეთქელთან შემავალი და ყურის ნახვრეტთან გამავალი ტყვიის შედეგად დადგა. ვერსიები ჰქონდათ ძვლების მოტეხილობებთან დაკავშირებითაც, რომ ეს გრუნტის ზეწოლის შედეგად მომხდარი დაზიანებები იყო, რაც არადამაჯერებლად მიმაჩნია.

მოტეხილობები შეიძლება, გროზნოში, ექსგუმაციიის დროს მექანიკური ზეწოლის შედეგია, როცა ცხედარი პლასტკის ტომარაში გადაჰქონდათ, თუმცა თუ ეს არ დადასტურდა, მაშინ გამოდის, რომ ზვიად გამსახურდიამ ძვლების მოტეხილობები 1993 წლის დეკემბრამდე მიიღო.

– ბატონო კონსტანტინე, ნეიტრალური ექსპერტიზა ბევრჯერ მოითხოვეთ. ეს მოთხოვნა დააკმაყოფილეს?

– მოვითხოვეთ და ამისთვის კალიფორნიაში მოვნახეთ სერიოზული ბიურო, რომლის მომსახურებაც 10 000 დოლარი ჯდებოდა, მაგრამ მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებამ ეს თანხა არ გადაიხადა. უფრო მეტიც, 2004 წლიდან, ირაკლი ოქრუაშვილის მეცადინეობით, საგამოძიებო მოქმედებები არ განახორციელა. საქმის გამოძიებით არ იყო დაინტერესებული მთავარი პროკურორი ზურაბ ადეიშვილიც. სამწუხაროდ, იგივე მოხდა არჩილ კბილაშვილის მთავარ პროკურორად ყოფნის პერიოდშიც.

– სამართლიანობის აღდგენის ეგიდით მოსულმა ხელისუფლებამაც ვერ გაარკვია, როგორ დაიღუპა ზვიად გამსახურდია. ამასობაში ოცდაორი წელი გავიდა. ამ ჩახლართული საქმის გამოძიების შანსი კიდევ არსებობს?

– ჯერ კიდევ არის რესურსი, თუმცა რაც დრო გადის, იწურება, მცირდება მოწმეების წრე, რომელთაც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებაზე მნიშვნელოვანი ინფორმაციები გააჩნიათ. უბრალოდ, საჭიროა პოლიტიკური ნება, რახან ამდენი წლის განმავლობაში ეს ნება არ დაფიქსირდა, გადავწყვიტეთ, საზოგადოება ჩავრთოთ:

ვაანონსებ საზოგადოებრივ ინიციატივას, რომლის მიზანიც იქნება, ბოლომდე ვიბრძოლოთ. საზოგადოებრივ მოძრაობას ასე ჰქვია – „ირინა ენუქიძის სახელობის საზოგადოებრივი ინიციატივა – ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლეთ სამართლიანობისთვის“.

– რატომ გადაწყვიტეთ, რომ ზვიად გამსახურდიას სიკვდილის გარემოებების გამოსაძიებელი ინიციატივა ირინა ენუქიძის სახელობის უნდა იყოს?

– იმიტომ, რომ ირინა სამართლიანობისთვის ბრძოლას შეეწირა.

– ბატონო კონსტანტინე, მას შემდეგ, რაც კომისიამ მუშაობა დაასრულა, კარგა ხანი გავიდა და... დიდხანს დუმდით. თქვენი გააქტიურება რას უკავშირდება?

– აქტიურობას არ ვწყვეტდი, სოციალურ ქსელში ჩემი ხუთი ათასი მეგობარი და ორი ათას ხუთასი მხარდამჭერი ჩემს აზრებს იზიარებდა. წიგნის – „ზვიად გამსახურდიას საქმე“ პრეზენტაციები საქართველოს ბევრ ქალაქში მოვაწყვე, ასევე, თბილისის უნივერსიტეტებშიც. მინდა, გითხრათ, რომ დიდია საზოგადოების ინტერესი.

„1994 წლის თებერვლიდან დღემდე, საქმე, პრაქტიკულად, არ დახურულა, მაგრამ შეკითხვები პასუხგაუცემელია... პროკურატურა, უბრალოდ, იწერდა მთავარი მოწმეების გამონათქვამებს და არც ერთ შეკითხვას არ უსვამდა. ეს, უბრალოდ, მონათხრობების ჩაწერა იყო, რომლის არც გადამოწმება ხდებოდა, არც – დაპირისპირება. რეალურად, ეს საქმის მიჩუმათება და მიჩქმალვა, გამოძიების პროცესების იმიტირება გახლდათ.

საპარლამენტო კომისიის შექმნიდან მალევე კი, მთავარი მოწმე ლუდმილა აბშილავა გარდაიცვალა“.

გაგრძელება მე-15 გვ.

ქართული სიტყვა
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
22 - 28 ივლისი 2015
№ 29 (293)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“
ლიტერატურა. ხელოვნება. პოლიტიკა

საუკუნის საქმე



— რომელიმე ეტაპზე, ხელისუფლებისგან დაპირება გქონდათ?

— არა. მინდა, მოვლენებს იმედიანად შევხედო და დასასრულამდე მივიდეთ. თავს შეურაცხყოფილად და სულში ჩაფურთხებულად ვგრძნობ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მკვლელობის საქმე დღემდე გამოუძიებელია. ვაცხადებ: დანებებას არ ვაპირებთ!

— რადიო „თავისუფლების“ ჩრდილოკავკასიური ბიუროს თანამშრომელი, ხასინ რადუევი წერს, გროზნოში თავშეფარებულ ზვიად გამსახურდიას დიდი პატივით ექცეოდნენ და როცა ქვეყანა დატოვა და საქართველოში დაბრუნდა, ყველა გაკვირვებული იყოო. თქვენი აზრით, მამათქვენი ასეთ სახიფათო გზას რატომ დაადგა?

— ზვიად გამსახურდიას არ შეეძლო, მშვიდად, დევნილობაში ეყურებინა, თუ როგორ ეცემოდა სოხუმი, როგორ დევნიდნენ ქართველებს საკუთარი ეზო-კარიდან. მისი დაბრუნება თავგანწირული მცდელობა იყო, გადაერჩინა აფხაზეთი და საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის იდეა. სამწუხაროდ, ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. ზვიადმა კარგად იცოდა, თუ რა ხდებოდა სამეგრელოში და იცოდა, რაზეც მიდიოდა.

საქართველო საბჭოთა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში პირველი გამოვიდა. ამიტომაც ყველა რისხვა თავს დაგვატყდა. ყველაზე მეტად ქართველები დავისაჯეთ და მავთულხლართების ისტორია ამ დასჯის გაგრძელებაა.

— გინდათ, თქვათ, რომ ისევ დინების საწინააღმდეგოდ მივდივართ?

— აბსოლუტურად.

— და ეს რა დინებაა?

— თუ მას საბჭოთა კავშირის აღდგენის პროცესს დავარქმევთ, მაშინ ბრძოლა ისევ გრძელდება, რადგან ჩვენთვის საქართველოს დამოუკიდებლობა გაცილებით უფრო მაღლა დგას, ვიდრე — უცხო ქვეყნის ინტერესების დაცვა. სამწუხაროდ, ბევრ ქართველს ვხედავთ, ვინც მზადაა, სხვისი ინტერესებისთვის იბრძოლოს. მიმაჩნია, რომ ასეთი ადამიანი რაღაცნაირად შლეგია.

— თქვენი ვაჟი, ზვიად გამსახურდია უმცროსი, თურმე, კინოსაქმითაა დაინტერესებული. ალბათ, დიდი ზვიად გამსახურდიას ცხოვრებაზე ფილმს გადაიღებს, არა?

— ზვიად გამსახურდია უმცროსი ბერლინში ცხოვრობს, მის მიერ გადაღებული ფილმები თავისებურად კონცეპტუალურია და რაღაცნაირად ცნობილი ქართველი რეჟისორის, მიხეილ კობახიძის ფილმებს ჰგავს. მუსიკის შერჩევაში უფროსი ძმა, დემეტრე და შვეიცარიაში მცხოვრები ქართველი ალექსანდრე კორძაია ეხმარებიან. შესაძლოა, დიდი ზვიად გამსახურდიას ცხოვრებით და მოღვაწეობითაც დაინტერესდეს.

— თბილისის აეროპორტისთვის სახელის მინიჭებაზე კამათი მიმდინარეობდა, თქვენც გქონდათ მოსაზრება...

— ვფიქრობ, შოთა რუსთაველი ყველა დროში, მათ შორის, საბჭოთა პერიოდშიც კი დაფასებული პიროვნება გახლდათ და მის სიდიადეში ეჭვი არავის შეუტანია. უბრალოდ, კარგი იქნებოდა, რომ აეროპორტს თანამედროვე პოლიტიკოსის სახელი დარქმეოდა, ყოფილიყო ზვიად გამსახურდია, ან მერაბ კოსტავა, ან ნოე ჟორდანია.

— კოლხური კოშკი რა მდგომარეობაშია?

— გამსახურდიების საგვარეულო კოშკი იერშეცვლილია — ვერ ვცნობ. ჩემი ვარაუდით, იქ დღეს ჩემი ძმა, ცოტნე ცხოვრობს, თუმცა კოშკის რეკონსტრუქციასთან ამას საერთო არ აქვს.

— ფიქრობთ, რომ ისტორიულ კოშკს იერსახე მთავრობებმა დაუკარგეს?

— ჩემს თვალში, ასეა და ვისაც რა უნდა, ის იფიქროს.

— ბატონო კონსტანტინე, არჩევნები ახლოვდება. პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას აპირებთ?

— ვმონაწილეობ ინტერპარტიულ ფორმატში, რომელიც მუშაობს სამართლიან და დემოკრატიულ გარემოსა და არჩევნებზე, ახლახანს სოციალურ ქსელებში 2012-2014 წლებში გამოქვეყნებული ჩემი სტატუსები წიგნად გამოვეცი. სტატუსები სამად იყოფა: პოლიტიკა-ეკონომიკა, კულტურა-ხელოვნება-ისტორია და მესამე, რელიგიური დღესასწაულები. წიგნის სათაურია „რა ვქნისა ციხე ავაგე“...

ესაუბრა ნათია გოგიტიძე

„გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ სიკვდილი საფეთქელთან შემავალი და ყურის ნახვრეტთან გამავალი ტყვიის შედეგად დადგა. ვერსიები ჰქონდათ ძვლების მოტეხილობებთან დაკავშირებითაც, რომ ეს გრუნტის ზეწოლის შედეგად მომხდარი დაზიანებები იყო, რაც არადამაჯერებლად მიმაჩნია.

მოტეხილობები შეიძლება, გროზნოში, ექსჰუმაციიის დროს მექანიკური ზეწოლის შედეგია, როცა ცხედარი პლასტკის ტომარაში გადაჰქონდათ, თუმცა თუ ეს არ დადასტურდა, მაშინ გამოდის, რომ ზვიად გამსახურდიამ ძვლების მოტეხილობები 1993 წლის დეკემბრამდე მიიღო“.

განგაში

ფრთხილად, ბიზნესმენების სახელით „ფეისბუქში“ უცნობები გოგონებზე ნადირობენ!

„გოგონებო, ოლიმპიადის დღეებში, მაქსიმუმ, 7 დღით, 4 ბიზნესმენს სჭირდება ლამაზი, მიმზიდველი და, რაც მთავარია, უკომპლექსო (ძალიან უკომპლექსო) გოგონები ესკორტისთვის, ძალიან მაღალი ამაზღაურებით (ძალიან). ვინმე თუ ხართ დაინტერესებული, პირადში მოგვწერეთ“, — ეს განცხადება პრომო სააგენტო „25-ე კადრმა“ რამდენიმე დღის წინ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა... მოგვიანებით, „ქართულ სიტყვას“ დაუკავშირდა გოგონა, რომელიც აცხადებს, რომ ვაკანსიით დაინტერესებულ პირებს „25-ე კადრი“ დღეში 1000 დოლარის გადახდას ჰპირდება და ფიქრობს, რომ პრომო გოგონებს, „კარგი საქმისთვის იქ ნამდვილად არავინ იბარებს...“ ცოტა ხნის შემდეგ, აღნიშნული სააგენტოს „ფეისბუქის“ ოფიციალური გვერდიდან ეს შემოთავაზება გაქრა. „ქართული სიტყვის“ ინკოგნიტო რესპონდენტი ამბობს, რომ ეს ინფორმაცია სხვა სააგენტოებმაც გაავრცელეს და ამის დასადასტურებლად სურათს მანახებს, რომელზეც იგივე ტექსტი და იგივე შემოთავაზებაა დაფიქსირებული. ისე, მე და ჩემი რესპონდენტი, ერთობლივი მცდელობის მიუხედავად, ამ სააგენტოებს, „25-ე კადრის“ გარდა, „ფეისბუქზე“ ვეღარ ვპოულობთ. უკომენტაროდ გთავაზობთ ამ გოგონასა და „25-ე კადრის“ „ფეისბუქ-საუბრის“ ჩანაწერს:

რაში სთავაზობენ მოზარდებს დღეში 1000 დოლარს — „ქართული სიტყვის“ სკანდალური ექსპერიმენტი

გოგონა: — სტატუსის წაშლით ვერაფერს მოაგვარებ და, არ ვიცი, მდედრი ხარ თუ მამრი, მაგრამ აუცილებლად გეყოლება შვილი, ან ნათესავი გოგო და გისურვებ, რომ შენნაირმა ადამიანმა წაიყვანოს სამუშაოდ მდიდარ, ღიპიან ბიძებთან და 1000-მა დოლარმა შესძინოს უკომპლექსობა! მიმიფურთხებია შენი საქმისთვის. ჩაიხედე შენს თავში და სანამ ეგეთ რამეს შესთავაზებ ვინმეს, დაფიქრდი! სამარცხვინოა!

პრომო სააგენტო: — გვესმის თქვენი რეაქცია, თუმცა სრულწლოვან ადამიანებს აქვთ არჩევანის უფლება, რომელიც, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ხელშეუხებელია.

გოგონა: — მართალი ხარ, სრულწლოვანს აქვს არჩევანის საშუალება, მაგრამ ის, რომ აგიტაციას უწევ ვიღაც ოთხი ბინძური ბიზნესმენის „ხუშტურებს“, ეს ნორმალურია? მეც ვმუშაობდი პრომოდ და რაც ვნახე, პრომოების 50% პატარა, ლამაზი, უტვინო ბავშვი იყო, რომელსაც უჭირდა და თავის რჩენას პრომოობით ცდილობდა! პირველ რიგში, დასახურები ხართ და მერე — დასაჭერები!

პრომო სააგენტო: — სხვის მაგივრად რატომ ღელავთ, ჯერ ერთი, არსად იყო ნახსენები, რომ ინტიმი აუცილებელი პირობა იყო, ნებისმიერ სურვილში შედიოდა, თუნდაც, კლუბში მათთან ცეკვა. ვარჩიეთ, ყველაფერი ღიად დაგვეწერა და თვითონ გადაეწყვიტათ, უნდოდათ თუ არა. პატარა გოგონები, თავისთავად, არც განიხილებოდნენ.

გოგონა: — კარგი და რატომ წაშალე სტატუსი? ამ ყველაფერს ესე არ დავტოვებ. არ ვარ, არც ინტრიგანი და არც — უსაქმური, რომ თქვენნაირებზე დრო დავკარგო, მაგრამ როდესაც საქმე ახალგაზრდა, ლამაზ ბავშვებს ეხება, მე არ გავჩუმდები.

პრომო სააგენტო: — თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე აირჩიეს გოგონები და იმიტომ.

გოგონა: — ყოჩაღ, იამაყეთ, რომ დაადებილეთ ლამაზი, შტერი გოგონები, ყოჩაღ! სად არის თქვენი ოფისი, თუ საიდუმლო არ არის?

პრომო სააგენტო: — ნუთუ, ამდენად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამას? მოკლედ, როგორც გითხარით, გოგონები უკვე არჩეულები არიან, ბრმად არავინ არავინ მიჰყავს, როგორც თქვენ ამბობთ, აუხსნიან დეტალურად პირობებს, თუ დათანხმდებიან, ითანამშრომლებენ, თუ არადა, არა. ვასრულებთ ამ თემაზე თქვენთან საუბარს.

გოგონა: — მხეცები ხართ! დავიჯერო, ძუნწგლიანი 500 ლარის გულისთვის გიღირს ეგეთი ბინძური სამუშაოს შესრულება? ტფუ...“

ამით ეს დიალოგი მორჩა. სააგენტოს პასუხი აღარ გაგვცია. გამოდის, რომ ამ დროს, გოგონებს უკვე არჩეული ჰყავთ... ამის შემდეგ, წყაროს მიერ მოწოდებულ ნომერზე რეკავს სხვა გოგონა, რომელიც „ქართულ სიტყვასთან“ წინასწარ შეთანხმებულია და ცდილობს, სააგენტოდან მაქსიმალური ინფორმაცია მიიღოს:

— გამარჯობა, „25-ე კადრია“?

— არა, — პასუხობენ და სხვა ნომერს აძლევენ, — აქ უნდა დარეკოთ.

რეკავს...

— გამარჯობა, „25-ე კადრია“?

— დიახ, გისმენთ...

— „ფეისბუქზე“ ვნახე, რომ ლამაზი, უკომპლექსო გოგონები გესაჭიროებოდათ და ბევრს გადაუხდიდით. სურვილი მაქვს და მაინტერესებს, რამდენად შეესაბამება ეს სიმართლეს, რა თანხას იხდით, მოკლედ, ყველაფერი...

— ანუ... ჩვენ მაგ კომპანიასთან, ვინც ეგ შემოგვთავაზა, აღარ ვთანამშრომლობთ, შესაბამისად, სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარებით, თუმცა როგორც ვიცი, სხვა სააგენტოებსაც მიაწოდეს ეს ინფორმაცია და, იქნებ, მათ დაუკავშირდეთ, თუ მონაწილეობა გნებავთ. ჩვენ, სამწუხაროდ, ვეღარ დაგეხმარებით.

— შეგიძლიათ, მითხრათ, რომელ სააგენტოებს?

— ვაიმე, არ ვიცი... შეგიძლიათ, „ფეისბუქზე“ ნახოთ, ბევრი სააგენტოა და თითქმის ყველასთან აქვთ მიწერილი, ასე რომ...

— ალბათ, დასაქმების სააგენტოებს, ხომ?

— არ ვიცი, კონკრეტულად რომელს... ვერ დაგეხმარებით.

ეს დიალოგიც აქ წყდება, თუმცა ვიმეორებ: ამ სააგენტოებს, „25-ე კადრის“ გარდა, „ფეისბუქზე“ ვეღარ ვპოულობთ და ამ უკანასკნელსაც ზემოხსენებული ინფორმაცია საკუთარი გვერდიდან წაშლილი აქვს.

პირველი საუბრის შემდეგ, 2-3 წუთში, „ქართულ სიტყვასთან“ შეთანხმებული გოგონა ისევ იმ ნომერზე რეკავს:

— უი, უკაცრავად, ისევ თქვენთან დამერეკა...

— აა.. თქვენ რეკავდით ისევ?.. ალო... — გოგონა ხმას არ იღებს და ისევ სააგენტოდან ლაპარაკობენ, — რა ქენით, გაარკვიეთ?

— ვერა, ვერაფერი გავიგე, არადა, ძალიან მაინტერესებდა...

— რა ვიცი... ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ დაგეხმარებით. იმიტომ, რომ... მაგ კომპანიას რაღაც საეჭვო ფუნქციები აქვს და თქვენ არ გირჩევთ მაგასთან თანამშრომლობას, ასე რომ...

— საეჭვო? უი, არ ვიცოდი, რას გულისხმობთ?

— მოკლედ, თუ გადაწყვეტთ, კარგად გაარკვიეთ... ნახვამდის.

სულ ეს იყო... მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოსთან საუბრისას წყაროს უთხრეს, მსურველები უკვე ავიყვანეთო, მეორე გოგონასთან საუბრისას ეს უარყვეს... არ ვიცით, რა კომპანიაა, არც იმ 4 ბიზნესმენის ვინაობა ვიცით, მაგრამ ამას, სიმართლე რომ ვთქვათ, მნიშვნელობა არც აქვს. უბრალოდ, „ქართულმა სიტყვამ“ ის გაახმაურა, რაც უამბეს. ასე რომ, ფრთხილად, „ფეისბუქში“ უცნობების საეჭვო შემოთავაზებას არ წამოეგოთ!

ბექა ლიბრაძე

№ 29 (293)
22 – 28 ივლისი 2015
ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით
„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

სილამაზის გაკვეთილები

რატომ სცვივათ ქალებს თმა

თმის ცვენას არცთუ ხშირად დიაცებიც უჩივიან, თუმცა დღეს სიმელოტის „განკურნება“ ადვილად შეიძლება. ამისთვის საჭიროა, ვაჟა ფშაველას გამზირიდან, ტაშკენტის ქუჩას აუყვეთ, ორასი-სამასი მეტრი გაიაროთ და... თმის გადანერგვის კლინიკა „თალიზის“ კარი შეაღოთ, სადაც კლინიკის ხელმძღვანელი, ესთეტიკური მედიცინის ამერიკული აკადემიის პროფესორი, თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო და აზიის ასოციაციების წევრი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი აკაკი წილოსანი და მისი გუნდი ახალგაზრდობაში დაგაბრუნებენ და ღიმილსაც თავიდან გასწავლიან. სხვათა შორის, „თალიზი“ მსოფლიოში თმის ტრანსპლანტაციის ყველაზე გავლენიანი და ავტორიტეტული ორგანიზაციის წევრია, რომელსაც საკუთარ მიღწევებზე „რაპორტს“ სისტემატიურად უგზავნის... ახლა, რაც შეეხება დღევანდელ მთავარ თემას, ანუ ემუქრებათ თუ არა ქალებს სიმელოტე? აკაკი წილოსანის თქმით, ალოპეციის, ესე იგი, თმის ცვენის ბევრი მიზეზი არსებობს, თუმცა ყველაზე გავრცელებული, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, მამაკაცებსა და ქალებშიც ერთი – ე.წ. ანდროგენეტიკური მექანიზმია.

– აკაკი, ეს რას ნიშნავს?

– რას და, – თმის ცვენა გენეტიკური ფაქტორებითა და მამაკაცის სასქესო ჰორმონის, ტესტოსტერონის არსებობითაა გამოწვეული – თუკი გენეტიკური მიდრეკილებაა და ტესტოსტერონიც არსებობს, თმის ცვენა იწყება. ტესტოსტერონს ქალებში თირკმელზედა ჯირკვალი გამოიმუშავებს და შესაბამისად, ქალებშიცაა, თუმცა იმ დონით არა, როგორც – მამაკაცებში. ამიტომ, ქალებში სრული ალოპეცია იშვიათია – მანდილოსნებს თმა უთხელდებათ, მაგრამ ისე, როგორც მამაკაცები, იშვიათად მელოტდებიან. სხვათა შორის, საქართველოში, თმის ცვენის შემთხვევათა 95 პროცენტს ანდროგენეტიკური ალოპეცია შეადგენს.

ზემოთქმულის გარდა, ქალებში თმის ცვენა შესაძლოა, სხვა მიზეზითაც იყოს გამოწვეული, რასაც ტელოგენეფლიუმი ჰქვია – ორსულობის, ნერვიულობისა და ჰორმონალური ცვლილების დროს ქალები თმას ინტენსიურად კარგავენ, მაგრამ ეს დროებითი მოვლენაა და არ შეიძლება, პათოლოგიად ჩაითვალოს.

– ანუ, ასეთ დროს გაცვენილი თმა თავისით ამოვა?

– დიახ. ეს გამელოტება კი არა, უბრალოდ, თმის გათხელებაა...

თმის ცვენის მიზეზი შეიძლება, ისეთი დერმატოლოგიური დაავადებაც იყოს, მაგალითად, როგორიც ბროკის დაავადებაა, ბუდობრივი ტიპის თმის ცვენა...

– ბროკის დაავადება მხოლოდ ქალებს აღენიშნებათ?

– არა...

– ბატონო აკაკი, თქვენი დაკვირვებით, თმის ცვენას დიაცები უფრო განიცდიან თუ მამაკაცები?

– თმა სილამაზის სიმბოლოა და თმის ცვენას, რა თქმა უნდა, ქალები უფრო განიცდიან. საერთოდ, სამსონისა და დალილას მითს თუ გავიხსენებთ, სამსონისთვის თმა სიძლიერისა და ჯანმრთელობის სიმბოლოც იყო...





– ქალებში ანდროგენული თმის ცვენა რა ასაკიდან იწყება?

– როგორც წესი, 40 წლიდან, თუმცა ვინაიდან სრული გამელოტება არ აღინიშნება, ქალები თმის ცვენას სხვადასხვა საშუალებით, მაგალითად, დახვევით, შეღებვით, ბოლოს და ბოლოს, პარიკით ებრძვიან.

– „თალიზამდე“ პარიკს მამაკაცებიც ატარებდნენ... ბატონო აკაკი, თქვენს კლინიკაში პაციენტებს ანონიმურობა გარანტირებული აქვთ?

– რა თქმა უნდა, თუმცა ზოგს ვინაობის, ასე ვთქვათ, გაუთქმელობის კატეგორიული მოთხოვნა არ აქვს.

– პაციენტებთან ხელშეკრულებას აფორმებთ?

– დიახ და გარანტიას ვაძლევთ, რომ გადანერგილი თმა არასოდეს გასცვივდება, თუმცა თუკი თმას ე.წ. მეჩხერ ადგილას ვნერგავთ, გადანერგილი ამოვა, ბუნებრივი კი, ცვენას გააგრძელებს და ის შედეგი, რაც უნდა, პაციენტმა შეიძლება, ვერ ნახოს. ამიტომ, არსებობს მედიკამენტოზური მკურნალობა, რომელიც თმის ცვენას ეფექტურად აჩერებს. გადანერგვისა და მკურნალობის კომბინაცია კი, ყოველთვის კარგ შედეგს იძლევა.

– ხალხს ჰგონია, რომ თმის ცვენის ერთ-ერთი მიზეზი ქუდი, ან ავიტამინოზია. ასეა?

– არა, თუმცა თმის ცვენას, როგორც ზემოთ აღვნიშნე, გარკვეული დაავადებებიც იწვევენ.

– თმის ცვენაზე ნერვიულობა და სტრესი მოქმედებს?

– კი, მაგრამ ეს წამყვანი ფაქტორი არაა. აქაც ზუსტად ისეა, როგორც მაგალითად, ფილტვების ანთების დროს, რომლის გამომწვევიც გაციება კი არა, სტაფილოკოკი, სტრეპტოკოკი ან სხვა ბაქტერიაა. გაციება პნევმონიას, უბრალოდ, ხელს უწყობს. თმა ძალიან მგრძნობიარეა და რეაქცია ცილებზეც აქვს, დაღლილობასა და ავიტამინოზზეც, თუმცა ყველაფერი ეს დამხმარე ფაქტორია...

– ანდროგენული თმის ცვენა დაავადებისგან როგორ უნდა გავარჩიოთ?

– როცა თმა გვირგვინის არეში შემცირებულია, კეფაზე კი, – არა, ეს ანდროგენული ალოპელაციაა... ასევე, შეგიძლიათ, დერმატოლოგსა და ტრიხოლოგს მიმართოთ.

– ეს სპეციალისტები „თალიზში“ არიან?

– ბუნებრივია, მაგრამ ბუდობრივი ცვენისას და ბროკის დაავადების დროს გადანერგვა კი არა, მკურნალობაა საჭირო...

– წელან, კერძო საუბრისას, თმის ხაზის კორექცია ახსენეთ. ეს რაღაა, აკაკი?

– ზოგჯერ ქალბატონებს თმის ხაზი არ მოსწონთ, ან მაღალი შუბლი აქვთ და დაპატარავება უნდათ. ასეთ დროს ახალ დიზაინს „ვაკეთებთ“ და თმას ამის მიხედვით ვნერგავთ.

– წარბების კორექციასაც აკეთებთ?

– დიახ, თუმცა ეს ცალკე თემაა და შემდეგში ვისაუბროთ...

– ბევრი ქალი პაციენტი გყავთ?

– მაგალითად, დღეს თმა ერთ ქალბატონს გადავუნერგეთ, ხვალ კიდევ ერთს უნდა გადავუნერგოთ, თუმცა სტატისტიკურად, ჩვენთან თმაგადანერგილ ათ მამაკაცზე მხოლოდ ორი ქალი „მოდის“. ისე, თმის ტრანსპლანტაციაზე გადაწყვეტილებას ქალები უფრო ადვილად იღებენ.

საერთოდ, თმის ძირი ძალიან სიცოცხლისუნარიანია და ყველანაირ სტრესს უძლებს, თუმცა გენეტიკურად, ზოგი ძირი სიკვდილისთვისაა განწირული, ანუ ეს ინფორმაცია ჩვენს გენებში წერია და მისი შეცვლა შეუძლებელია.

– თმის ცვენა გადანერგილ თმაშიც შეინიშნება?

– არა...

– ისე, უცნაურია: ზოგი ჭარბთმიანობას ებრძვის, ზოგიც – თმის ნკლებობას...

– სხვათა შორის, იაპონიაში კულტურაა, რომ ქალს ბოქვენზე თმა აუცილებლად უნდა ჰქონდეს, რადგან ეს სექსუალურად და სილამაზედ ითვლება!

– ესე იგი, თმა ბოქვენზეც გადაგინერგავთ?

– დიახ, კორეასა და მალაიზიიდან ბევრი პაციენტი ქალბატონი გვყოლია.

– ბოქვენზე თმას საიდან ნერგავთ?

– კეფიდან...

– ეს რთული ოპერაციაა?

– არა...

– თმის გადანერგვისთვის, აკაკი, ასაკს მნიშვნელობა აქვს?

– არა, თუმცა უკეთესია, როცა თმის ცვენა ასაკში იწყება – ამ დროს ტრანსპლანტაციას უკეთესი შედეგი აქვს, რადგან თუ ალოპეცია ახალგაზრდობაში დაიწყება, ადამიანი, ასაკში რომ შევა, არაგადანერგილი თმა გასცვივდება, გადანერგილი კი, – არა...

მოკლედ, თუკი კეპი, ანუ სიმელოტე ნერვებს გიშლით, ბევრი აღარ იფიქროთ – კლინიკა „თალიზს“ ესტუმრეთ და აკაკი წილოსანი, თავის გუნდთან ერთად, ცხოვრების ხალისს დაგიბრუნებთ!

ვანო პავლიაშვილი

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

22 – 28 ივლისი 2015 | № 29 (293) | 17

„შენ – უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო – ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

ლიტერატურა. მეცნიერება. პოლიტიკა

საინფორმაციო მხარდაჭერა

თუშეთმა პროზა-პოეზიის პრემია „ივერიის“ მეოთხე ტურს უმასპინძლა

„წმინდა ილია მართლის (ჭავჭავაძის) გაზეთ „ივერიის“ სახელობის პროზა-პოეზიის პრემია – „ივერიის“ (წელიწადი მეორის) მეოთხე ტურს ამჯერად მსოფლიო საოცრება მხარემ, თუშეთმა უმასპინძლა...

„სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესის და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით დაწყებულ პროექტს პოპულარობა ორიგინალურმა ხედვამ და მიმართულებამ მოუტანა, რომელსაც პროზა-პოეზიის, ხატმწერების, მხატვრებისა და ფოტოხელოვანების ერთობლიობა ჰქვია და რომელიც ხელოვნების ყოველთვიურ დღესასწაულად იქცა. ასეთი იყო წელიწადი მეორის მეოთხე ტურიც, რომლის მასპინძელიც ახმეტის მაჟორიტარი დეპუტატი ზურაბ ზვიადაური გახლდათ. ის პროექტში საკუთარი ინიციატივით ჩაერთო და ერთ-ერთ დიდ და ეროვნულ პროექტად აღიარა“, – ამბობს პროექტისა და პრემიის დამფუძნებელი **ნუგზარ ქიაბერაშვილი**.

„ეს პროექტი ერთ-ერთი ყველაზე ეროვნულია და ყველა პოეტი, მწერალი და, რა თქმა უნდა, ხატმწერი, მხატვარი და ფოტოხელოვანია ჩართული. ეს ადამიანები ჩვენი საუკუნის ჟამთააღმწერები არიან და ბედნიერი ვარ, რომ მათთან ერთად მიწევს ამ პროექტის განხორციელება. ყველა ხელოვანი უნდა ჩაერთოს ამ ეროვნულ საქმეში, რათა ეროვნული ცნობიერება ამაღლდეს და ჩვენი ქვეყანა ხელოვნებით გაერთიანდეს. საერთოდ, პოეტს და მწერალს უდიდესი ძალა აქვს საზოგადოების სწორად აღზრდისთვის და მოტივაციისთვის, თუ როგორები უნდა იყვნენ ადამიანები და როგორ უნდა ემსახურებოდნენ სამშობლოს. მსგავსი ფუფუნება თუშეთს, განსაკუთრებით კი, ომალოს ნამდვილად აკლია და დღეიდან ვიწყებთ ამ დანაკლისის აღმოფხვრას. აქვე, საჯაროდ გპირდებით, რომ მომდევნო ეტაპს ხევსურეთში ვუმასპინძლებ, რადგან მოხიბლული ვარ პროექტის მსვლელობით, ღრმა შინაარსითა და მონაწილეებით. ამაყიც ვარ და ბედნიერიც, რომ ასეთი ლამაზი და გენიალური პოეტების თაობა გვყავს, ძველ თაობაზე რომ აღარაფერი ვთქვა. მუდმივად ჩართული ვიქნები პროექტში, რათა უდიდესი ეროვნული საქმის მეტი პოპულარიზაცია მოხდეს, მით უმეტეს, რომ პროექტი მისი უწმინდესობის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება და წმინდა ილია მართლის სახელს ატარებს პრემია „ივერია“. ეს პროექტი საქართველოს ყველა კუთხის შემოქმედებას აერთიანებს. საკითხის ასეთი მიდგომა უმნიშვნელოვანესი იმ თვალსაზრისითაცაა, რომ ყველა მხარის შემოქმედს შეეძლება, ხმა მიაწვდინოს ხალხს, თავისი სათქმელი უთხრას ლექსით, ხატით, ნახატით... თუშური პოეზია თავისებურად ღრმაა და საოცრად ლამაზი, რაშიც დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, განსაკუთრებით წოვა თუშური, რომელი დიალექტითაც სულ რამდენიმე ადამიანი წერს და სწორედ ეს არ უნდა დავკარგოთ და ამ პროექტით აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ“, – განაცხადა **ზურაბ ზვიადაურმა**.

მეოთხე ტურს საქართველოს პარლამენტის წევრი **ომარ ნიშნიანიძეც** ესწრებოდა: „ეს პროექტი იმდენად დიდი, ღრმა და მდიდარია, რომ აუცილებლად უნდა წავიღოთ ქუთაისში, მე ვარ ამ საკითხის ინიციატორი და თუ ისურვებთ და ნებას დამრთავთ, ვუმასპინძლებ. გარდა ამისა, მინდა, თერჯოლაში ჩატარდეს თქვენი პრემიის ერთ-ერთი ტური, რაც დიდი პატივი იქნება იმერეთისთვის“.

ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის წევრი, მსახიობი **გია ჯაფარიძეც** ესწრებოდა: „მიხარია, რომ მსგავსი საინტერესო პროექტი იმართება თუშეთში და ვიმედოვნებ, ეს ტრადიციული გახდება. მჯერა, მსგავსი პროექტები დიდ წვლილს შეიტანენ ჩვენი ერის სულიერებასა და გამთლიანებაში. პროექტით აღფრთოვანებული ვარ და მეც გამოვთქვამ სურვილს და თხოვნას, რომ რაჭასაც ეწვიოს ეს დიდებული საქმე“.

ღონისძიების დასასრულს, ზურაბ ზვიადაურმა მეოთხე ტურის კონკურსანტები მონაწილის სიგელებით და წმინდა ილია მართლის ხატებით დააჯილდოვა, რომელიც „საგამომცემლო სახლ ქართულ ელიტას“ ეკუთვნის. სხვათა შორის, სიგელი და ხატი, პროექტის ერთ-ერთი პარტნიორისგან, გიორგი კაკუშაძისგან თავადაც მიიღო, როგორც მხარდამჭერმა.

პრემია „წელიწადი მეორის“ მეხუთე ტური ხევსურეთში გაიმართება, რომელსაც ისევ ზურაბ ზვიადაური უმასპინძლებს.

ნატა შამათავა

სპეციალური რეპორტაჟი

„ნასმი“ რო არ ვიყო, გავცურავდი!“ – რა ხდება თბილისის ზღვაზე

თბილისის ზღვა... ზღვა კი არა, 11,6 კვ/მ ფართობის მოლურჯო-მომწვანო წყალსაცავი... ჯერ კიბით გორაკზე ავედი და იქიდან პირდაპირ ქვა-ღორღიან პლაჟზე დავეშვი. აჩეჩილ თმას ვინღა დაეძებს, ქარი ნაპირზე დატრიალებულ ჭუჭყს თვალებში მაყრის. ვის აღარ ნახავთ აქ?! აი, „მაყუთიანი მამიკოს“ შვილებს კი, ნამდვილად, – ვერა.

წყლის ველოსიპედით ერთსაათიანი სეირნობა 15 ლარი, კატერით კი, 50 ლარი ღირს

ზოგი შეზლონგზე წევს, რომელიც 2 საათით 3 ლარად ქირავდება. ზოგი, ვისაც შეზლონგში ფულის დახარჯვა არ სურს, ან ფული საერთოდ არ აქვს, ძირსაა გართხმული. პლაჟზე შესვლისთანავე, საჭმელი და სასმელი მოვიკითხე: ლობიანსა და ერთ კათხა ლუდს ერთი და იგივე ფასი აქვს – ორივე 2 ლარი ღირს. გაზიან სასმელს, სტანდარტულ ფასთან შედარებით, 30-40 თეთრით ძვირად იყიდით.

აქ ყველა ასაკის ადამიანია. ზოგს გარუჯვა უნდა და ეტყობა კიდეც – მიუშვერია სხეული მცხუნვარე მზისთვის. ბიჭების ნაწილი „ტურნიკზე“ „აზიდვებს“ აკეთებს და კუნთების გამაგრებას ცდილობს გოგონების თვალწინ... ზოგს ბანაობა და ჭყუმპალაობა სიამოვნებს... ცურვის მოყვარულები ვერ ვნახე – ამკრძალავი ხაზი ნაპირთან ისე ახლოსაა, რომ ხელის ორ გემრიელ მოქნევასაც ვერ მოასწრებ, ისე გადაცდები საცურაოდ დასაშვებ ზონას და აკრძალულ ტერიტორიაზე აღმოჩნდები.

პლაჟზე ჩრდილი, წამლად რომ გინდოდეს, არაა, თუმცა აქ ჩრდილისთვის, ალბათ, არც არავინ მოდის. ბიჭები, ძირითადად, „შორტებში“, გოგონები კი, საცურაო კოსტიუმებში არიან გამოწყობილნი, თან ქარის ყოველ „გამოქროლებაზე“ სახეზე ხელს იფარებენ და თავის მტვრისა და სილისგან დაცვას ასე ცდილობენ. აქ ისეთებიც არიან, გარკვეული მიზეზების გამო, სხეულის საჯაროდ „წარმოჩინებას“ რომ ერიდებიან. პრინციპში, თუ მათ გვერდით წამოგორებულ, ალმაცერი გამოხედვის მქონე ბიჭებს დააკვირდებით, „ჩაფუთნულობის“ მიზეზსაც მარტივად მიხვდებით.

მოშორებით სახეზე ტრუსწაფარებული ბიჭი გაშხლართულა და, თუ კანის ფერით ვიმსჯელებთ, სასურველ შედეგს, ალბათ, მალე მიაღწევს.

ადგილს გააჩნია, მაგრამ წყალში, ასეა თუ ისე, ნამდვილად ბევრი მცენარეა. იმ ადგილას, სადაც წყალმცენარეები ნაპირიდანაც კი მოჩანს, არავინ ცურავს. იქვე, ახლოს, ბიჭები პლაჟის ფრენბურთს თამაშობენ.

მაშველებისკენ მივდივარ. ისინი სტადიონისკენ მიმითითებენ, სადაც წყლის ველოსიპედითა და კატერით გასეირნების ფასს გავიგებ... და სწორედ ამ დროს ვხედავ: ბიჭი პირსაწმენდებზე წამოწოლილ გოგონებთან მიდის და სურათს უღებს.

– არ გვინდა, ნუ გვიღებ, – ეუბნებიან.

– აუ, რატოოოოო? თქვენი სახელები მაჩუქეთ...

– პანდა, – პასუხობს ერთ-ერთი და დაბნეულ ბიჭს განუმარტავს, რომ პანდა მსუქანი, საყვარელი ცხოველია.

– აუ, ახლა „ნასმი“ ვარ. „ნასმი“ რო არ ვიყო, გავცურავდი და „ვაფშე“, „მკიდია“, რო შორს გაცურვა არ შეიძლება, – „გაიბლატავა“ ბიჭმა, მაისური კისერზე დაიხვია და გოგონებს მოუტრიალდა, – ხო გამომყვებოდით?

ვერ გავიგე, რამე, ალბათ, მიმიკით ანიშნეს და ბიჭმა, ახლა სურათს თქვენი ტელეფონით გადაგიღებთო, შესთავაზა. მერე ის გამოიკითხა, რომელი უბნიდან იყვნენ და გოგონებიც აჰყვნენ.

– გოგოებო, მორიდებული „როჟები“ ნუ ხართ, გავიხსნათ, რა... –– და ბიჭი ფეხებთან მიუცუცქდა ქალიშვილებს.

– აბა, ცივი წყალიო, – გავიგონე და მოხუც ქალს წყლის ფასი ვკითხე. ვიდრე პასუხს გამცემდა, ჩანთის ძირს დადება, იქიდან ლიტრიანი ბოთლის ამოღება და ჩემთვის შემოჩეჩება მოასწრო. აზრზე რომ მოვედი, ბოთლი უკვე ხელში მეჭირა. ბებო კმაყოფილი მიღიმოდა.

– 1 ლარი...

გადავუხადე.

მერე მომაძახა, 50-თეთრიანებიც მაქვსო – ალბათ, უფრო პატარა ბოთლებში...

ვიდრე სტადიონამდე მივალ, გზად, პირდაპირ პლაჟზე, ნაგვის ბუნკერი „შემომხვდა“, რომლიდანაც გადმოყრილ ნაგავს ქარი ჰაერში ატრიალებს. გზას უცნობ წყვილთან ერთად ვაგრძელებ... ბიჭი მეუბნება, თბილისში უკეთესი ალტერნატივა არაა და დანარჩენის არც საშუალება გვაქვს, თორემ კარგი კი ვიცით, რაც არის და აქ არ მოვიდოდითო. ამასობაში 20-თეთრიანი ვიპოვე – სტუდენტური ბარათისთვის სამგზავრო ფულად გამოვიყენებ...

ნაპირზე „ჰოთ დოგის“ დახლი დგას, მაგრამ დახლთან არავინაა. ამიტომ, გინდ 2 ლარი ეწეროს, გინდ – 10, დიდი მნიშვნელობა მაინც არ აქვს. იქვე ვიღაც „კარტს“, სიგარეტს, მზესუმზირას, „სალფეთქს“, მიწის თხილსა და ბურბუშელას ყიდის. მოხუც, რუჯმოკიდებულ ქალს „პერაშკები“ დააქვს, მაგრამ ორჯერ დასმული კითხვის მიუხედავად, ფასი არ გამიმხილა – ეტყობა, მიხვდა, რომ არ ვიყავი მყიდველი...

ყველაფერი ეს პლაჟზე წამოწოლილი დამსვენებლებისგან 5 მეტრის დაშორებით ხდება.

როგორც იქნა, სტადიონამდე მივაღწიე და ლუდის სმით გართულ მამაკაცებს ვკითხე, რაც მაინტერესებდა: წყლის ყვითელი ველოსიპედით, 1 საათით სეირნობა 15 ლარი, ნახევარი საათით 10 ლარი ღირსო.

ერთი კატერიც დგას, რომლითაც წყალსაცავზე 1 წრის დარტყმა 50 ლარი ჯდება.

აქ მეტი არაფერია... ამიტომ გორაკზე ავრბივარ, რომ მერე, კიბეზე დავეშვა.

– სად მომიყენა მანქანა, ამის დედაც... – მესმის გარუჯული ქალის ხმა და ნაბიჯს ვუმატებ.

მოკლედ, ეს თბილისის ზღვაა. თუ ვინმეს გინდათ, მიბრძანდით. მისვლა და ბანაობა უფასოა.

ბექა ლიბრაძე

№ 29 (293) 22 - 28 ივლისი 2015

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ლიტერატურა, ხელოვნება, პოლიტიკა

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართული სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

არა-ჩვეულებრივი გვერდი

ჯონი დეპის ცოლს, ცხოველების კონტრაბანდისთვის, ციხე ემუქრება

ჰოლივუდელი ჯონი დეპის თანამეცხედრეს, 29 წლის ამბერ ჰერდს, რომელიც, ასევე, მსახიობია, ათწლიანი პატიმრობა ემუქრება. დიაცს ბრალი ავსტრალიაში შინაური ცხოველების უკანონო შეყვანაში ედება. ინციდენტი წელს, მაისში მოხდა — როგორც მაშინ ავსტრალიის ხელისუფლებამ განაცხადა, ვარსკვლავურმა წყვილმა ქვეყანაში შინაური ცხოველების შეყვანაზე შესაბამისი სანიტარული ნებართვა არ აიღო.

ამასთან, ახლახანს, ცნობილი გახდა, რომ ავსტრალიის ხელისუფლება ჯონის მეორე ნახევარს საბუთების გაყალბებასა და ცხოველების კონტრაბანდაშიც ადანაშაულებს. თუკი ბრალდება დაუმტკიცდება, ამბერს ციხეში მხოლოდ 10 წლის გატარება კი არა, ჯარიმის სახით, 75 ათასი დოლარის გადახდაც მოუწევს.

ჯონი დეპის ცოლი სასამართლოში მიმდინარე წლის სექტემბერში უნდა გამოცხადდეს.

შიშველმა მაილი საირუსმა ფოტოები გოჭთან გადაიღო

ჟურნალმა „ფეიფერმა“ სკანდალური მომღერლის, მაილი საირუსის შიშველი ფოტოები გამოაქვეყნა, რომლებზეც გოგონა გოჭთან ერთადაა აღბეჭდილი. ასე მომღერალმა ცხოველებისადმი სიყვარული გამოხატა.

საერთოდ, 22 წლის მილა არაორდინალურობითა და ეპატაჟურობითაა ცნობილი.

მიკი რურკი „დაკარგულ“ გარეგნობას ველარ „იბრუნებს“

პაპარაცებმა ჰოლივუდელი მიკი რურკი, რომელმაც მორიგი პლასტიკური ოპერაცია გაიკეთა, ლოს-ანჯელესში გამოიჭირეს და დაასკვნეს, რომ 62 წლის მსახიობი წარსულს ვერც პლასტიკური ოპერაციით დაიბრუნებდა. ისე, იყო დრო, როცა მიკი ჰოლივუდში ყველაზე სექსუალურ მამაკაცად ითვლებოდა, თუმცა კინოდან კრივში წავიდა და მისი მომხიბვლელობაც გაქრა. ამიტომ, მოგვიანებით, როცა გადასაღებ მოედანს ისევ დაუბრუნდა, იძულებული გახდა, პლასტიკური ოპერაცია ოპერაციაზე გაეკეთებინა, თუმცა „დაკარგული“ გარეგნობა მაინც ვერ „დაიბრუნა“.

მოკლედ, დღეს მიკი რურკის წარსული გარეგნობიდან აღარაფერია დარჩენილი.

„50 ცენტი“ გაკოტრდა

მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი რეპერი და პროდიუსერი კურტის ჯეიმს ჯექსონ მესამე, იგივე „50 ცენტი“, გაკოტრდა — სასამართლოში განცხადება შეიტანა და კრედიტორებისგან დაცვა მოითხოვა. კრედიტორებისგან დაცვის უფლებას რეპერს აშშ-ში მოქმედი კოდექსი აძლევს.

სასამართლოს მონაცემებით, რეპერის აქტივები და ვალები 10-დან 50 მილიონ დოლარამდეა შეფასებული. ამასთან, სასამართლომ მომღერალს ქალისთვის, რომლის თქმითაც, „50 ცენტი“ მის პირად ცხოვრებაში ერეოდა, ხუთი მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. საქმე ისაა, რომ 2009 წელს რეპერმა კლიპში ქალის პირადი ვიდეო იმ მიზნით გამოიყენა, რათა კონკურენტი რიკ როსი გაემწარებინა.

ყოველკვირეული გაზეთი, გამოდის ოთხშაბათობით

ქართული სიტყვა

22–28 ივლისი 2015

№ 29 (293)

„შენ — უკვდავების ჩამონადენო, მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო — ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!“

არა-ჩვეულებრივი გვერდი

აშშ-ის პრეზიდენტსა და პირველ ლედიზე ფილმს იღებენ

ბარაქ და მიშელ ობამებზე რომანტიკულ ფილმს იღებენ, რომელსაც „საუტსაიდი შენთანაა“ ერქმევა. კინოსურათის პრემიერა მომავალ წელს გაიმართება.

ფილმში პრეზიდენტისა და პირველი ლედის როლებს პარკერ სოიერსი და თიკა სამპტერი შეასრულებენ. სცენარის მიხედვით, მოქმედება 1989 წელს ხდება — ბარაქ ობამა ჩიკაგოში მუშაობს, მომავალი პირველი ლედი კი მისი უფროსია.

რუსეთიდან ებრაელები გარბიან

წელს, როგორც ისრაელური მედია იუწყება, რუსეთმა ებრაული წარმომავლობის მოქალაქეების უდიდესი ნაწილი დაკარგა. როგორც ჟურნალისტები ამბობენ, რუსეთიდან ებრაელების ასეთი მასობრივი ემიგრაცია ჩერნობილის კატასტროფის დროსაც შეინიშნებოდა. ისრაელის ალიისა და აბსორბციის მინისტრის, ზევ ელკინის განცხადებით, ისრაელელები რუსეთიდან კიდევ ერთი დიდი რეპატრიაციისთვის უნდა მოემზადონ.

ალიისა და აბსორბციის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, 2015 წელს, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, რუსეთიდან რეპატრიანტთა რიცხვი 51%-ით გაიზარდა. აქედან, წლის დასაწყისში, ისრაელში რუსეთის 2435 ყოფილი მოქალაქე დაბრუნდა. იმის თაობაზე, თუ რატომ გარბიან ებრაელები რუსეთიდან, ისრაელის ოფიციალური წარმომადგენლები არაფერს ამბობენ.

52 წლის ჯორჯ მაიკლი განარკომანდა

„ძალიან ვღელავთ მისი ჯანმრთელობის გამო. ჯორჯი ძალიან ბევრ ნარკოტიკს მოიხმარს, დაწყებული მარიხუანიდან დამთავრებული კოკაინით, ეს საშინელებაა. სვამს კიდეც და აზარტული თამაშებითაცაა გატაცებული“, — აცხადებს მომღერალ ჯორჯ მაიკლის ძმის ცოლი, თუმცა მომღერლის ოფიციალური წარმომადგენლები ამ ინფორმაციას არ ადასტურებენ და ამბობენ, რომ ჯორჯს ნარკოტიკებთან შეხება არ აქვს.

ასეა თუ ისე, ფაქტია: ამჟამად ჯორჯ მაიკლი შვეიცარიაშია, სადაც ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობის კურსს გადის.

აღსანიშნავია, რომ ამ კლინიკაში მკურნალობა, თვეში 200 000 ევრო ჯდება.

გერმანულ ბორდელებში ახალი თანამდებობა შემოიღეს

როგორც დასავლური მედია იუწყება, გერმანიის სექსინდუსტრიის თანამშრომელთა და კლიენტთა სოციალურმა ქსელმა თანამდებობაზე, რომლის მოვალეობაშიც ბორდელების ტესტირება შედის, ვაკანსია გამოაცხადა. ამ პოზიციაზე მიიღება, როგორც მამაკაცი, ასევე, ქალი. კანდიდატს უმაღლესი განათლების მენეჯმენტი და სასტუმროების ბიზნესში მუშაობის გამოცდილება მოეთხოვება. ამასთან, ვაკანსიის დაკავების მსურველს ბორდელებში სტუმრობის გამოცდილებაც უნდა ჰქონდეს, რამეთუ ბერლინის ბორდელების სექსმომსახურეობის ხარისხი პირადად შეამოწმოს...

„სექსი ბორდელთა ახალი თანამშრომლის მოვალეობების მხოლოდ ნაწილია. მისი მთავარი ამოცანაა, მთლიანად ბორდელის მუშაობა შეაფასოს და სექსინდუსტრიის სარეიტინგო სისტემა შექმნას. გვინდა, ბორდელების ერთგვარ გზამკვლევად ვიქცეთ და ჩვენს კლიენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, რომ ხარისხში მანამ დარწმუნდნენ, ვიდრე ბორდელში წავლენ“, — ამბობს გერმანული სექსინდუსტრიის წარმომადგენელი.

ზურა მეგრელიშვილს
მიჰქრი და მიჰქრი
ცისაკენ აფრით,
ნაღდად გეკუთვნის
გვირგვინი დაფნის,
რის ფოტოგრაფი,
რა ფოტოგრაფი,
მეგრელიშვილო,
შენა ხარ გრაფი!

ჯანსულ ჩარკვიანი

სტანბული – ზურა მეგრელიშვილის ფოტო

ჯანსულის სიცილნათელები

ენერგიული
შენა ხარ კაცი ენერ-გიული
და, ამავე დროს, სტრატე-გიული,
ბოღმა და ზიზღი
დაგდის დორბლივით,
რაც არის ნაღდად
მიშანდობლივი.

კიევიდან
აქა ვარ უკრაინელი,
საქართველოში მიშა ვარ,
აბა, მითხარით, სომხეთმა,
ნეტავი, რა დამიშავა?

მტერი
რა ეშმაკის ზიზღი დაგვყვა,
რა ტვინი აგვერია,
საქართველოს მტერი არ ჰყავს,
ჩვენთან ძმა ძმის მტერია.

სიცილი
ჩვენს თბილისში
ყველაფერი მარტივია,
ჩვენთან მხოლოდ იცინიან,
არ ტირიან.

იმისტები, ამისტები
ის – იმისტი,
ეს – ამისტი,
ვიღაცა კიდე –
ბუდისტი,
ასე იყოს
ყველა მისთვის,
მე გახლავართ
ლუდისტი!

პუტინის ანექსია
ეს არც მოთხრობაა,
არც ლექსია,
საზღვარზე გადმოდიან,
არ გვესვრიან,
ოსებო, თქვენც გგონიათ,
ალერსია?
ეს არის პუტინის
ანექსია!
პუტინო, ჩაიფსი,
არ გეფსია?
ჩაფსმის დროს დამთავრდება
აგრესია.

დიზაინის საავტორო უფლებები დაცულია

ISSN 2298-0024
9 772298 002004 47922

მთავარი რედაქტორი: ჯანსულ ჩარკვიანი
მთ. რედაქტორის მოადგილე: ვანო პავლიაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ჭაბუა ამირეჯიბი, მერაბ ბერძენიშვილი,
ბაჩანა ბრეგვაძე, თემო გოცაძე, ემზარ კვიტაიშვილი,
არმაზ სანებლიძე,

მედია-ჯგუფი: მარიკა კახაძე,
ნათია გოგიტიძე, ნათია ვერძეული,
ნათია ლებანიძე.
დიზაინერი და ფოტოკორესპონდენტი:
ზურა მეგრელიშვილი.

გაზეთი რეგისტრირებულია რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექცია) მიერ. რეგისტრაციის №22851

მისამართი:
26 მაისის
მოედანი. №1
ტელ.: 272-63-90

E-Mail: qartulisityva@gmail.com

გაზეთი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით